აჭარა იზოლაციაშია A2

ყარსის ხელშეკრულების შესახებ A3

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B5-B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ორშაბათი, 3 მაისი, 2004 წელი. №103 (652)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

# ათდღიანი ულტიმატუმი

*"ჩვენ ვაძლევთ ასლან აბაშიძეს ათ დღეს, რათა ის დაბრუნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სივრცეში, შეწყვიტოს ადამიანის უფლებების დარღვევა, ადამიანების ცემა, აღადგინოს ნორმალური კანონიერი რეჟიმი და დაიწყოს იარაღის ჩაბარება. თუ ათი დღის განმავლობაში მისგან შესაბამის რეაქციას ვერ მივიღებთ, საქართველოს პრეზიდენტი იძულებული იქნება, დაითხოვოს აჭარის მთავარი ადგილობრივი ორგანოები და უზენაესი საბჭოს ვადამდელი არჩევნები დანიშნოს ისე, რომ არავინ არ შეეხოს აჭარის სტატუსს. აჭარის მოსახლეობა თავად აირჩევს ადგილობრივ ხელისუფლებას," – ასეთი ულტიმატუმი მიიღო აჭარის მეთაურმა საქართველოს პრეზიდენტისგან.*
*გუშინ ფოთში მიმდინარე სამხედრო წვრთნებიდან დაბრუნებული პრეზიდენტი უშიშროების საბჭოს სხდომას იწვევს, მოგვიანებით კი, აჭარაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადებას აკეთებს:*

გაგრძელება A3 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ასლან აბაშიძემ საქართველო გაყო.

# სპეცოპერაცია მრგვალ ბაღთან

გუშინ საღამოს, უშიშროების სამინისტროსა და ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა, ერთობლივი ოპერაციის შედეგად, გიორგი რამიშვილი, მეტსახელად "ზარალა" დააკავეს. დაკავების მომენტში რამიშვილი საკუთარ ბინაში იმყოფებოდა (იგი მრგვალ ბაღთან, ქუთათელაძის ქუჩაზე ცხოვრობს). ოფიციალური ვერსიით, მას ბრალი ედება იარაღის უკანონო ტარებასა და გადასახადების დამალვაში.

სხვათა შორის, გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, გიორგი რამიშვილი ყოფილი "მხედრიონელი" და ვერის საძმოს წევრია. თუმცა, გიორგი რამიშვილის ოჯახის წევრები, ჩვენთან საუბარში, კატეგორიულად უარყოფდნენ ამ ინფორმაციას და აცხადებდნენ, რომ რამიშვილის აყვანა მის დღევანდელ საქმიანობას უკავშირდება.

როგორც გიორგი რამიშვილის ოჯახის ერთ-ერთმა მეგობარმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, გიორგი რამიშვილი საქართველოში საკმაოდ სერიოზული საერთაშორისო ფირმის "SILK ROAD GROUP"-ის წარმომადგენელია.

გაგრძელება A2 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

სპეცრაზმმა ჩხრეკაზე ახლობლები არ დაუშვა.

# პატრიარქი, რომანტიკოსი, ერის სინდისი

### ჯორჯ კენანის ასი წელიწადი

მელორ სტურუა
*საქ. კორ. აშშ*

ქვესათაურში შეცდომა არ არის. ქვემოთ ჯორჯ კენანის 100 წლისთავზე კი არ ვისაუბრებთ – იგი 1904 წლის 16 თებერვალს დაიბადა, არამედ მისი ინტელექტისა და სულიერების პრიზმაში გატარებული ასი წელიწადის შესახებ. კენანი თავისი ქვეყნის გიბონი გახდა. ალბათ, ამიტომაც იწვევდა გიბონი - ბრიტანეთის იმპერიის ჟამთააღმწერელი მის აღფრთოვანებას. კენანი ჰენრი ადამსის მემკვიდრედ იქცა და მასავით თავგანწირვით ამხელდა ამერიკის იმპერიის თვითგამანადგურებელ ნარცისიზმს.

პირადულით დავიწყებ – თუ როგორ გავიცანი ჯორჯ კენანი. თავად ეს გაცნობაც იმდენად სიმბოლური იყო, ერთდროულად - ტრაგიკული და კომიკურიც, რომ უდავოდ იმსახურებს, იმ სარკის ნამსხვრევი ვუწოდო, რომელშიც დაუნდობელი ნგრევის მეოცე საუკუნე, კენანის საუკუნე ირეკლება.

გაგრძელება A8 გვერდზე



ჯორჯ კენანი და წერილის ავტორი მელორ სტურუა.

## ეკონომიკა

### ფარმაცევტული ბაზარი დღეს

ეს ის იშვიათი ბიზნესია, რომლის წარმომადგენლები ძველ ხელისუფლებას ემადლიერებიან. ისინი არც მოქმედ საგადასახადო რეჟიმს უჩივიან და არც შემოსავლების სიმწირეზე წუწუნებენ. ეს ფარმაცევტული ბიზნესია, სადაც უკანასკნელი შვიდი წელია, სერიოზული საგადასახადო შეღავათები მოქმედებს. ექსპერტების შეფასებით ფარმაცევტული ბაზრის 90 პროცენტზე მეტი ლეგალურია. კონტრაბანდა და ფალსიფიკაცია აქ დღეს უმნიშვნელოა, თუმცა ბიზნესის ამ სფეროს წარმომადგენლები შიშობენ, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში მათ საზიანოდ შესული ცვლილებები, ბაზრის დიდ ნაწილს ჩრდილში მოაქცევს.

A4

## უცხოეთი

### მასხადოვზე „ნადირობის" სეზონი დაწყებულია

ბოლო პერიოდში ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის თემა საერთაშორისო მედიაში განსაკუთრებით აქტიურად შუქდება. მარტი-აპრილის თვეებში მასხადოვმა რამდენჯერმე ჩაატარა საველე მეთაურების გაფართოებული თათბირი, მისცა ინტერვიუ უცხოელ ჟურნალისტებს, ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა ევროპარლამენტს, სადაც რუსეთის აგრესიის შეჩერებაში დახმარება სთხოვა.

A5

## საზოგადოება

### რევოლუციის სიომ გორის უნივერსიტეტშიც დაბერა

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ ლექციების დროს ყოველთვის უამრავი სტუდენტი ირევა. ამიტომ, დიდად თვალშისაცემი არ იქნებოდა, როცა მათ ის სტუდენტებიც მიემატნენ, რომლებსაც ისტორიის კათედრის პროფესორ-მასწავლებლების ლექციები უნდა ჰქონოდათ - სამი კვირის განმავლობაში ეს ლექციები არ ტარდებოდა.

A6

## სამართალი

### ცხინვალის რეგიონის რუსი სამშვიდობოები დეზერტირობენ

ცხინვალის რეგიონში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონიდან ჯარისკაცების გაუჩინარების ფაქტები ხშირდება. თუმცა, აქამდე დაკარგულ რუს სამშვიდობოთაგან ყველანი მშვიდობიანად დაუბრუნდნენ ნაწილს.

A6

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 23 |
| ქუთაისი | 27 |
| ბათუმი | 26 |
| სოხუმი | 24 |
| ფოთი | 26 |
| თელავი | 22 |
| ზუგდიდი | 28 |
| გორი | 22 |
| ახმეტა | 23 |
| ჭიათურა | 24 |
| გაგრა | 22 |
| სამტრედია | 27 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9800 |
| ევრო | 2.3610 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4998 |
| რუბლი | 0.0684 |

# ასლან აბაშიძემ ზღვარი გადალახა

ნიკა იმნაიშვილი

ის, რაც გუშინ აჭარა-გურიის საზღვარზე მოხდა, უდავოდ მეტყველებს, რომ კონფლიქტი საქართველოს ხელისუფლებასა და აჭარის რეჟიმს შორის თვისებრივად ახალ სტადიაში გადადის: ასლან აბაშიძის ერთგული მონების მიერ ჩოლოქზე ხიდების აფეთქებით, აბაშიძის რეჟიმმა განვლო ე.წ. "უკანმოუბრუნებლობის წერტილი", რომლის შემდეგ რაიმე კომპრომისი (თუნდაც ტაქტიკური) უკვე გამორიცხულია.

არადა, უამრავი საბუთი, ნიშანი და დასაბუთებული ვარაუდიც მეტყველებდა იმ ტენდენციაზე, რომ ხელისუფლება მზად იყო ამგვარი კომპრომისისათვის აბაშიძესთან, რაც მან თავად არ ისურვა.

მკითხველს ემახსოვრება, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ჟურნალისტებთან ერთ-ერთი საუბრისას განაცხადა, რომ იგი მადლობელია ასლან აბაშიძისა – რუსეთიდან აჭარისათვის ელექტროენერგიის იმპორტის გამო, რაც მნიშვნელოვანი დახმარებაა საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აფეთქებული ხიდები

გიორგი ასანიშვილი

*დღემდე ასლან აბაშიძე ავტონომიურ რესპუბლიკაში ხიდების მშენებლობით იწონებდა თავს, გუშინ კი, მისი მითითებით, აჭარის ადმინისტრაციულ საზღვართან არსებული ხიდები "ჰაერში აწიეს". ამ დივერსიულ ქმედებებს მთელი საპარლამენტო სპექტრი უარყოფითად აფასებს - ხიდების აფეთქების ფაქტი დაგმეს როგორც სახელისუფლებო ბანაკისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა, ისე "ნეიტრალურმა" პარლამენტარებმა. ამასთან, ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ ეს ერთგვარი სიმბოლური აქტი იყო - დანარჩენ საქართველოსთან აჭარის დამაკავშირებელი სამართლებრივი და პოლიტიკური ხიდების ჩანგრევას ასლან აბაშიძე უკვე დიდი ხანია ცდილობს.*

ხიდებზე "ნადირობას" "ყოვლად მიუღებელს" უწოდებს ზურაბ ტყემალაძე. **"როგორ შეიძლება, ქვეყანასთან დამაკავშირებელი ხიდები ააფეთქო და ერთ-ერთი შესანიშნავი კუთხე ამ გზით დანარჩენ საქართველოს მოსწყვიტო?"** - დივერსანტების ჩანაფიქრით გაოგნებულია მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# გატაცებული მანქანების გადაფორმება-გაყიდვის სქემა

გატაცებული მანქანების რეალიზების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ცხინვალის რეგიონი კვლავაც ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დანაშაულებრივ ტერიტორიად რჩება. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არაკონტროლირებად ზონაში გატაცებული მანქანების გადაყვანა და გაყიდვა რომ ხდება, ეს ახალი პრობლემა არ გახლავთ. თუმცა, ამჯერად უკვე ცხინვალის რეგიონი შეიძლება განხილულ იქნას არა მხოლოდ როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სატრანსპორტო საშუალებების "მიმღები პუნქტი", არამედ, როგორც სატრანზიტოც. კერძოდ, იქ მოპარული მანქანებისთვის ყალბი საბუთების გაფორმების კარგად ჩამოყალიბებული სისტემა მოქმედებს. ამიტომაც, საქართველოს სხვა რეგიონებიდან გატაცებული მანქანები "გადასაფორმებლად" სწორედ იქ გადაჰყავთ, და შესაბამისი საბუთების ფალსიფიკაციის შემდეგ მათ რეალიზაციას სხვადასხვა ადგილებში ახდენენ.

გაგრძელება A6 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 რეკლამა A8 უახლესი ისტორია

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 - B7 "საოჯახო ტოტო" B8 სხვადასხვა

## სპეცოპერაცია მრგვალ ბაღთან


სპეცრაზმი ოპერაციაზე.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

**"თავად ფირმა კი ნავთობპროდუქტების გადაზიდვით არის დაკავებული. ფირმას წლიური შემოსავალი 200 მილიონი დოლარი აქვს. და სწორედ აქ არის საძიებელი მისი დაკავების მიზეზი,"** - განაცხადა მან.

სპეცოპერაცია, დაახლოებით, სამი საათი გაგრძელდა. საგულისხმოა, რომ მთელი ამ ხნის გამავლობაში დაკავებულის ბინაში არ უშვებდნენ მის ადვოკატებს გოჩა გოგოშვილსა და მარეხ ამირაშვილს, ხოლო ჩხრეკას არ დაასწრეს ოჯახის წევრები. ისინი სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა რამიშვილის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან გააჩერეს და ბინაში შესვლის უფლება არ მისცეს. **"ეს იმიტომ კეთდება, რომ გიორგის სახლში ან ნარკოტიკები ან იარაღი დაუგდონ,"** – კატეგორიულად აცხადებდნენ მისი ახლობლები. მათივე თქმით, თავად რამიშვილს უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც უთვალთვალებდნენ, თუმცა უცნობები მასთან კონტაქტზე არ გამოსულან.

რამიშვილის ახლობლები აცხადებენ, რომ დაკავების პროცედურა სერიოზული დარღვევებით წარიმართა. ერთ-ერთი თვითმხილველის განცხადებით კი, პოლიციელები ბინაში აივნიდან შევიდნენ (რამიშვილის საცხოვრებელი ბინა მეორე სართულზე მდებარეობს). ადვოკატების თქმით, ისინი ამ ფაქტს რეაგირების გარეშე არ დატოვებენ.

მას მერე, რაც ბინაში ჩხრეკა დასრულდა, რამიშვილი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. დღეს კი სასამართლო მისთვის სასჯელის შეფარდების ზომაზე იმსჯელებს. ჩვენი ინფორმაციით, თავად დაკავებული თავს დამნაშავედ არ ცნობს.

*24 საათი*

## ქართულ ჯარში თვითმკვლელობები გახშირდა

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში წელიწადში საშუალოდ 20 სამხედრო მოსამსახურე იღუპება. მართალია, ამ მონაცემებში 1998 წლის გალის მოვლენების დროს დაღუპულთა რაოდენობაც შედის, მაგრამ ეს ვითარებას არსებითად არ ცვლის.

1999 წელს 26 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, აქედან ხუთმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა; 2000 წელს დაიღუპა 27, აქედან 10 თვითმკვლელობა იყო; 2001 წელს - 19, თვითმკვლელობის შემთხვევა არ დაფიქსირებულა; 2002 წელს - 22, თვითმკვლელობის ფაქტი - 3; 2003 წელს დაიღუპა 10 ჯარისკაცი. აქედან სამმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სამხედრო პროკურატურებში თვითმკვლელობის თითქმის ყველა ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით არის აღძრული, თუმცა სათანადო მტკიცებულებათა არარსებობის მოტივით, ყველა საქმე დახურულია.

საგულისხმოა, რომ პროკურატურა, ყველა შემთხვევაში, თვითმკვლელობათა მიზეზად სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ პირობებს ასახელებს. ჯარისკაცთა თვითმკვლელობის მოტივად ხშირ შემთხვევაში შეყვარებულის გათხოვება ან ოჯახის მიერ ცოლის მოყვანაზე უარის თქმა სახელდება. უბედურ შემთხვევათა მიზეზად ხშირად არის დასახელებული ავტოავარიებიც.

სამხედრო მოსამსახურეთა დაღუპვის ფაქტებზე სასჯელს, ძირითადად, ის პირები იხდიან, რომელთა მიმართაც სისხლის სამართლის საქმე გაუფრთხილებლობით სიცოცხლის ხელყოფის მუხლით არის აღძრული.

როგორც ექსპერტები აცხადებენ, ქართულ ჯარში საკმაოდ ხშირია რიგითების მიერ ცეცხლსასროლ იარაღთან არასწორი მოპყრობის შემთხვევები, რომელიც, ხშირად, სავალალო შედეგებით სრულდება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ჯარში გაწვევისას წვევამდელთა შერჩევა მკაცრი კრიტერიუმებით უნდა მოხდეს, დაახლოებით ისე, როგორც "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მონაწილე ბატალიონების დაკომპლექტებისას.

ექსპერტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა არაერთხელ მიმართეს პარლამენტის შესაბამის კომიტეტს, რომ ქართულ ჯარში სამხედრო მოსამსახურეთა დაღუპვის ფაქტებთან დაკავშირებით სპეციალური კომისია შექმნილიყო, თუმცა ეს თხოვნა დღემდე უყურადღებოდ არის დარჩენილი.

*მედია-ნიუსი*

## პარლამენტმა ბიუჯეტის პროექტი დროულად უნდა დაამტკიცოს

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, რომან გოცირიძის განცხადებით, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო 11 მაისს დაამტკიცებს.

პარლამენტმა ბიუჯეტის დამტკიცება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომამდე ორი კვირით ადრე უნდა უზრუნველყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ფონდის წესების მიხედვით, დირექტორთა საბჭოს სხდომა, რომელზეც საქართველოსათვის სავალუტო ფონდის სამწლიანი ფინანსური დახმარების პროგრამაზე უნდა იმსჯელონ, არ შედგება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, სხდომა ვაშინგტონში, ფონდის სათავო ოფისში 26 მაისისთვისაა დანიშნული. პარლამენტის მიერ ბიუჯეტის ვადებში მიღებაზე დამოკიდებული იქნება არა მარტო ფონდის ფინანსური პროგრამის აღდგენის საკითხი, არამედ პარიზის კლუბში საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხიც, რომელიც სავალუტო ფონდის მხარდაჭერის გარეშე არ მოხდება.

3 მაისიდან სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა დაიწყება პარლამენტის კომიტეტებში. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებს ბიუჯეტის პროექტს თავად პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია წარუდგენს.

*მედია-ნიუსი*

## მოსკოვი შეშფოთებულია

აჭარაში მდგომარეობის გამწვავების გამო მოსკოვი შეშფოთებას გამოთქვამს. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ განაცხადა, რუსეთი აღიარებს, რომ თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობები საქართველოს შიდა საქმეა, მაგრამ მუქარა და ძალის გამოყენება მიუღებელია. ძალისმიერი მეთოდები აბსოლუტურად დაუშვებელია, - აცხადებს იაკოვენკო, - თბილისში უნდა გაიგონ, რომ შედეგები, უპირველეს ყოვლისა, თვითონ საქართველოსთვის იქნება მძიმე.

საგულისხმოა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი 6 მაისს ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში გაემგზავრება.

ამ ვიზიტთან დაკავშირებით, სააგენტო რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ განაცხადა, რომ შეხვედრების დღის წესრიგის მთავარი საკითხები იქნება საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა და რუსეთ-საქართველოს საზღვარზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა. იაკოვენკოს ინფორმაციით, რუსეთის წარმომადგენლები აჭარაში შექმნილ ვითარებაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთანაც ისაუბრებენ და შეეცდებიან, დაარწმუნონ საქართველოს მხარე, რომ კონფლიქტური სიტუაცია მხოლოდ მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებებით უნდა გადაიჭრას.

*მედია-ნიუსი*

## ედუარდ შევარდნაძის წერილი

საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დარწმუნებულია, რომ აჭარასთან შექმნილ ვითარებაში აუცილებელია მშვიდობიანი გზების მოძიება.

"ის, რაც ახლა აჭარაში ხდება, ქვეყნის ნგრევის დასაწყისს ნიშნავს. "მე ამჟამად არაკომპეტენტური ვარ, რომ მართალი და მტყუანი განვასხვავო, მაგრამ აუცილებლად უნდა მივანიშნო ის ერთადერთი გზა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ამ აბსოლუტურად უაზრო და დამანგრეველი კონფლიქტის მოგვარება", - აღნიშნა შევარდნაძემ ქართული მასმედიის საშუალებებისადმი გაგზავნილ წერილში. მისივე სიტყვებით, აჭარა საქართველოს სისხლი და ხორცია და იქ სეპარატიზმის ელემენტების დაშვებას ქართველი ხალხი და ხელისუფლება ვერ შეურიგდება. "აუცილებელია მშვიდობიანი გზების ძიება და მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით უნდა გადაიჭრას ყველა უთანხმოება. მხარეებმა უნდა დაიცვან კონსტიტუცია — საქართველოს ძირითადი კანონი. სხვათა შორის, იგივე მოთხოვნები ვრცელდება დაურეგულირებელ კონფლიქტებზე, თუმცა გარკვეულ დროში კომპრომისული შეთანხმებების მიღწევაც დასაშვებია", - ნათქვამია შევარდნაძის წერილში.

*მედია-ნიუსი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** უშიშროების საბჭოს მდივნის ვანო მერაბიშვილის შეფასებით, ჩოლოქისა და ქაქუთის ხიდების აფეთქება ცხადყოფს, რომ აჭარის ავტონომიის მეთაური ასლან აბაშიძე აგონიაშია. მერაბიშვილის თქმით, ამ ნაბიჯით აჭარის ხელისუფლებამ რეგიონის თვითიზოლაცია მოახდინა. "აფეთქებებს რუსი გადამდგარი გენერალი ნეტკაჩოვი ხელმძღვანელობდა," - აღნიშნა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი აცხადებს, რომ დანარჩენ საქართველოსთან აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად აფხაზი მზვერავები შენიშნეს, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ რეგიონის ნეიტრალური ტერიტორიის სიღრმეში შეღწევას. მისი თქმით, სეპარატისტები თავდაცვით პოზიციებს აძლიერებენ. აფხაზური მხარე კოდორის ხეობის მახლობლად დაზვერვას აწარმოებს. შენიშნულია აფხაზეთის სპეცრაზმი, აღინიშნება რუს სამშვიდობოთა გაძლიერებული საბრძოლო მზადყოფნა", - განაცხადა კვიციანმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ფოთი**. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ასლან აბაშიძეს კონფლიქტის ესკალაციისგან თავის შეკავებას ურჩევს. საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნებში მონაწილე პრეზიდენტი მოუწოდებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მსგავსი პროვოკაციებისგან თავი შეიკავოს. "ჩვენ აჭარაში სამხედრო ინტერვენციას არ ვგეგმავთ," - განაცხადა პრეზიდენტმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ფოთი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ფოთში მიმდინარე სამხედრო წვრთნები, გარკვეულწილად, პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ატარებს. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, წვრთნები საკმაოდ ორგანიზებულად მიმდინარეობდა და მის წარმატებულად დასრულებას საქართველოსთვის და მისი შეიარაღებული ძალებისთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება აჭარის ადმინისტრაციულ საზღვართან ჩოლოქისა და ქაქუთის ხიდების აფეთქებას, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ცენტრალური ხელისუფლება უმკაცრესი ზომების გატარებით უპასუხებს. როგორც ბურჯანაძემ განაცხადა, წარმოუდგენელია, რომ მსგავსი რამ ნორმალურ ქვეყანაში ხდებოდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ფოთი**. საქართველოს თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი "დიოსკურია 2004"-ის მიმდინარეობით კმაყოფილია. მისი განცხადებით, ასეთი მასშტაბის წვრთნები საქართველოში ჯერ არასდროს ჩატარებულა. ბეჟუაშვილის თქმით, წვრთნები ყოველგვარი შეფერხებების გარეშე მიმდინარეობდა და იგი პირადი შემადგენლობის მომზადებით კმაყოფილია. რაც შეეხება აჭარაში მიმდინარე პროცესებს, ბეჟუაშვილის განცხადებით, "საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და, საერთოდ, საქართველოს შეიარაღებული ძალები აჭარაში არანაირ სამხედრო აქციას არ გეგმავენ". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. "ჩვენი აჭარის" აქტივისტის თამაზ დიასამიძის განცხადებით, თუ აჭარის ხელისუფლება კეთილ ნებას გამოიჩენს, მაშინ ჩოლოქზე არანაირი პროვოკაცია არ მოხდება. დიასამიძე ადასტურებს, რომ ფოთიდან ჩოლოქისკენ სხვადასხვა რეგიონებში ჩასახლებული აჭარლები მათი მოძრაობის ეგიდით მიემართებიან. "იმ შემთხვევაში, თუ აჭარის ხელისუფლება შეგნებულ პროვოკაციაზე წავა, პასუხისმგებლობა მომხდარზე სწორედ მან უნდა აიღოს", - მიაჩნია დიასამიძეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ფოთი.** გუშინ დასრულდა სამხედრო საზღვაო წვრთნები ფოთში, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც მონაწილეობდა. პრეზიდენტ სააკაშვილის შეფასებით, წვრთნებმა სავსებით წარმატებით ჩაიარა. მან ჯარისკაცებისა და მეზღვაურების სამხედრო განსწავლულობას მაღალი შეფასება მისცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ახალ რეგლამენტში, შესაძლოა, ცვლილებები შეიტანონ. იურიდიული დეპარტამენტი პარლამენტის ახალი რეგლამენტის დასახვეწად მუშაობას უკვე შეუდგა. ნინო ბურჯანაძემ საპარლამენტო ფრაქციებს მოუწოდა, პარლამენტის რეგლამენტის ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, იურიდიულ დეპარტამენტს მიმართონ და შესაბამისი წინადადებები მიაწოდონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** მოსკოვში მიიჩნევენ, რომ თბილისმა პანკისის ხეობაში კრიმინოგენული ვითარების მოგვარებისთვის კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ალექსანდრ იაკოვენკო მიიჩნევს, რომ თბილისმა პანკისის ხეობა ჩეჩენი ბოევიკებისაგან უნდა გაწმინდოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარისკენ მიმავალი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩასახლებული აჭარლები, რომლებიც ჩოლოქის გამშვებ პუნქტთან აქციის გამართვას გეგმავდნენ, გუშინ საღამოს ქუთაისში შეჩერდნენ და უკან დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღეს. **ინტერ-პრესი**

## აჭარა იზოლაციაში


ბლოკ-პოსტებზე მძიმე ტექნიკაა მობილიზებული.
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ჩოლოქისა და აჭარასთან დამაკავშირებელი სხვა ხიდების აფეთქების შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკა, ფაქტობრივად, იზოლაციაშია მოქცეული, თუმცა მოსახლეობამ აჭარაში გადასასვლელად გზების მოძებნა მაინც შეძლო. ჩოლოქიდან, დაახლოებით, თხუთმეტიოდე კილომეტრში, მდინარე ჩოლოქზე არის ფონი, რომლის მეშვეობითაც აჭარაში გადასვლის მსურველები რეგიონში შესვლას ახერხებენ. ტერიტორიის გარშემო პერიმეტრს აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბლოკ-პოსტები აკონტროლებს. ჯერჯერობით, რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის აჭარაში შესვლა, მიღებული არ არის.

ბათუმში საგანგებო სიტუაციაა შექმნილი. ქალაქი შეიარაღებული პირების მიერ კონტროლდება. ქუჩებში გამოსულია შინაგანი ჯარი, განსაკუთრებულად კონტროლდება ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული ბლოკ-პოსტები. ბლოკ-პოსტებზე დგას მძიმე ტექნიკა და მობილიზებული არიან შეიარაღებული პირები, თუმცა მსუბუქი ავტომანქანების მოძრაობა დასაშვებია. მკაცრად კონტროლდება ყველა სტრატეგიული ობიექტი, მათ შორის - საავადმყოფოები, ტელევიზია და გაზეთების რედაქციები. ქუჩებში პოლიციელების მიერ თითქმის ყველა საეჭვო ავტომანქანა მოწმდება.

ბათუმის სანაპირო ტერიტორიაზე დაცვა გააძლიერეს. სანაპიროზე სამხედრო ავტომანქანებზე დამაგრებული მსხვილკალიბრიანი ყუმბარმტყორცნებია განლაგებული. ზღვაში კი კატარღები "ტორნადო - 2" იმყოფება.

აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯემალ გოგიტიძემ ტელეკომპანია "აჭარისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ცენტრალური ხელისუფლება დიალოგზე უარს აცხადებს და ძალის გამოყენებას ცდილობს, ამიტომ აჭარაში მას ძალა უპირისპირდება. "ჩვენ მზად ვართ, საკუთარი სიცოცხლის ფასად დავიცვათ საკუთარი ოჯახები", - აღნიშნა მან. გოგიტიძემ აჭარის მოსახლეობას მოუწოდა, მაქსიმალურად შეიკავოს თავი ექსცესებში ჩართვისგან, შეინარჩუნოს სიმშვიდე და არ აუბას მხარი იმ კრიმინალებს, რომლებიც "ფულის შესანარჩუნებლად მზად არიან, პრეზიდენტ სააკაშვილს ემთხვიონ".

"აჭარაში პოლიტიკაზე და პოლიტიკურ პარტიებზე საუბარი აღარ არის. პოლიტიკოსებმა დედაქალაქში უნდა იაქტიურონ და ცენტრალური ხელისუფლება აიძულონ, გონს მოეგოს", - განაცხადა გოგიტიძემ, რომელმაც ცენტრალური ხელისუფლების ქმედებებს საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული "აღვირახსნილი საქციელი" უწოდა.

*ინტერ-პრესი*

## საგადასახადო დეპარტამენტმა გეგმა 101.7 პროცენტით შეასრულა

2004 წლის იანვარ-აპრილის შემოსავლების გეგმა საგადასახადო დეპარტამენტმა 101.7 პროცენტით შეასრულა. როგორც "ინტერ-პრესს" ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, იანვარ-აპრილის საგადასახადო შემოსავლების გეგმა 38 რაიონში გადაჭარბებით შესრულდა.

საგადასახადო სამსახურების მიერ მთლიანად ქვეყანაში მობილიზებულია 339 მლნ 764 ათასი ლარი. ოპერატიული მონაცემებით, გეგმა ვერ შესრულდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, იმერეთში და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. გეგმის შესრულება გაუჭირდათ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის, მთაწმინდა-კრწანისისა და ისანი-სამგორის საოლქო საგადასახადო ინსპექციებს.

არაერთგზის მკაცრი გაფრთხილებების მიუხედავად, ზოგიერთი რაიონის საგადასახადო სამსახურის მიერ საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება დაგეგმილ პარამეტრს - ბათუმი (86.9 პროცენტი), ქობულეთი (74,52 პროცენტი), დედოფლისწყარო (91.6 პროცენტი), სამტრედია (90.3 პროცენტი), ჭიათურა (83.4 პროცენტი), კასპი (90.9 პროცენტი) და ახალგორი (88.6 პროცენტი).

*ინტერ-პრესი*

## საქართველო შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას უხელმძღვანელებს

აზერბაიჯანმა საქართველოს შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის თავმჯდომარის უფლებამოსილებები გადასცა - ასეთი გადაწყვეტილება ბაქოში ჩატარებული ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკური უწყებების წარმომადგენელთა შეკრებაზე მიიღეს.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრ ელმარ მამედიაროვის განცხადებით, იგი მიესალმება, რომ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილის მოვალეობას აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსი ალთაი ეფენდიევი შეასრულებს.

*მედია-ნიუსი*

## საქართველო საჩუქრად 50 ათას ტონა ხორბალს მიიღებს

საქართველო აშშ-დან საჩუქრად 50 ათას ტონა ხორბალს მიიღებს. ეს დახმარება საქართველოს შესაძლებლობას მისცემს, ამ სეზონზე პურის ფასის სტაბილურობა შეინარჩუნოს.

ხელშეკრულების თანახმად, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და აშშ-ს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ან ვენემანმა, ხორბალი ბირჟაზე მეწარმეთათვის ხელმისაწვდომ ფასად გაიყიდება, ხოლო მისი მონეტიზაციით მიღებული თანხა შევა ბიუჯეტში და სოფლის მეურნეობის განვითარების დაფინანსებას მოხმარდება.

ხორბლით აშშ-ს მთავრობა საქართველოს უკვე რამდენიმე წელია ეხმარება. შარშანწინ ამ პროგრამით ქვეყანამ 35 ათასი, შარშან კი 50 ათასი ტონა ხორბალი მიიღო.

*მედია-ნიუსი*

### ფოსტა

## ვერ გავჩუმდები!

ეს უკვე მერამდენედ ვარღვევ პირობას, რომ ამ დაძაბულ პერიოდში ენას აღარ ამოვიღებდი აჭარაში მიმდინარე პროცესებზე. შიშის გრძნობა კარგა ხანია გადავლახე. რატომღაც შეურაცხყოფად მიმაჩნია 21-ე საუკუნეში შეშინებული მოქალაქე, მაგრამ გაჩნდა რიდის მომენტი, რომ შენს გამო არ დაისაჯონ ის ახლობლები, რომელთაც ასე თუ ისე სამუშაო ადგილი აქვთ. გაჩნდა რიდის მომენტი, თუნდაც იმის გამო, რომ თურმე, განსხვავებული აზრი თუ გაქვს, რაღაც ამბიციები გამოძრავებს; ანდა როგორც ვახტანგ აბაშიძემ ბრძანა, აჭარის ხელისუფლების ოპოზიციაში არის მოსახლეობის ის 20 პროცენტი, რომელიც გაჭირვებულია და ხელმოცარული. ძალიან ამაყი ვარ, ბატონო ვახტანგ, იმისათვის, რომ გაჭირვების გამო ვინმეს ვეწუწუნო და თავი შევაცოდო. 20 პროცენტი კი არა, უკანასკნელი აჭარელი რომ დავრჩე, ვერ შევეგუები არსებულ რეჟიმს, ვერ შევეგუები ჩემი აზროვნებით, თორემ ისე ვერც იარაღს ავისხამ და ვერც იარაღიანის გვერდით დავდგები.

როცა ჩოლოქზე თავმოყრილ, იარაღასხმულ მოსახლეობას ვუყურებდი და მათ აზრებს ვისმენდი, რისხვის გრძნობა მეუფლებოდა, ნუთუ ესა ვართ?! შემდეგ, როცა ქობულეთისა და ბათუმის ქუჩებში გამოსული მოსახლეობა ვნახე, რომელიც იმედიანი თვალით უყურებდა პრეზიდენტს, გაჩნდა გამონათქვამი - "აჭარის ნამდვილი სახე". და ამან კი არ დამამშვიდა, პირიქით, დამაფიქრა - როგორ გაიმიჯნა ხალხი. ჩემთვის ორივე მხარე აჭარის სახეა, ორივე მე ვარ და ეს სამწუხარო რეალობაა. მაინც რამ მიგვიყვანა აქამდე, რამ შეცვალა ასე მკვეთრად რამდენიმე წელიწადში ადამიანების ცნობიერება?

თითქმის ნახევარი საუკუნის წინ დედაჩემი იყო ხულო-შუახევის რაიკომის მდივანი. ბუნებრივია, იყო უამრავი პრობლემა მთიან აჭარაში, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ, მარცვალ-მარცვალ, უდიდესი რუდუნებით და სიყვარულით გვარდებოდა, ვითარდებოდა, ყალიბდებოდა ქართული ეროვნული ცნობიერება. მე რომ ვიხსენებ ჩემი ბავშვობის დროინდელი მთიანი აჭარის სულისკვეთებას, არ მინდა დავიჯერო, რომ ბოლო წლებში ამ კუთხემ პროგრესის მაგივრად რეგრესი განიცადა, რეგრესი - აზროვნებითა და ცნობიერებით.

იქნებ ვინმეს გულზე მოხვდეს და შემომედავოს. მაშ, რას ნიშნავს იმ უგნურის მუქარა ჩოლოქზე მალე ვიზებით შამოგიშვებთო? ეს ჩემთვის ტრაგედიაა! ჩემთვის ტრაგედიაა, ის, რომ მას ჯერ აზრად მოუვიდა ასეთი რამ და შემდეგ ხმამაღლა გაბედა თქმა.

ეს კიდევ არაფერი, მთელ ამ უბედურებას დააბრალებდი ერთი ფეოდალური აზროვნების ხელისუფალს და პასუხისმგებლობასაც აიცილებდი ერის წინაშე, მაგრამ, ვაი, რომ ყოველივე ამას ხელს უწყობდნენ თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენლები და ყოფილი ხელისუფლება, რომელმაც ოცდამეერთე საუკუნის ცივილიზებულ სამყაროში მძევლებად შეგვატოვა ადგილობრივ ხელისუფლებას.

დღეს თუ განსხვავებული აზრის დაფიქსირება გადაწყვიტე, იმ წუთში ამბიციურობას დაგწამებენ (ცუდი გაგებით, რა თქმა უნდა). თუ არ მშია, ამისთვის ვერავის ვეტყვი მადლობას, გარდა ჩემი მშობლებისა, რომლებიც ბევრ რამეს იკლებდნენ, რათა სათანადო განათლება მიმეღო, საკუთარი შრომით შემძლებოდა შვილების გამოკვება. ოჯახიდან გამომყვა უდიდესი პასუხისმგებლობა საკუთარი კუთხის წინაშე. ასე რომ, პირადი კეთილდღეობაც რომ მქონდეს, მაინც ვერ გავჩერდები. ვარ გერმანული ენის მასწავლებელი და არ არსებობს ჩემს სოფლელ, ჩემს რაიონელ ბავშვს სწავლის საფასური გამოვართვა. მე მეტი არაფერი შემიძლია.

მინდა, ამავე დროს, მივმართო ჩვენზე განუწყვეტლად "მოამაგე" თბილისელ ინტელიგენციას - აბრალავებს, ჭიპაშვილებს, ჯაველიძეებს (ცოტნე ბაკურიას კი ამათ სიაშიც ვერ შევიყვან) და მრავალ მათნაირს, რომლებიც რაღაც პერიოდში მოიბალახებენ აჭარაში (ძალიან არ მინდა გავცდე თუნდაც აჭარულ ზრდილობას, მაგრამ სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ), დაიკმაყოფილებენ პირად ამბიციებს და ჰაიდაა, თავიანთ ფუნქციასაც ამოწურავენ: ის შეიარაღებული, გაუთვითცნობიერებული და დამშეული ხალხი შეიძლება ვერც ხვდება, რომ დანაშაულს ჩადის, მაგრამ თქვენ ხომ ეს კარგად გესმით. მეტიც, თქვენ ყველაფერს კარგად ხედავთ და შეგნებულად მიდიხართ ქვეყნის ღალატზე. მე ამას სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით. აჭარის ქომაგად რომ გვევლინებით, ერთხელ თუ მაინც შეხვედრილხართ მოსახლეობას, თუ გიცდიათ მათი აზრის გაგება? თქვენთვის, ეტყობა, გაცილებით იოლია ყველაფერი: ერთ მშვენიერ დღეს, როგორც მრავალმა თქვენმა წინამორბედმა, ქუდს დაიხურავთ და დაუბრუნდებით დედაქალაქს. და ისტორია არ მოგთხოვთ პასუხს ამ კუთხეში დაშვებული შეცდომების გამო. ჩვენ კი, ადგილობრივ მოსახლეობას, მოგვიწევს თავის მართლება ჩოლოქის ბარიკადების გამო. მერამდენედ შემოგვხედავს დანარჩენი საქართველო ეჭვიანი თვალებით. თქვენ კი არავინ მოგთხოვთ პასუხს და არც ისტორია დაიმახსოვრებს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მასპინძლობდით რუსის გენერლებს. ეს ისვე და ისევ ამ კუთხის შავ ლაქად დარჩება ბატონებო.

როგორ მინდა დავიჯერო, რომ ჩვენზე გულწრფელად სტკივათ გული ნატო ჩხეიძეს და ირინა სარიშვილს; როგორ მინდა მესმოდეს აკაკი ასათიანის, ან მას ესმოდეს, რა საფრთხეს უქმნის მისი "მეგობარი" საქართველოს სახელმწიფოებრიობას.

ვერ გვიშველის ჩვენი ვაიპოლიტიკოსების მიერ აჭარის კუთხით სპეკულირება, რომ აჭარა საქართველოს სიძლიერისა და ერთიანობის ერთადერთი ქვაკუთხედია, რომ აქედან იწყება ერთიანობა, რომ ამის გამო უნდა დავანებოთ თავი და როგორც უნდა, კვლავ იმ გზით ატაროს მისმა ხელისუფლებამ. ეს არ არის სწორი პოლიტიკა, ბატონებო, თქვენ ამ დროს აჭარის ბედი კი არ გაღელვებთ, არამედ თქვენი სარგებლის ბედი აჭარაში. ამასობაში კი ნელ-ნელა დაიწყო ყველაზე სუფთა და ფაქიზი - ეროვნული ცნობიერების რღვევა.

ჩვენ საქართველო ვართ და საქართველოს სჭირდება შველა!

*თამარ ქათამაძე*
*პედაგოგი*

### ოფიციოზი

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 358

*2004 წლის 30 აპრილი ქ. თბილისი*

ფაშიზმზე გამარჯვების 59-ე წლისთავის აღნიშვნის შესახებ.

მიმდინარე წლის 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 59-ე წლისთავის ღირსეულად აღნიშვნის მიზნით:

1. საქართველოს სამინისტროებმა და სხვა სახელმწიფო უწყებებმა, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა უზრუნველყონ:

ა) ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვა;

ბ) დასაქმებულ და პენსიაზე გასულ ომის ვეტერანებთან შეხვედრების მოწყობა, მათი ფულადი ჯილდოებითა და სამახსოვრო საჩუქრებით წახალისება.

2. ეთხოვოთ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებს:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობათა გათვალისწინებით გაუწიონ მატერიალური დახმარება დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს, აგრეთვე ომში დაღუპულ მეომართა და ომის შემდგომ პერიოდში გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახის წევრებს, ზურგის მუშაკებს;

ბ) გამარჯვების დღის - 9 მაისის საზეიმო ვითარებაში აღსანიშნავ ღონისძიებათა განხორციელებაში აქტიურად ჩააბან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეები, სხვა ტერიტორიებზე გამართული ომების ვეტერანები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები;

გ) მოაწყონ შეხვედრები ომის ვეტერანებთან სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (გ. ბეჟუაშვილი) უზრუნველყოს 9 მაისს თბილისის გამარჯვების პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ვეტერანთა შეკრება, საპატიო ყარაულისა და სამხედრო ორკესტრის საზეიმო რიტუალში მონაწილეობა და სამხედრო ნაწილებში ახალგაზრდა მეომრების ომის ვეტერანებთან შეხვედრების მოწყობა.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებული ხარჯის დაფინანსება განახორციელოს საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტისათვის დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში.

5. ეთხოვოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ქართველი გენერლების, ოფიცრებისა და ჯარისკაცების, აგრეთვე ზურგის მუშაკთა ფაშიზმზე გამარჯვებაში ღირსეული წვლილის დროული და სათანადო გაშუქება.

6. ფაშიზმზე გამარჯვების საზეიმო ღონისძიებების კოორდინაცია განახორციელოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტმა.

*მიხეილ სააკაშვილი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ათდღიანი ულტიმატუმი

პირველი გვერდიდან

"ვარდების რევოლუციის შედეგად, საქართველოს პოზიციები მთელ მსოფლიოში მკვეთრად გაძლიერდა. საქართველოს მიეცა რეალური შანსი დადგეს ფეხზე და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდეს. მთელი მსოფლიო მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს საქართველოს, გაჩნდა შანსი იმისა, რომ ინვესტორებმა საქართველოში ფული დააბანდონ. ეს ყველაფერი არ მოსდით თვალში საქართველოს მტრებს, რადგან ფეხზე დამდგარი საქართველო აუცილებლად გადაწყვეტს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებს – აფხაზეთს, სამაჩაბლოს. ამ სიტუაციაში ისინი საქართველოს შიგნით არსებულ ბოლო მტრულ ძალას იყენებენ, რათა საქართველოში ვითარება არიონ.

ბოლო წლებში, თვეებში, კვირეებში ასლან აბაშიძის და მისი ჯგუფის მიერ ხორციელდება მასობრივი რეპრესიები, უკანონო დაპატიმრებები, ბევრი სხვა კანონსაწინააღმდეგო ღონისძიება. აბაშიძის მომხრეები შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირებას ნოემბერშიც შეეცადნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ...

უკანასკნელი სამი დღეა, ყულევში წვრთნები მიმდინარეობს. მსგავსი წვრთნები ყოველწლიურად ტარდება, თუმცა წელს, მას შემდეგ, რაც ჩვენი არმია უფრო მომძლავრდა, წვრთნები უფრო მასშტაბური და ორგანიზებული იყო. აბაშიძემ კარგად იცოდა, რომ მე ყულევში ჩავედი და მან სწორედ დღეს, ამ წვრთნების პერიოდში მოაწყო პროვოკაცია. მან ააფეთქა ხიდები, რითაც, ფაქტობრივად, აჭარის ტერიტორიული იზოლაცია მოახდინა. სულელური და უაზროა ის ახსნა, რომ ამით აბაშიძემ სამხედრო ძალების აჭარაში შესვლა შეაჩერა. აბაშიძემ კარგად იცოდა, რომ ასეთი რამ არ იგეგმებოდა. სხვათა შორის, გუშინ ყულევში ჩატარებული წვრთნებისას ჩვენმა სამხედროებმა სწორედ საჰაერო და საზღვაო გზებით იერიშის დემონსტრირება მოახდინეს. აბაშიძემ უნდა იცოდეს, რომ შუა საუკუნეების ეპოქაში არ ვცხოვრობთ და ორ ხიდზე არ ვართ დამოკიდებული. თუ აჭარაში შესვლა გვინდა, ამ ხიდების გარეშეც მშვენივრად მოვახერხებთ.

აბაშიძემ გუშინ ჩვენ დიდი პროვოკაციის წინაშე დაგვაყენა: მან იცოდა, რომ ყულევში განლაგებულია სამხედრო ტექნიკა, იცოდა, რომ საქართველოს უმაღლესი მთავარსარდალი ყულევშია, მას, უბრალოდ, ჩვენი გამოწვევა უნდოდა. აბაშიძეს სურს თავის მართლება იმით, რომ მას ვინმე თავს დაესხა... აბაშიძეს ყოველდღე აკლდებიან მომხრეები. აბაშიძე დატოვა შინაგანი ჯარების ბირთვმა მთელი შემადგენლობით. ყოველდღე აჭარიდან მოდიან ჩვენი მოქალაქეები, ჩვენი სისხლი და ხორცი, მათ შორის, აბაშიძის გარემოცვიდან, და გვეუბნებიან, მოგვაშორეთ ეს კაციო. აი, ამის ეშინია აბაშიძეს.

მან რამდენიმე დღის წინ სასუქების შეტანა შეაჩერა, რითაც ძალიან დააზარალა აჭარის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობა. დღეს, იმ ხიდების აფეთქებით, მან აჭარის მთელი მოსახლეობა ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე დააყენა, ხალხი, პრაქტიკულად, მშიერი დარჩა. აჭარის მოსახლეობა მთელი წელი ელოდება იმ თვენახევარს, როცა აჭ-



პრეზიდენტი მძიმე გამოწვევის წინაშე დადგა.

არაში დამსვენებლები ჩადიან. მთელი წელი მოსახლეობა ამ თვენახევრით ცხოვრობს. ხიდების აფეთქება ნიშნავს საკურორტო სეზონის ჩაშლას აჭარაში.

აბაშიძეს სურს დააფიქსიროს, რომ არსებობს პრობლემა აჭარასა და დანარჩენ საქართველოს შორის, რაც სინამდვილეში არ არსებობს. მე არა მაქვს არავითარი პრობლემა იმ ხალხთან - აჭარლებთან, ვინც ხმების 90 პროცენტი მომცა, იმ ხალხთან, ვინც ყველაზე გულმხურვალე ქართველია. არსებობს მხოლოდ ერთი კაცის პრობლემა – ეს არის ასლან აბაშიძე. ამ კაცს პრობლემა აქვს მთელ აჭარასთან, ეს კაცი ეწევა მტრულ პოლიტიკას თითოეულ აჭარელთან მიმართებაში.

მივმართავ აბაშიძის გარემოცვას – ნუ გადააყოლებთ თქვენს მომავალს, რეპუტაციას, უსაფრთხოებას ამ ერთი კაცის ახირებას. ნუ გადააყოლებთ თქვენი შვილების მომავალს ამ ერთ კაცს. დღეს წყდება საქართველოს მომავლის საკითხი, დღეს წყდება, ვართ თუ არა ჩვენ ერთი ერი. ჩვენს ქვეყანას, რომელსაც დღეს ისტორიული შანსი აქვს ფეხზე დადგეს, ამ პერსპექტივასართმევს შუასაუკუნოვანი ტრადიციის მქონე, კრიმინალური საქციელის ფეოდალი.

ყველა აჭარელმა უნდა იცოდეს, რომ დღეს კონსოლიდაციის პერიოდი დაგვიდგა. უნდა იცოდეთ, რომ ყველაფერს გავაკეთებ თქვენს დასაცავად. ამავე დროს, არსებობს კონსტიტუციური მექანიზმები და საქართველოს კონსტიტუციას დაცვა სჭირდება. უშიშროების საბჭოს სხდომაზე ჩვენ ერთხმად მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება:

ჩვენ ვაძლევთ ასლან აბაშიძეს ათ დღეს, რათა ის დაბრუნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სივრცეში, შეწყვიტოს ადამიანის უფლებების დარღვევა, ადამიანების ცემა, აღადგინოს ნორმალური კანონიერი რეჟიმი და დაიწყოს იარაღის ჩაბარება. თუ ათი დღის განმავლობაში მისგან შესაბამის რეაქციას ვერ მივიღებთ, საქართველოს პრეზიდენტი იძულებული იქნება, დაითხოვოს აჭარის მთავარი ადგილობრივი ორგანოები და უზენაესი საბჭოს ვადამდელი არჩევნები დანიშნოს ისე, რომ არავინ არ შეეხოს აჭარის სტატუსს. აჭარის მოსახლეობა თავად აირჩევს ადგილობრივ ხელისუფლებას.

ჩემი მოვალეობაა, დავიცვა სამოქალაქო მშვიდობა, მაგრამ, ამავე დროს, არავის მივცემ უფლებას, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები შელახოს.

მე მაქვს თქვენი იმედი, ჩემო თანამოქალაქენო, ჩემო აჭარლებო, ჩემო დებო და ძმებო, მე მაქვს იმედი თქვენი გამძლეობის, სულგრძელობის."

# აფეთქებული ხიდები

პირველი გვერდიდან

მისი აზრით, ცენტრალური ხელისუფლება პროვოკაციას არ უნდა აჰყვეს და აბაშიძის გამოწვევას ძალის გამოყენებით არ უნდა უპასუხოს. შექმნილ ვითარებაში გამოსავალი, ტყემალაძის აზრით, ის იქნება, რომ **"აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელებმა რაღაც გარანტიები მიიღონ და, სამაგიეროდ, თანამდებობები საკუთარი ნებით დატოვონ".**

ხიდების აფეთქებას ვერანაირ გამართლებას ვერც კობა დავითაშვილი უძებნის. მისი თქმით, შეუძლებელია, ეს ნორმალური ადამიანის ნამოქმედარი იყოს. ამიტომ, დეპუტატს ასლან აბაშიძის ფსიქიკურ ჯანმრთელობაში ეჭვი ეპარება და მოითხოვს, რომ აჭარის ავტონომიის ლიდერს სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდეს.

**"თუ დადგინდება, რომ აჭარის ხელმძღვანელი შეურაცხადი პიროვნებაა, მაშინ უკან წავიღებ ჩემს ადრინდელ მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ასლან აბაშიძეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით ეგო პასუხი",** - აღნიშნავს დავითაშვილი.

აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელის ფსიქიკურ მდგომარეობაზე აკეთებს აქცენტს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეც.

**"მიუხედავად იმისა, რომ ასლან აბაშიძეს არასტაბილური ფსიქიკა აქვს, მისი მხრიდან ასეთი საქციელი მაინც მოულოდნე-**



აფეთქება ჩოლოქზე.

**ლი იყო. ის, რაც აჭარის ავტონომიის მეთაურის მითითებით განხორციელდა, არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ექვემდებარება",** - აცხადებს საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.

გივი თარგამაძე ვარაუდობს, რომ უახლოეს პერიოდში აჭარის მოსახლეობა თავად მოსთხოვს ასლან აბაშიძეს პასუხს, რადგან გუშინდელი დივერსიული ქმედებების გამო, პირველ რიგში, სწორედ ადგილობრივი მოსახლეობა დაზარალდა.

ამასთან, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ადასტურებს, რომ საქართველოს, მათ შორის, აჭარაში მცხოვრები თითოეული მოქალაქის წინაშე ცენტრალურ ხელისუფლებას მკაცრად განსაზღვრული ვალდებულებები აკისრია და მათი შესრულების შესახებ მსჯელობა ჯერ უშიშროების საბჭოზე, მოგვიანებით კი, პარლამენტის სხდომაზე გაიმართება.

თავის შეფასებებში კიდევ უფრო მკაცრია პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. აჭარის ადმინისტრაციულ საზღვართან გუშინ მომხდარ აფეთქებებს ის "საკუთარი ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილ დანაშაულად" აფასებს.

**"ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ხალხი არ დაზარალდეს და პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდეს,"** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი და მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდებს.

# ყარსის ხელშეკრულების შესახებ

ბიძინა სავანელი
ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს უნივერსიტეტის პროფესორი

წინასწარ ხაზგასმით უნდა განვაცხადო, რომ მე არ ვარ პოლიტიკოსი და ამიტომ პროფესიული და მეცნიერული სინდისი მიკრძალავს პოლიტიკური ან სხვაგვარი კომენტარი გავუკეთო საერთაშორისო ხელშეკრულებას გარდა სამართლებრივისა. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს კომუნისტური რეჟიმიდან მომდინარე დამკვიდრებული მავნე პრაქტიკა, როდესაც საერთაშორისო სამართლის საკითხებზე მსჯელობენ არასაერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, განსაკუთრებით პოლიტიკოსები, რომელნიც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს კომენტარს უკეთებენ თავიანთი პოლიტიკური და იდეოლოგიური პოზიციებიდან, მაშინ როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტი უნდა იკითხებოდეს ისე როგორც ეს ტექსტშია. პოლიტოლოგიას, და საერთოდ, მეცნიერების არც ერთ დარგს თავის აქტივში არ აქვს სამართლებრივი აქტის ახსნა-განმარტების ხერხები. ასეთი ხერხებით აღჭურვილია მხოლოდ იურისპრუდენცია. იურისპრუდენციაში ცნობილია სამართლებრივი აქტების ახსნა-განმარტების გრამატიკული, ლოგიკური, სისტემური, ისტორიული, ტექნიკურ-იურიდიული და შედარებითი ხერხები.

ახლა თავად ყარსის ხელშეკრულების შესახებ. ყარსის ხელშეკრულების სამართლებრივი განმარტება შემდეგია. ყარსის ხელშეკრულება დაიდო საბჭოთა საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს, ერთი მხრივ, და თურქეთს შორის, მეორე მხრივ. ხელშეკრულების ხელმოწერას როგორც დაინტერესებული პირი, (და არა როგორც მხარე), ესწრებოდა(!) საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი, რომელმაც თავისი ხელმოწერით მხოლოდ დაადასტურა ხელშეკრულების დადების ფაქტი და მეტი არაფერი. ეს იურიდიული ანბანია.

ისმის კითხვა ყარსის ხელშეკრულების იურიდიული ძალის შესახებ საქართველოსთან მიმართებაში. ნებისმიერ ხელშეკრულებას, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებას, იურიდიული ძალა აქვს, თუ იგი არის ხელშემკვრელი მხარეების თავისუფალი ნების გამოხატვა. ეს იურიდიული ანბანია. გამომდინარე აქედან: განა შეიძლება ვილაპარაკოთ მაშინდელი საქართველოს ნების თავისუფალ გამოვლენაზე, როდესაც იგი იყო ოკუპირებული და ანექსირებული საბჭოთა რუსეთის მიერ? ეს ხომ საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს.

თუ ეს ასეა, მაშინ რა სამართლებრივ აქტს ეფუძნება აჭარის ავტონომია? აჭარის ავტონომია შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ იმ სამართლებრივ აქტს, რომელიც არსებობდა ოკუპაციამდე და ანექსიამდე. ეს აქტი არის საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, რომლის მუხლი 107-ის თანახმად: „საქართველოს განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე), ზაქათალას (ზაქათალის ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა". ტექსტიდან არაორაზროვნად ჩანს, რომ აჭარა მოხსენებულია მხარედ და არა რესპუბლიკად, და რომ აჭარას ენიჭება ავტონომია მხოლოდ ადგილობრივ(!) საქმეებში.

ისმის კითხვა: აქვს თუ არა დღეს იურიდიული ძალა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას? რა თქმა უნდა აქვს, რადგან საქართველოს დღევანდელი კონსტიტუცია ეყრდნობა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, და არა ოკუპაციის და ანექსიის შემდეგ მიღებულ აქტებს. (იხ. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა). საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის, ისევე როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს კონსტიტუციის, ძირითადი პრინციპები მოიცავს სახელმწიფო წყობილების და მმართველობის ფორმებს. ესეც იურიდიული ანბანია.

ისმის კითხვა: მაშ რა ვუყოთ 1992 წელს საქართველო-თურქეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას? ის ხომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იყო დადებული? ამ კითხვას პასუხს სცემს საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტი: თუ საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება საქართველოს კონსტიტუციას. კონსტიტუციის დებულება, რომ დღევანდელი საქართველო არის 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს სამართალმემკვიდრე, არავის არ გაუუქმებია. ამ დებულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა კონსტიტუციური დებულების მიმართ.

კიდევაც რომ ვცნოთ ყარსის ხელშეკრულების იურიდიული ძალა, მაშინ აჭარის სტატუსი უფრო მცირდება, რადგან მას ენიჭება ავტონომიური თვითმმართველობა და არა მმართველობა. თვითმმართველობასა და მმართველობას შორის პრინციპული სხვაობაა.

ზემოაღნიშნული არის სამართლებრივი რეალობა და არა პოლიტიკური სოფისტიკა!

ძირითადი ტენდენცია

# ასლან აბაშიძემ ზღვარი გადალახა

პირველი გვერდიდან

სააკაშვილის განცხადება იყო ერთგვარი სიგნალი, რომ ორმხრივი დათმობის პირობით, კომპრომისი შესაძლებელი იყო. ოღონდ ეს მესიჯი გულისხმობდა სწორედ ორმხრივ დათმობებს, საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ფეოდალები კი, საუკუნეთა განმავლობაში უცვლელი ტენდენციის შესაბამისად, ხელისუფლების მზადყოფნას კომპრომისისათვის უცილებლად სისუსტის გამოვლინებად მიიჩნევენ.

გარდა ამისა, კომპრომისი მათ სწორედ ცალმხრივ დათმობად წარმოუდგენიათ. ჩვენს შემთხვევაში შესაძლო კომპრომისის არსი მკაფიოდ ჩამოაყალიბა ზურაბ ჟვანიამ – ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსვლის დროს. თანაც ზბიგნევ ბჟეზინსკის ცენტრში – იმ აუდიტორიის (პოლიტოლოგიური ელიტის) წინაშე გამოსვლისას, რომელსაც შესანიშნავად ესმის კომპრომისის ფასი: "მეც, ნინო ბურჯანაძეც და თვით მიხეილ სააკაშვილიც ხშირად ვესაუბრებოდით ასლან აბაშიძეს როგორც პირადად, ასევე ტელეფონით. ვთავაზობდით კომპრომისს ორმხრივი, რაციონალური დათმობის საფუძველზე, რაც ითვალისწინებდა აჭარის ოპოზიციისათვის კანონიერი მოქმედების თავისუფლებას, სამართლიანი არჩევნების ჩატარებასა და თვით აჭარაში ამგვარი არჩევნებისათვის მზადებას (იგულისხმება აჭარის სახელისუფლებო ორგანოების არჩევნები), საქართველოს ხელისუფლების მტკიცე, კონსტიტუციურ კონტროლს ეკონომიკურ საზღვარზე, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებას. ამ პირობით ჩვენ მზად ვიყავით, მიგვეცა ასლან აბაშიძისათვის გარანტია, რომ ის შეძლებდა თავისი სახელისუფლებო ვადის ამოწურვას".

პრემიერ-მინისტრის განცხადება იმითაა საინტერესო, რომ სინამდვილეში, როგორც იგი ნათელყოფს, "ტრიუმვირატის" პოზიცია ასლან აბაშიძის მიმართ სრულებითაც არ იყო ისეთი "უკანმოუხედავად შეურიგებელი და აგრესიული", როგორც ზოგიერთს ეჩვენება, ვინც ჯერ კიდევ 1998-1999 წლების ბათუმის "ალტერნატიული ცენტრის შეკრებებში" მონაწილეობდა, იმ ეპოქაში ჩარჩა და ველარ ამჩნევს, რომ ამჟამად საქართველოში 21–ე საუკუნეა.

ასეთები კვლავაც უმღერიან "ოსანას" რეჟიმის უფროსს და ყველაფერში საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებენ. ეს უკანასკნელი უცოდველი და უნაკლო ნამდვილად არ არის, მაგრამ აჭარის პრობლემა სტრატეგიული საკითხია, სტრატეგიულ საკითხში კი ხელისუფლება ან შეცდომას უშვებს და ისტორიულად მარცხდება, ან მართალია და მხარდაჭერას იმსახურებს.

"საშუალო პოზიცია" აქ არ არსებობს. მივაქციოთ ყურადღება, რომ ასლან აბაშიძე გარკვეულ კომპრომისს დათანხმდა მხოლოდ იმ საკითხებში, თუ მოთხოვნათა განხორციელება მისი რეჟიმის არსს არ შეცვლიდა: მან დაუშვა პრეზიდენტის წარმომადგენლები ბათუმის პორტსა და ფოთის საბაჟოზე. ეს, რასაკვირველია, თბილისის სერიოზული წარმატება იყო, მაგრამ შევხედოთ სიმართლეს თვალებში და ისიც ვაღიაროთ რომ, ჯერჯერობით, წარმომადგენლები მხოლოდ დამკვირვებელთა ფუნქციას ასრულებენ.

რეალური ბერკეტები ვითარებაზე და რესურსების გადაადგილებაზე კონტროლისათვის მათ არ გააჩნიათ, ანუ რეჟიმის ხელმძღვანელი არც აპირებდა ამ ბერკეტების დათმობას.

იგივე შეიძლება ითქვას თბილისში ცენტრალური ხელისუფლების კუთვნილი თანხების გადმორიცხვაზე, რაც მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდება. ესეც იმ პირობით, რომ დაუყოვნებლივ დაბრუნდება უკან - რესპუბლიკაში, ანუ ქვეყნის ხელისუფლება მათ ვერ განკარგავს სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების შესაბამისად: სუვერენული ვალის მოსამსახურებლად და გადასახდელად, პენსიონერთა დავალიანების დასაფარავად ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, არმიის საჭიროებისათვის, აგრეთვე ექსტერიტორიული პრინციპით და ასე შემდეგ.

მაშასადამე, ამ დათმობასაც, დიდწილად, ფორმალური ხასიათი აქვს და არა თვისებრივი. რაც შეეხება რეჟიმის არსთან დაკავშირებულ საკითხებს, ანუ ადამიანის უფლებათა დაცვას, ოპოზიციის თავისუფლებას, პრესის თავისუფლებას (მათ შორის თვით აჭარაში დამოუკიდებელი გაზეთების გამოცემასა და დამოუკიდებელი ტელეარხის არსებობას), დემოკრატიული არჩევნებისათვის მზადებას (თუნდაც ეს არჩევნები ავტონომიაში მხოლოდ 2 წლის შემდეგ იყოს დაგეგმილი) – აქ არათუ რაიმე დათმობა, კომპრომისი, არამედ მცირეოდენი ძვრაც კი არ შეიმჩნევა.

გასაგებია რატომ: ეს თემები უშუალოდ უკავშირდება რეჟიმის საყრდენებს. მის მკვებავ რესურსებს - აქ დათმობა რეჟიმისათვის ნელი სიკვდილის ტოლფასია ან (შემდგომ წინააღმდეგობის შემთხვევაში) რევოლუციის მომასწავებელია. თანაც თბილისურივით მშვიდობიანი რევოლუციისა - რაკი აღარ იარსებებს ტყუილსა და ცილისწამებაზე აგებული სისტემა და რეჟიმს დასაყრდენი საერთოდ აღარ ექნება.

ჯერ ასლან აბაშიძის სისტემა "ლპობის" ამ სტადიაზე არ მისულა, მაგრამ აშკარაა თვით ტენდენცია, რომლის შეცვლა რეჟიმის თავკაცს არ ძალუძს. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკაც, როგორც ჩანს, უკვე აღარ შეიცვლება, რაკი "უკანმოუბრუნებლობის წერტილი" განვლილია.

მეთოდიც გარკვეულია: მუდმივი ზეწოლა, რეჟიმისა და მისი თავკაცის მუდმივი "ძაბვის ქვეშ ყოლა", ამით რეჟიმის თანდათანობითი გამოფიტვა, ოღონდ ძალისმიერი შემადგენლის გარეშე.

გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ ასლან აბაშიძესთან საუბარს აზრი არა აქვს – იგი სხვა სისტემის პირმშო და მისივე დამცველია. საქართველოს ხელისუფლება კი ცდილობს, განსხვავებული სისტემა შექმნას. ამრიგად, მათ შორის კონფლიქტიც აბსოლუტურად გარდაუვალი იყო.

# რთულ ტერმინებს მინუს ორაზროვნება უდრის ახალ კოდექსს

*უვარგის საგადასახადო თუ საბაჟო კოდექსებზე, ალბათ, არც ერთ ქვეყანაში არ ლაპარაკობდნენ იმდენს, რამდენსაც ჩვენს ქვეყანაში და არსად არ აკეთებდნენ ისე ცოტას მის შესაცვლელად, რამდენსაც ჩვენთან. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო. ახალმა მთავრობამ საკითხის სასწრაფოდ მოგვარება ივალდებულა და ამისთვის სპეციალური ჯგუფიც შექმნა. ახალ პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებულია. მალე ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ახალი კოდექსის მუშა ვარიანტი გამოქვეყნდება და მისი განხილვაც საჯაროდ მოხდება. პროექტის ავტორებს, უპირველესად, კოდექსის გამარტივება აქვთ მიზნად დასახული. გამარტივდება საბაჟო პროცედურები და, რაც მთავარია, იგი ყველასთვის გასაგები ანუ "პოპულარული ენით" იქნება დაწერილი.*

ნინო წერეთელი

საბაჟო კოდექსი, რომელიც არსებობის ექვსწლიან პერიოდს ითვლის, 26-ჯერ შესწორდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე თვის წინ ევროკავშირმა ის მაინც დაიწუნა და ხელისუფლებას ახალი დოკუმენტის შემუშავება შესთავაზა. 850 ათასი ევროს ღირებულების პროექტი საქართველოს საბაჟო კოდექსის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას ითვალისწინებდა.

როგორც საბაჟოს პრესცენტრში გვითხრეს, ახალ კოდექსში გამარტივებული იქნება საბაჟო პროცედურები, ტვირთების გაფორმება, მკაფიოდ განისაზღვრება საბაჟო ორგანოების ფუნქციები, უფლებები და ტერმინები. ამასთან, იმპორტიორებს საბაჟო გადასახადისა და ვალის დაფარვა პროდუქტის განბაჟებიდან რამდენიმე დღის შემდეგაც შეეძლებათ.

ის, რომ დღევანდელი საბაჟო კოდექსი კორუფციის წყაროა, სადავო, უკვე დიდი ხანია, აღარ არის. ექსპერტთა უმრავლესობა საბაჟო სისტემაში არსებული აღებ-მიცემობისა და კონტრაბანდის "წახალისების" ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სწორედ მის ხარვეზებს მიიჩნევს.

სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ბიუჯეტის ქრონიკული შეუვსებლობის ერთ-ერთი მიზეზია ის არცთუ მცირერიცხოვანი საგადასახადო შეღავათები, რომლებიც დაწესებულია იმპორტულ საქონელზე. გარდა იმისა, რომ დაბალი განაკვეთით საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქციის დაბეგვრა ბიუჯეტს აზარალებს, ის ადგილობრივ მეწარმეობასა და მრეწველობას დიდად ვნებს.

1995-2000 წლებში საქართველოში მოქმედებდა უნიფიცირებული, 12-პროცენტიანი საბაჟო ტარიფი. იმ პერიოდში საქართველო იყო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, სადაც ნებისმიერი სახეობის საქონელზე უნიფიცირებული ტარიფი დაწესდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს არ გააჩნდა არავითარი საბაჟო პოლიტიკა. მოგვიანებით, საქონლის გარკვეულ ჯგუფზე დაწესდა შეღავათიანი (5 პროცენტი) ტარიფი. 2001 წელს მთლიანად საბაჟოზე აღრიცხული იმპორტის 26 პროცენტი, ესე იგი მეოთხედზე მეტი, გადასახადისაგან გათავისუფლებული იყო. შემოსული პროდუქციის მეოთხედიდან ბიუჯეტს საბაჟო გადასახადებისა და დღგ-ს სახით არც ერთი თეთრი არ მიუღია. გარდა ამისა, პროდუქციის, დაახლოებით, 28 პროცენტი შეღავათიანად იბეგრებოდა. გამოდის, რომ შემოსული საქონლის საერთო რაოდენობის 54 პროცენტი სრულიად ან ნაწილობრივ გათავისუფლებულია გადასახადისგან. ექსპერტთა გათვლებით, თუ შეღავათების ჩამონათვალს 10-15 პროცენტით შევამცირებთ, საგადასახადო შემოსავალი 30-35 მილიონი ლარით მაინც მოიმატებს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველო თავისი ორიგინალური უნიფიცირებული ტარიფით შევიდა. იმ სასაქონლო ნაწარმის ჩამოთვლა, რომლის იმპორტიც დღგ-სგან გათავისუფლებულია, შორს წაგვიყვანდა.

ექსპერტთა აზრით, საქართველომ ტარიფებზე მუშაობის პროცესში სრულად ვერ გამოიყენა ის მეთოდები, რომლებიც ეროვნული ეკონომიკური ინტერესებისთვის მიყენებულ ზარალს ტარიფების დაწევით გაანეიტრალებდა.

სხვადასხვა საგადასახადო შეღავათის დაწესება, ერთი მხრივ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანებას უკავშირდება. შეგახსენებთ, რომ 1999 წელს ამ ორგანიზაციაში შესვლით საქართველომ გარკვეული ეკონომიკური პასუხისმგებლობა და მათი "თამაშის წესების" მიღება ივალდებულა. ამას წინ უძღოდა საქართველოდან წარგზავნილი დელეგაციის ერთწლიანი მუშაობა. 2000 წელს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოხდა ამ ხელშეკრულების რატიფიცირება. ასე რომ, 2005 წლამდე ჩვენი საბაჟო ტარიფები ნელ-ნელა მსო-ს ტარიფებს უნდა მივუსადაგოთ.

რაც შეეხება ახალ საბაჟო კოდექსს, ექსპერტების განცხადებით, კოდექსის "მუშა" ვარიანტში რამდენიმე სიახლეა. გამარტივებულია კანონის მუხლები. მეწარმეებისა და ექსპორტიორ-იმპორტიორებისთვის მნიშვნელოვანი შეღავათებია დაწესებული. ტერმინთა გამარტივებაში ყველაზე მნიშვნელოვანია ტრანზიტის პროცედურების განსაზღვრა. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ეს პროცედურა გულისხმობს განუბაჟებელი საქონლის მოძრაობას ერთი საზღვრიდან მეორემდე. როგორც ამბობენ, ახალი კოდექსი მუხლების ორაზროვნებას გამორიცხავს და მებაჟეებს საკუთარი ინტერპრეტაციის ნაკლებ შესაძლებლობას დაუტოვებს.

# ფარმაცევტული ბაზარი დღეს

### ამ სფეროში მოღვაწე ბიზნესმენებს შეღავათების შესაძლო გაუქმება აშინებთ

*ეს ის იშვიათი ბიზნესია, რომლის წარმომადგენლები ძველ ხელისუფლებას ემადლიერებიან. ისინი არც მოქმედ საგადასახადო რეჟიმს უჩივიან და არც შემოსავლების სიმწირეზე წუწუნებენ. ეს ფარმაცევტული ბიზნესია, სადაც უკანასკნელი შვიდი წელია, სერიოზული საგადასახადო შეღავათები მოქმედებს. ექსპერტების შეფასებით ფარმაცევტული ბაზრის 90 პროცენტზე მეტი ლეგალურია. კონტრაბანდა და ფალსიფიკაცია აქ დღეს უმნიშვნელოა, თუმცა ბიზნესის ამ სფეროს წარმომადგენლები შიშობენ, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში მათ საზიანოდ შესული ცვლილებები, ბაზრის დიდ ნაწილს ჩრდილში მოაქცევს. ასეთი ცვლილებები კი საკმაოდ რეალურია. ახალ საგადასახადო კოდექსზე მომუშავე სამთავრობო ჯგუფის წევრები ნებისმიერი შეღავათის კატეგორიული წინააღმდეგები არიან.*

ეთერ მამულაშვილი

## სტატისტიკა

ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, ფარმაცევტულ ბაზარზე დღეს 2000-მდე სუბიექტია. აქედან 115 ფარმაცევტული ნაწარმის დისტრიბუტორია, 73 – მწარმოებელი და 1534 - საცალოდ მოვაჭრე, აფთიაქი. ამას გარდა, თბილისსა და მის ფარგლებს გარეთაც რამდენიმე არალიცენზირებული აფთიაქი ფუნქციონირებს, თუმცა მათი ციფრი უმნიშვნელოა. 5000-მდე აღწევს იმ მედიკამენტების რაოდენობაც, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არის რეგისტრირებული.

ფარმაცევტული ბაზრის 96 პროცენტი იმპორტირებულ მედიკამენტებს უკავია, მათი დიდი ნაწილი დასავლეთ ევროპული კომპანიების მიერ არის წარმოებული. რუსული, უკრაინული, ინდური, ჩინური და სხვა აზიური პრეპარატების ქართული ბაზრიდან განდევნა ნელ-ნელა ხდება. ამას ევროპულ პროდუქციაზე მომხმარებლის გაზრდილი მოთხოვნილება განაპირობებს.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში იმპორტირებული მედიკამენტების ღირებულება 19 მილიონ 95 ათას ამერიკულ დოლარს ოდნავ აღემატებოდა, ბიუჯეტში სანებართვო მოსაკრებლის სახით შეტნილი თანხები კი, დაახლოებით, 49 ათასი ლარი იყო.

"ავერსი-ფარმა", PSP და GPC ის დისტრიბუტორები არიან, რომლებიც ფარმაცევტული ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებენ. ქვეყანაში იმპორტირებული პრეპარატების 70 პროცენტზე მეტი ამ სამი კომპანიის მიერ არის დისტრიბუტირებული – შესაბამისად, 33, 30 და 10 პროცენტი. იმპორტის დარჩენილი 27 პროცენტი 112 დისტრიბუტორზე მოდის.

ბოლო რამდენიმე წელია, ქართველი დისტრიბუტორები იმპორტირებული მედიკამენტების ჩანაცვლებას ადგილობრივი ნაწარმით ცდილობენ, თუმცა საქართველოში წარმოებული პრეპარატების ოდენობა დღეს ძალიან უმნიშვნელოა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სამოცდაათზე მეტი მწარმოებელი კომპანიაა რეგისტრირებული, მათ მიერ წარმოებული მედიკამენტების სახეობა ასამდე ძლივს აღწევს. ბაზრის ამ სეგმენტზე ყველაზე მსხვილი მწარმოებელია GMP, რომელიც ამჟამად 75 დასახელების მედიკამენტს აწარმოებს. ამ კომპანიის წილი ადგილობრივ წარმოებაში, შარშანდელი მონაცემებით, 70 პროცენტი იყო. GMP–ის გენერალური დირექტორის გიორგი ანთაძის თქმით, წელს ამ მაჩვენებელმა ოდნავ მოიმატა. დარჩენილ 30 პროცენტს კი თითქმის თანაბრად 72 მწარმოებელი კომპანია ინაწილებს.

## შეღავათები

ეს ბიზნესი რომ სარფიანია, ამას ფარმაცევტულ ბაზარზე რეგისტრირებული სუბიექტების ოდენობაც ადასტურებს. თავის დროზე პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, რაც ფარმაცევტული საქმიანობის შეღავათიან დაბეგვრას ითვალისწინებდა, ბიზნესის ამ სახეობამ სერიოზული წინსვლა განიცადა.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბიზნესს ძველ ხელისუფლებაში ყოველთვის ჰყავდა ისეთი "პატრონები", რომლებიც მის სასათბურე პირობებში მოქცევას უზრუნველყოფდნენ.

1997 წლიდან მედიკამენტების დისტრიბუცია და წარმოება დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდა, მნიშვნელოვნად შემცირდა იმპორტირებული პრეპარატებისა და მათი საწარმოო მასალების საბაჟო გადასახადი, დღეს ის 1 პროცენტია. შეიძლება ითქვას, რომ ამ საგადასახადო შეღავათების შემდეგ ქვეყანაში ფარმაცევტული საქმიანობის ნამდვილი ბუმი დაიწყო. 97-98 წლებში ბაზარზე ახალი მოთამაშეები ჩნდებიან.

ბიზნესის ამ სფეროს წარმომადგენლების თქმით, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ქვეყანაში ფარმაცევტული საქმიანობის თითქმის მთლიანად გათეთრება. **"დღეს კონტრაბანდა ძალიან მცირეა, უბრალოდ, აზრი დაკარგა - საგადასახადო შეღავათების ამოქმედების შემდეგ კონტრაბანდა არაეკონომიური გახდა. მინდა გითხრათ, რომ ამ ბიზნესის გათეთრების საუკეთესო საშუალება ეკონომიკური ბერკეტები აღმოჩნდა",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს PSP-ს დამფუძნებელმა კახა ოქრუაშვილმა.

**"ფარმაცევტული სექტორი არის ძალიან კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ბიზნესის ესა თუ ის სახეობა, სწორი საგადასახადო და სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად",** - ამბობს გიორგი ანთაძე.

ბაზრის ეს სეგმენტი, რასაც ფარმაცია ჰქვია, საქართველოში უფრო ადრე, საბჭოთა იმპერიის დაშლისთანავე ჩნდება. ფარმაცევტული ბიზნესის განვითარებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ იმ პერიოდში მედიკამენტებზე განსაკუთრებული დეფიციტი იგრძნობოდა. დაახლოებით, თორმეტი წლის წინათ პაატა კურტანიძემ, რვა კვადრატული მეტრის ფართობზე 70 ამერიკული დოლარით საკუთარი ბიზნესი წამოიწყო. მედიკამენტები განვადებით გამოიტანა და პირველ კლიენტებსაც თავად ემსახურებოდა. დღეს კი მისი კომპანია ფარმაცევტულ ბაზარზე ლიდერია. ის შპს "ავერსი ფარმას" გენერალური დირექტორია და მისი წლიური სავაჭრო ბრუნვა რამდენიმე მილიონი დოლარია. პაატა კურტანიძე ამბობს, რომ მისი კომპანია ამ წარმატებას ვერ მიაღწევდა, თუკი ქვეყანაში ხსენებული საგადასახადო შეღავათები და ჯანსაღი კონკურენცია არ იარსებებდა.

## ბაზარი

ფარმაცევტულ ბაზარზე დღესაც სერიოზული კონკურენციაა, თუმცა სიტუაცია დაბალანსებულია და "გაწონასწორებული". ამ ბაზარზე თავისუფალი ნიშა, პრაქტიკულად, არ არის დარჩენილი.

როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა მოწმობს, ამ ბაზარზე წამყვანი როლი, ძირითადად, მაინც სამ კომპანიას აკისრია. ოფიციალური მონაცემების თანახმად, თითოეული მათგანის წილი ბაზარზე 35 პროცენტს არ აღემატება, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად.



*ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე დღეს 2000-მდე სუბიექტია.*

დისტრიბუტორი ფირმები ერთმანეთს გავრცელების ქსელის განვითარებაში, სერვისსა და მედიკამენტების ოპერატიულად მიწოდებაში ეჯიბრებიან. **"ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი რეგიონი და ქალაქი მოვიცვათ. თითქმის ყველა რაიონში, ყველა დიდ ქალაქში პარტნიორი გვყავს",** - ამბობს კახა ოქრუაშვილი.

რამდენიმე მსხვილმა იმპორტიორმა საცალო ვაჭრობასაც მიჰყო ხელი და საკუთარი საფირმო აფთიაქები დედაქალაქის გარდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონშიც გაიხსნა, რამაც მათ მედიკამენტების ბაზარზე ფასების დარეგულირების საშუალება მისცა. **"მანამ საკუთარ აფთიაქებს გავხსნიდით, ხდებოდა ისე, რომ ჩვენგან ნაყიდი წამლები საკმოდ მაღალ ფასებში იყიდებოდა. ჩვენი საფირმო აფთიაქების გახსნამ ფასების დარეგულირების საშუალება მოგვეცა. ამან კი, თავის მხრივ, მომხმარებელს მედიკამენტების ხელმისაწვდომ ფასებში ყიდვის საშუალება მისცა",** - ამბობს GPC-ის გენერალური დირექტორი დავით კილაძე.

რაც შეეხება ადგილობრივ წარმოებას; იმის გამო, რომ მედიკამენტების წარმოება ძვირადღირებულ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და დიდ დანახარჯებს უკავშირდება, დღეს ის ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება. თუ არ ჩავთვლით GMP-ის, საწარმოების უმრავლესობა დღეს მხოლოდ ორი-სამი დასახელების პრეპარატს აწარმოებს. საწარმოო ნედლეული, ძირითადად, იმპორტირებულია, გასაღების ბაზარი კი მთლიანად საქართველოა. მწარმოებლებზე საგადასახადო შეღავათები ვრცელდება. დღგ-ს გარდა, ისინი ნედლეულის შემოტანის დროს საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებულები არიან. თუმცა, პრეპარატის შესაფუთი მასალა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში 35-პროცენტიანი საბაჟო გადასახადით იბეგრება, **"რაც საკმაოდ მაღალია. ხანდახან ისეც ხდება, რომ მზა პრეპარატი, რომელიც საერთოდ არ იბეგრება, უფრო იაფია, ვიდრე აქ წარმოებული",** - GMP-ის დირექტორი გიორგი ანთაძე ფიქრობს, რომ ეს "ხარვეზი" ახალმა ხელისუფლებამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოასწოროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში ფარმაცევტული ნაწარმის წარმოება ერთ ადგილზე გაიყინება.

ადმინისტრაციის გამკაცრება და არსებული საგადასახადო რეჟიმის შენარჩუნება - ეს არის ის ორი ძირითადი რეკომენდაცია, რომლის აღსრულებას, მწარმოებლებთან ერთად, დიტრიბუტორებიც ელიან. პირველის შედეგები, გარკვეულწილად, უკვე სახეზეა, რაც შეეხება მეორეს – საგადასახადო შეღავათებს, ახალ ხელისუფლებაში მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. პარლამენტარი ბესო ჯუღელი, რომელიც, ამავდროულად, იმ კომისიის წევრია, რომელიც ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობს, ნებისმიერი შეღავათის კატეგორიული წინააღმდეგია. **"არანაირი შეღავათი! ჩვენ ყველას ლიბერალურ საგადასახადო კოდექსს შევთავაზებთ, რომლის განაკვეთები შეღავათიანი იქნება",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ბესო ჯუღელმა. მისივე ინფორმაციით, დაახლოებით იგივეს ფიქრობს კომისიის თითქმის ყველა წევრი.

**"დღგ - ეს არის მომხმარებლის მიერ გადახდილი არაპირდაპირი გადასახადი. არ შეიძლება ავადმყოფი ადამიანი, რომელსაც შრომისუნარიანობა დაკარგული აქვს, დაბეგრო. ეს უსამართლობა იქნება",** - ამბობს პაატა კურტანიძე. მის მსგავსად, სხვა დისტრიბუტორებიც ფიქრობენ, რომ შეღავათების გაუქმება მედიკამენტების კატასტროფულად გაძვირებას ან ბაზრის დიდი ნაწილის "გაშავებას" გამოიწვევს.




# მილიონი ლარი სამცხე-ჯავახეთის გზებისთვის

*გასული კვირის მიწურულს, საქართველოს გზების მდგომარეობის შესაფასებლად, ინფრასტრუქტურის და განვითარების მინისტრი თამარ სულუხია სპეციალური დელეგაციით სამცხე-ჯავახეთს ეწვია. სურათი იმდენად მძაფრი იყო, რომ მინისტრმა დედაქალაქში დაბრუნებისთანავე მიიღო გადაწყვეტილება.*

დიანა ჩაჩუა

სახელმწიფო დელეგაციის თბილისში დაბრუნებისთანავე, რომლის შემადგენლობაშიც საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი რომან დალაქიშვილიც შედიოდა, სულუხიამ რეგიონის გზების რეაბილიტაციისათვის ერთი მილიონი ლარის გამოყოფის გადაწყვეტილება მიიღო. როგორც სამინისტროში აცხადებენ, ამ თანხით ჟდანოვკა-ნინოწმინდის, ასპინძა-ახალქალაქის, კარზახ-ახალქალაქის და ასევე ნინოწმინდის და ახალქალაქის იმ გზების ნაწილის გარემონტებაა შესაძლებელი, რომლებიც სახელმწიფო გზებს ეკუთვნის. ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის განცხადებით, სამომავლოდ ასევე აუცილებელია კარზახ-ახალქალაქის და წალკა-ნინოწმინდის გზების კაპიტალური გარემონტება.

თუმცა, აღნიშნული გზების გარდა, რეაბილიტაციას სხვა ბევრი გზაც საჭიროებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთლიანობაში სამცხე-ჯავახეთში 1412 კმ-იანი გზაა და მისი უდიდესი ნაწილი მძიმე მდგომარეობაშია. რეგიონის გზებს შორის: საერთაშორისო მნიშვნელობის - 186 კმ-ია, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის - 243 კმ, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის - 983 კმ.

როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტში აცხადებენ, **"მარშრუტებზე საგზაო პირობების უაღრესად დაბალმა დონემ ავტოტრანსპორტის მოძრაობის პარალიზება განაპირობა, რაც სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით უმოკლეს ვადაში უნდა გამოსწორდეს."**

დეპარტამენტის განცხადებით, განსაკუთრებული სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება თბილისი-წალკა-ნინოწმინდის მარშრუტზე ნორმალური პირობების აღდგენას. ეს მარშრუტი ახალქალაქის, ნინოწმინდის და წალკის რაიონის მოსახლეობას თბილისთან და საქართველოს ცენტრალურ რეგიონებთან საავტომობილო გადაზიდვების განხორციელებაში უწევს მომსახურებას. ამასთან, ამ მარშრუტს კიდევ ერთი პლიუსი აქვს - იგი ნინოწმინდიდან თბილისამდე მანძილს, ახალციხე-ხაშურის მარშრუტთან შედარებით, 120 კმ-ით ამცირებს.

დეპარტამენტის ცნობით, მიმდინარე წელს, გარდა ზემოთ აღნიშნული გზებისა, სამადლო-პანტიანის მონაკვეთის 28-32 კმ-ში სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელებაა გათვალისწინებული. ასევე, მსოფლიო ბანკის სესხით პანტიანი-მანგლისის 20 კმ-იანი გზის პროექტირება მიმდინარეობს, რომლის მშენებლობაც 2005 წლიდან არის დაგეგმილი. და კიდევ ერთი, მსოფლიო ბანკის დახმარება - 2003 წელს ბორჯომში განახლებული 10 კმ-იანი საფარი კიდევ 9 კმ-ზე განახლდება.

გარდა ამისა, პერსპექტივაშია თურქეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტ კარწახიდან ახალი, 33 კმ სიგრძის საავტომობილო გზის მშენებლობა, სადაც როგორც გეგმავენ, საერთაშორისო ტვირთგადაზიდვები განხორციელდება.

საერთო მდგომარეობის მიხედვით, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა ახალციხე-ვალე-თურქეთის საზღვარზე. წელს გათვალისწინებულ სამუშაოებს შორისაა ახალციხე-ადიგენის მონაკვეთზე 141 და 143 კმ-ში დაზიანებული სახიდე გადასასვლელების რეკონსტრუქცია, რომელთა საერთო ღირებულებაც 115 ათას ლარს შეადგენს.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ გზებისა, რომლებიც აუცილებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს მოითხოვენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს სამცხე-ჯავახეთში, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდა, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე მოვლა-შენახვის 995 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებია ჩასატარებელი, მაშინ ის თანხა, რაც ინფრასტრუქტურის და განვითარების სამინისტრომ გამოჰყო, ბევრად სულაც არ მოგვეჩვენება.

# მასხადოვზე „ნადირობის" სეზონი დაწყებულია

ლევან ღირსიაშვილი

ბოლო პერიოდში ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის თემა საერთაშორისო მედიაში განსაკუთრებით აქტიურად შუქდება. მარტი-აპრილის თვეებში მასხადოვმა რამდენჯერმე ჩაატარა საველე მეთაურების გაფართოებული თათბირი, მისცა ინტერვიუ უცხოელ ჟურნალისტებს, ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა ევროპარლამენტს, სადაც რუსეთის აგრესიის შეჩერებაში დახმარება სთხოვა. გარდა ამისა, გაზაფხულის დადგომამ ჩეჩენ პარტიზანთა საგრძნობლად გააქტიურებას მისცა ბიძგი. ყოველივე ამან, რუსეთის ხელისუფლების და მოსკოვის მიერ ჩეჩნეთის ხელმძღვანელად დასმული აჰმად კადიროვის მთავრობის შეშფოთება გამოიწვია. ჩეჩნური წინააღმდეგობის წელში გატეხვის ერთადერთი გზა კი რუსეთის სპეცსამსახურებისათვის დღემდე მოუხელთებელი იჩქერიის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის ლიკვიდაცია ან შეპყრობაა. სწორედ ამ მიზნით, აპრილის დადგომისთანავე, კადიროველებმა და რუსეთის სპეცნაწილებმა ჩეჩნეთის მთიან რაიონებში სპეცოპერაციების განხორციელება დაიწყეს. უკვე ერთი თვეა, რაც ასლან მასხადოვზე გამალებული ნადირობა მიმდინარეობს. თუმცა, დღემდე უშედეგოდ.

ჩეჩნეთში დისლოცირებული რუსეთის არმიის შტაბის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მასხადოვს მხოლოდ ორი გზა აქვს დარჩენილი. პირველი – ჩეჩნეთიდან გაქცევა, რაც საკმაოდ პრობლემატურია, რადგან მისთვის სამაგალითოა საველე მეთაურის რუსლან გელაევის ბედი, რომელიც ქვეყნის დატოვების მცდელობისას დაღესტნის მთებში იქნა განადგურებული. მეორე გზა კი – კაპიტულაციის გამოცხადება და ჩაბარებაა. ამ შემთხვევაში იჩქერიის პრეზიდენტს სიცოცხლე შეუნარჩუნდება, მაგრამ მის წინააღმდეგ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე შეიარაღებული ამბოხის ორგანიზების ბრალდებით. მაგრამ მასხადოვისთვის მესამე გზაც არსებობს. ამაზე ცოტა ქვემოთ.

მასხადოვზე აქტიური ნადირობის დაწყებისას, ერთი თვის წინ, "კრემლის კაცად" წოდებული კადიროვი აცხადებდა, რომ მან არაფერი იცოდა ჩეჩნეთის მთებში მიმდინარე სპეცოპერაციების შესახებ. **"მასშტაბური სპეცოპერაცია რომ მიმდინარეობდეს, მე საქმის კურსში ვიქნებოდი,"** - აცხადებდა კადიროვი. მისი "არაინფორმირებულობა" ადვილი ასახსნელი იყო, რადგან "კრემლის კაცმა" ძალები ჯერ დიპლომატიაში მოსინჯა. კადიროვმა მასხადოვს, ნებაყოფლობით ჩაბარების შემთხვევაში, უსაფრთხოების გარანტია მისცა. **"თუკი მასხადოვი თავად ჩაგვბარდება, მე რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს მის შეწყალებას ვთხოვ,"** - პირობა დადო კადიროვმა. ამის პარალელურად კი, მასხადოვის მოსახელთებლად ჩეჩნეთის მთიან რაიონებში სპეცოპერაციები დაიწყო, რასაც მხოლოდ ერთი შედეგი მოჰყვა: ჩეჩნურ სოფლებში ე.წ. წმენდები განხორციელდა. მასხადოვი კი არსად ჩანდა.

მან კადიროვის "წყალობას" მკვეთრი განცხადებით უპასუხა, რაც სათანადოდ გაშუქდა კიდეც როგორც ჩეჩნურ, ასევე რუსულ მედიაში. **"მე არაფრით შემიძლია კადიროვს უსაფრთხოების გარანტია მივცე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ჩეჩნეთის სამართალდამცავ ორგანოებს ჩაბარდება და ჩეჩნეთის ხელისუფლებას თავის დამნაშავე ბანდებს ჩააბარებს. გარდა ამისა, მე ვერ ვთხოვ შარიათის სასამართლოს მის შეწყალებას, რადგან მის მიერ ჩადენილი დანაშაულების მასშტაბი ძალზედ დიდია,"** - განაცხადა ასლან მასხადოვმა.


მასხადოვი თანამებრძოლებთან ერთად.

მან არც კი ისურვა კომენტარი გაეკეთებინა აჰმად კადიროვის მიერ დაპირებულ "წყალობაზე" და მუქარას მუქარითვე გასცა პასუხი. მისი შინაარსი კი ცალსახაა – ჩეჩნეთის კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს ასლან მასხადოვს "კრემლის კაცის" ნაწყალობევი სიცოცხლე არ სჭირდება.

ამ განცხადების შემდეგ, აჰმად კადიროვის დანაყოფებმა მასხადოვზე ნადირობა გაათმაგებული ენერგიით განაგრძეს. მათთან ერთად, ამბოხებულ პრეზიდენტს რუსეთის სპეცსამსახურების ელიტარული დანაყოფებიც ეძებენ. თუმცა, კვლავ უშედეგოდ.

მათ ნაცვლად, მასხადოვს უცხოელი ჟურნალისტები პოულობენ და ისიც თანხმდება ვრცელი ინტერვიუს მიცემაზე. საინფორმაციო საშუალებებმა ათიოდე დღის წინ პოლონელი ჟურნალისტის იაგელსკის მიერ მასხადოვისათვის ჩამორთმეული ინტერვიუ გაავრცელეს. ჟურნალისტი, როგორც ჩანს, ჩეჩენი მებრძოლების ლიდერის კონსპირაციას მკაცრად იცავს და არაფერს ამბობს, თუ რა ვითარებაში იქნა ინტერვიუ აღებული. **"რუსეთის სამხედრო მანქანას ჩეჩენი ხალხის ნების გატეხვა არ შეუძლია, ხოლო ჩეჩნეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს ასევე არ შეუძლიათ ბირთვული სუპერსახელმწიფოს არმიის დამარცხება. რუსეთ-ჩეჩნური კონფლიქტის გადაწყვეტა მოლაპარაკების მაგიდასთან ურთიერთმისაღები პირობების პოვნითაა შესაძლებელი,"** - აცხადებს პრეზიდენტი მასხადოვი და კრემლს სისხლისღვრის შეჩერებისაკენ და ომის დასრულებისაკენ მოუწოდებს.

ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მასხადოვი კვლავ არენაზეა და მოქმედებას განაგრძობს. ეს კი მყარი საფუძველია კრემლისათვის, რათა მასხადოვის ლიკვიდაცია ან დაპატიმრება ნებისმიერ ფასად მოახერხოს. ნადირობა გრძელდება.

თუმცა, უკვე ორი დღის წინ, შაბათს, რუსული და ჩეჩნური საიტებით გავრცელდა ინფორმაცია "კადიროველებზე" და რუს ჯარისკაცებზე განხორციელებული მასშტაბური თავდასხმის შესახებ. რუსული პრესის თანახმად, ყურჩალოს და ალეროს დასახლებულ პუნქტებში განხორციელებულ ოპერაციებს უშუალოდ ასლან მასხადოვი ხელმძღვანელობდა. **"ერთ-ერთმა დაკავებულმა მებრძოლმა ჩვენების მიცემისას განაცხადა, რომ მასხადოვი შეტაკების ადგილიდან ოდნავ მოშორებით იმყოფებოდა და მებრძოლთა ჯგუფს მეთაურობდა,"** - განაცხადა კადიროვის უშიშროების სამსახურის შეფმა რამზან კადიროვმა. მისი თქმით, მასხადოვმა გარს შემოიკრიბა ყველა ჩეჩენი მებრძოლი, ასევე დაღესტნის მთებში მოქმედი რაფან ხალილოვის დაჯგუფება და ძალის დემონსტრირება მოახდინა. არსებული ინფორმაციით, მასხადოვს წელზე ასაფეთქებელი მოწყობილობა აქვს მიმაგრებული და, ჩავარდნის შემთხვევაში, ის თავს აიფეთქებს.

პარალელურად, აჰმად კადიროვმა გაავრცელა განცხადება ასლან მასხადოვის ადგილსამყოფელის შესახებ. მისი თქმით, მასხადოვმა მთელი ზამთარი ჩეჩნეთის სიდიდით მეორე ქალაქ გუდერმესში გაატარა. **"ჩვენ გაგვაჩნია ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, გუდერმესში, პერეხოდნაიას ქუჩაზე, მას რვა ათას ამერიკულ დოლარად უყიდეს სახლი. ჩვენ ასევე ვიცით, თუ ვინ დაეხმარა მას ამის გაკეთებაში,"** - აცხადებს კადიროვი. მისი თქმით, სახლი უკვე კონფისკირებულია და ასევე ტარდება აუცილებელი ღონისძიებები მასხადოვის ამჟამინდელი ადგილსამყოფელის დასადგენად და მის დასაკავებლად. ამისათვის კი ამოქმედებულია ჩეჩნეთის უშიშროების სამსახურის ძირითადი რესურსები. კადიროვმა ჟურნალისტებს ასევე შეახსენა, რომ მასხადოვი ჩეჩნეთის მოსახლეობაში ავრცელებდა ვიდეო და აუდიო მიმართვებს, სადაც ხალხს არწმუნებდა თითქოს ის მთებში ყოფილიყო გამაგრებული. **"სინამდვილეში კი ის თბილ ადგილას იჯდა და არაფერი აკლდა,"** - აცხადებს კადიროვი.

ცხადია, "კრემლის კაცის" ეს განაცხადი ასლან მასხადოვის დისკრედიტირებას ისახავდა მიზნად. კერძოდ, თითქოს იჩქერიის პრეზიდენტს თავისი მხარდამჭერები სრულიად არ ანაღვლებს და გუდერმესში თბილად იყო მოკალათებული. მაგრამ, ბავშვსაც კი გაუჩნდება კითხვა, თუ როგორ შეძლო რუსეთის ნომერ პირველმა მტერმა ელიტარული დანაყოფებით და აგენტებით გავსებულ გუდერმესში მთელი ზამთრის გატარება და თან ინტერვიუების მიცემა, თათბირების ჩატარება და აუდიო-ვიდეო მიმართვების გავრცელება. თუკი მან ეს მართლაც მოახერხა, ეს, პირველ რიგში, კადიროვის და მისი მოსკოველი პატრონების დილეტანტიზმზე და უმწეობაზე მეტყველებს.

მოახერხებენ თუ არა კრემლის ერთგული ადგილობრივი "კადიროველები" და რუსეთის სპეცსამსახურები მასხადოვის ნეიტრალიზებას? ან რა ფორმით მოხდება ეს: დაპატიმრებით თუ ლიკვიდაციით? თუკი ჩეჩნეთის ტერიტორიის მცირე მასშტაბს გავითვალისწინებთ, რაც ადგილის ხშირ ცვლას და კონსპირაციის მაღალი დონის შენარჩუნებას მეტად აძნელებს, არ არის გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩეჩნეთის ამბოხებული პრეზიდენტი "მონადირეთა" მიერ დაგებულ ხაფანგში აღმოჩნდეს. ხოლო, თუ რა ფორმით მოხდება მისი ნეიტრალიზება, ამაზე პასუხი გაცილებით ადვილია - ასლან მასხადოვი მტერს ცოცხალი არ ჩაბარდება. რუსეთის სპეცსამსახურებმა ვერც ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის და ვერც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის – ზელიმხან იანდარბიევის შეპყრობა მოახერხეს. საეჭვოა, რომ ასლან მასხადოვი გამონაკლისი აღმოჩნდეს.

# შარონის გეგმას ისრაელის მმართველი პარტია დაამტკიცებს

ნიკა თარაშვილი

კვირას ისრაელში პარტია "ლიკუდის" წევრთა გამოკითხვა ჩატარდა მათი ლიდერის, პრემიერ-მინისტრ არიელ შარონის "დაშორიშორების გეგმასთან" დაკავშირებით. პარტიის 193 ათასი წევრს უნდა ეპასუხა კითხვაზე, უჭერს თუ არა მხარს ღაზას სექტორიდან ჯარის გამოყვანისა და ებრაული დასახლებების გაუქმების პროექტს. რეფერენდუმის შედეგებზე ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ისრაელის პრემიერი საკითხს დასამტკიცებლად მთავრობისა და პარლამენტის წინაშე გაიტანდა, ხოლო საკითხის ჩავარდნის შემთხვევაში, აშკარა სამთავრობო კრიზისი იქნებოდა სახეზე. ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას შარონი აცხადებდა: "ვინც მხარს უჭერს გეგმას, ის მე მიჭერს მხარს, ხოლო ვინც წინააღმდეგია, ის ჩემი წინააღმდეგიცაა." მან ასევე მიანიშნა, რომ ღაზადან ევაკუაციის გეგმა მოწონებული იქნა აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ. "სწორედ ამიტომ მასზე უარის თქმა აშშ-სთან ურთიერთობის გაუარესებას გამოიწვევს, რაც, თავის მხრივ, ისრაელის საერთაშორისო პოზიციებსა და ქვეყნის შიდა ვითარებაზე აისახება," - ხაზი გაუსვა პრემიერმა.

არიელ შარონი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მისი გეგმა სამშვიდობო პროცესის შემადგენელი ნაწილია, თუმცა პალესტინელები აცხადებენ, რომ ისრაელი ამგვარი ქმედებით ცალმხრივად ახდენს საზღვრების გავლებას და მათ აზრს არ ითვალისწინებს.

რეფერენდუმის შედეგები ჯერჯერობით უცნობია. "ბი-ბი"სი"-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტი შარონის გეგმის მომხრეა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პარტია ლიკუდის ყველა წევრიც იგივე აზრს იზიარებს. გუშინ ლიკუდის ერთ-ერთი წევრი აცხადებდა, რომ დასახლებების ევაკუაცია არაფერია, თუ არა გაქცევა. მისი სიტყვებით შარონის გეგმა ეწინააღმდეგება ყველაფერს, რასაც პრემიერ-მინისტრი ერთი წლის წინ ამბობდა. "მთავრობის მეთაურმა საჭიროდ არ ჩათვალა, თანაპარტიელებისათვის მისი პოზიციის ასეთი მკვეთრი ცვლილების მიზეზები აეხსნა. ტერორისტებისათვის დათმობა მხოლოდ და მხოლოდ გააძლიერებს ტერორს. ხოლო დასახლებების ევაკუაცია ტერორისტებს კიდევ ერთ საბაბს მისცემს, ილაპარაკონ გამარჯვებაზე," - აცხადებს იგი.

შარონის მოწინააღმდეგეებმა სერიოზული კამპანია გამართეს. აქტივისტები პარტიის ათეულობით ათას წევრთა ოჯახს შეხვდნენ, ხოლო ღაზას სექტორის ებრაული მოსახლეობა დასვენების დღეებს ნათესავებთან, ებრაულ მხარეს ატარებდა. ებრაელი ახალმოსახლეები თვლიან, რომ ღაზას დატოვება შეფასებული იქნება, როგორც "ჰამასის" გამარჯვება. სხვათა შორის, ბევრი ებრაელი ისრაელის მიერ სამხრეთ ლიბანის დატოვებას დღემდე სინანულით იხსენებს. მაშინ ეს მოვლენა ლიბანში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაცია "ჰეზბოლას" ტრიუმფად იქცა.

## რას გულისხმობს შარონის გეგმა?

რეფერენდუმზე გატანილი დოკუმენტის თანახმად, ისრაელმა სრულად უნდა დატოვოს ღაზას სექტორი, მათ შორის, გაყვანილი უნდა იქნეს 9,5 ათასი ებრაელი ახალმოსახლე და ამ რაიონში დისლოცირებული სამხედრო შენაერთები. პარალელურად, ისრაელის შეიარაღებული ძალები განლაგდებიან ე.წ. "ფილადელფიის დერეფანში" ეგვიპტის საზღვრამდე. ამ პროცესის დასრულების შემდეგ ღაზას სექტორში, სადაც დღეს 1.3 მლნ პალესტინელი ცხოვრობს, აღარ იქნება არც ერთი ებრაელი - არც სამხედრო და არც სამოქალაქო. ისრაელი ამ ნაბიჯით ცდილობს, ღაზას სექტორის ოკუპანტის იმიჯი მოიშოროს. რაც შეეხება "ფილადელფიის დერეფნიდან" ჯარების გაყვანას, ის დამოკიდებული იქნება უსაფრთხოების მდგომარეობაზე ზონაში და რეგიონში სტაბილიზაციის საქმეში ეგვიპტის მონაწილეობის ხარისხზე. ებრაელები ასევე ჩრდილოეთ გალილეის განიმის, ხომეშისა და სანურის რაიონებს (დასავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთი ნაწილი) დატოვებენ, სადაც ყველა მუდმივ სამხედრო ობიექტს გააუქმებენ. ამასთანავე, ისრაელი ვალდებულებას იღებს, გააუმჯობესოს იუდეისა და სამარიის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ხოლო რაც შეეხება "გამყოფი კედლის" მშენებლობას, იგი მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად გაგრძელდება, თუმცა ყველა შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება ჰუმანიტარული მოსაზრებები.


არიელ შარონი გამოკითხვის შედეგების მოლოდინში.

ისრაელი თავდაცვის უფლებას იტოვებს და აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მათ საფრთხე შეექმნებათ, ამ ტერიტორიაზე პრევენტულ დარტყმებს მიიტანს. ასევე გაგრძელდება ღაზას სექტორის საჰაერო სივრცისა და საზღვაო აკვატორიის პატრულირება. აგრეთვე, აიკრძალება იარაღის შეტანა, რომელიც ორ მხარეს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული არ იქნება.

ისრაელი თანახმაა, მოხდეს პალესტინის უსაფრთხოების ძალების კონსულტირება და წვრთნა, ასევე მათთვის აშშ-ს, ბრიტანეთისა და ეგვიპტის მხრიდან გაწეული დახმარების მიღება, თუ ამ დახმარების მიზანი ტერორიზმთან ბრძოლა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა იქნება. ერთადერთი, რაშიც ისრაელი კატეგორიულია, ის საკითხია, რომ მისი თანხმობის გარეშე ღაზას სექტორში რომელიმე სხვა ქვეყნის სამხედრო ძალების შეყვანა არ მოხდეს.

გამოქვეყნებულ დოკუმენტში ერთ-ერთ საკითხადაა შეტანილი საერთაშორისო ორგანოს შექმნა, რომელიც ებრაელთა მიერ გათავისუფლებულ ტერიტორიაზე დატოვებულ ინფრასტრუქტურას შეაფასებს. ისრაელს ევაკუაციის შედეგად მიყენებული ეკონომიკური ზარალისათვის კომპენსაციის მიღების იმედი აქვს. თუმცა, ის საყოფაცხოვრებო კომუნიკაციები, რომლებითაც პალესტინელები სარგებლობენ, ხელუხლებელი დარჩება.

ღაზას სექტორიდან და ჩრდილოეთ სამარიიდან გასვლის პროცესის დასრულება დაგეგმილია 2005 წლის ბოლოსათვის. საბოლოო გრაფიკი ამერიკელებთან ერთად იქნება შემუშავებული.

## მშვიდობა მიწის სანაცვლოდ?

ასეთია ებრაელთა პოზიცია. თუმცა, იგი უსაფრთხოების სრულ გარანტიას მაინც არ იძლევა. გუშინაც, იმ დროს, როცა "ლიკუდის" წევრები შარონის გეგმას აძლევდნენ ხმას, ღაზას სექტორში ძალადობა გრძელდებოდა. ისრაელის ოფიციალური საინფორმაციო წყაროები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ ტერორისტებმა 4 მშვიდობიანი ებრაელი, მათ შორის, 3 მცირეწლოვანი ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლეს.

ძნელია ივარაუდო, რა გავლენას მოახდენს ეს ფაქტი რეფერენდუმის შედეგებზე. მას როგორც გეგმის მომხრეების, ასევე მოწინააღმდეგეების არგუმენტების გაძლიერება შეუძლია. თუმცა, სისხლისღვრის შესაჩერებლად ყველა საშუალების გამოყენება, მათ შორის, ერთგვარი უკანდახევაც არიელ შარონს გამართლებულად მიაჩნია.

# პეკინი და ტოკიო რუსული ნავთობისთვის იბრძვიან

*რუსული ნავთობის სატრანსპორტო გზის განსასაზღვრად, ჩინეთი და იაპონია დიპლომატიურ ომს აწარმოებენ.*

ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში მდებარე ქალაქი დაცინი ერთ დროს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის სიმბოლო იყო. 1959 წელს, ნავთობის დიდი მარაგების აღმოჩენამ ჩინეთს საშუალება მისცა, საბჭოთა კავშირზე ცალმხრივი დამოკიდებულებისათვის თავი დაეღწია და ცივი ომის დროს არსებულ დაპირისპირებაში საკუთარი თამაში წამოეწყო. მართალია, დაცინის საბადოებიდან ნავთობის მოპოვება კვლავაც მიმდინარეობს, მაგრამ მოპოვების მოცულობა ყოველწლიურად კლებულობს. ამავდროულად, ჩინეთის მზარდი ეკონომიკა სულ უფრო მეტ ენერგიას მოითხოვს, რომლის დაკმაყოფილება მხოლოდ იმპორტით არის შესაძლებელი.

პეკინში მყოფი ენერგეტიკის სფეროს სტრატეგოსები გამოსავალს ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე არსებულ საბადოებში ხედავენ. თუმცა, ჩინეთისათვის სამწუხაროდ, იმავეს ფიქრობს პეკინის ისტორიული მეტოქე იაპონია.

თუ ჩინეთი თავის ჩანაფიქრს განახორციელებს, დაცინი დაუმუშავებელი რუსული ნავთობის ტერმინალი გახდება. ნავთობი, 2300-კილომეტრიანი მილსადენით, აღმოსავლეთ ციმბირში მდებარე ქალაქ ანგარსკიდან ჩინეთში გადაიქაჩება.

დაცინი, ამ შემთხვევაში, წარსულ დიდებას დაიბრუნებს და რუსული ნავთობის გადამუშავების ცენტრი გახდება. ამ ქალაქში რამდენიმე დიდი გამოსვლა მოეწყო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, რადგან სახელმწიფოს მუშების დათხოვნა მოუხდა. ნავთობსადენის აშენების შემთხვევაში, ჩინეთში ყოველწლიურად 20-30 მილიონი ტონა ნავთობი გადაიქაჩება, რაც ჩინეთის ამჟამინდელი იმპორტის 30 პროცენტს შეადგენს.

იაპონიის გეგმის თანახმად კი, ნავთობსადენი ჩრდილოეთის პორტ ნახოდკაში უნდა წავიდეს, საიდანაც ნავთობი იაპონიასა და აზიის სხვა ქვეყნებში გადაიქაჩება, მათ შორის, ჩინეთშიც. თეორიულად, შესაძლოა, მილსადენი დაცინისაკენ გაიტოტოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ანგარსკში ამდენი ნავთობი შეიძლება არც იყოს.

იმის მიუხედავად, რომ აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობის საბადოები ძალზე მდიდარია, მათ დამუშავებას დიდი ინვესტიციები სჭირდება. იაპონია მზად არის, რომ ნახოდკის პროექტი, რომელიც ჩინურთან შედარებით ორჯერ უფრო ძვირი ჯდება (დაახლოებით, 5 მილიარდი დოლარი), დააფინანსოს. ეს ჩინელების აღშფოთებას იწვევს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ რუსებთან შეთანხმება უკვე მიღწეული იყო.

ანალიტიკოსების აზრით, რუსეთი უპირატესობას იაპონურ ვარიანტს მიანიჭებს. იაპონური სქემა ერთ იმპორტიორზე დამოკიდებულებას გამორიცხავს. ეს პროექტი აღმოსავლეთ ციმბირში მილიარდობით იაპონურ ინვესტიციებს გულისხმობს, რაც მოსკოვს ამ რეგიონის პოტენციალის ასამოქმედებლად სჭირდება (თუმცა, იაპონელი ინვესტორები, პროექტის სიძვირის გამო, დიდ ენთუზიაზმს არ გამოხატავენ). ამას გარდა, დაცინის მხარდამჭერი რუსი ბიზნესმენი მიხეილ ხოდორკოვსკი გადასახადების დამალვის გამო დააპატიმრეს.


მილსადენების მარშრუტი შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფოების ბედს განსაზღვრავს.

ლონდონის სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის ექსპერტი ოკსანა ანტონენკო თვლის, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ნახოდკის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიიღო. მისი აზრით, ეს მარშრუტი პუტინის გეგმებს უფრო შეესაბამება, რომლის თანახმად, შორეული აღმოსავლეთი უნდა განვითარდეს. ნახოდკის მილსადენით შესაძლებელი გახდება არა მარტო უცხოელი მომხმარებლების დაკმაყოფილება, არამედ შიდა ბაზრის ათვისებაც. "ნახოდკის მიმართულებიდან დაცინისაკენ მილსადენის გაყვანა თეორიულად, შესაძლოა, განიხილებოდეს, მაგრამ რეალურად ეს არასოდეს განხორციელდება."

ჩინეთის უმთავრეს მიზანს საერთაშორისო ბაზრებზე ფასების მერყეობისაგან თავის დაცვა წარმოადგენს. ამჟამად, ჩინეთი საკუთარი მოთხოვნილების ერთ მესამედს იმპორტით იკმაყოფილებს. სხვადასხვა გათვლებით, ეს მაჩვენებლი 2030 წლისთვის, დაახლოებით, გაორმაგდება. ჩინეთში იმპორტირებული ნავთობის ნახევარი ახლო აღმოსავლეთიდან მოედინება. ტანკერები მალაიზიასა და ინდონეზიას შორის მდებარე მალაკის სრუტეს გადიან, რომელიც მეკობრეობით არის განთქმული. ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალები საიმისოდ მომზადებული და აღჭურვილი არ არის, რომ ოპერაციები ჩინეთიდან ასეთი დაშორებით განახორციელონ. ახლო აღმოსავლეთში არსებულმა არასტაბილურობამ და ფასების მერყეობამ ჩრდილო-დასავლეთ აზიაში მდებარე სახელმწიფოების მმართველებს ალტერნატიული მოწოდების წყაროების ძიებისაკენ უბიძგა.

დაცინის პროექტის მოსალოდნელი ჩავარდნისა და ახლო აღმოსავლეთის ქრონიკული არასტაბილურობის გამო, ჩინეთმა თვალი ცენტრალურ აზიას მიაპყრო. რამდენიმე წლის წინ შექმნილი ნავთობსადენის მშენებლობის პროექტი, რომელიც სიძვირის გამო თაროზე იყო შემოდებული, ისევ აქტუალური გახდა. ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი პეკინს მაისის შუა რიცხვებში ეწვევა და, სავარაუდოდ, ხელს მოაწერს 1200-კილომეტრიანი ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც ატასუს (ყაზახეთი) ტუშანძისთან (სინძიანის რეგიონი) დააკავშირებს. სამუშაოები, შესაძლოა, ამ ზაფხულს დაიწყოს და რამდენიმე წელიწადში დასრულდება.

იმის მიუხედავად, რომ ამ მილსადენით ნავთობი ჩინეთში გადაიქაჩება, მას კიდევ უზარმაზარი გზის გავლა მოუწევს, რათა აღმოსავლეთ სანაპიროზე ეკონომიკურად ყველაზე აქტიურ რაიონებს მიაღწიოს. ეს ძალზე ძვირადღირებული პროექტია, რომელსაც ჩინელები 3 მილიარდ ამერიკულ დოლარად აფასებენ. საკონსულტაციო ფირმა "კეიმბრიჯ ენერჯი რიზერჩ ასოშეიტედის" ექსპერტი სკოტ რობერტსი ამბობს, რომ, მართალია, პროექტი ძვირია, მაგრამ "სასწორის მეორე პინაზე სტრატეგიული ღირებულება დევს. ჩინეთისთვის ენერგეტიკული უსაფრთხოება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოებისათვის და, ამ თვალსაზრისით, ამ მილსადენის აშენებას აზრი აქვს, თუკი ის სტაბილურ მოწოდებას უზრუნველყოფს."

ახლახან, ჩინეთმა დაამტკიცა, რომ მზად არის, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ენერგეტიკულ პროექტებში ძალიან ბევრი ფული დახარჯოს. ლუნანიდან (სინძიანი) შანხაიმდე 4000-კილომეტრიანი გაზსადენის მშენებლობა 15 მილიარდი ამერიკული დოლარი ჯდება და ეს ყველაზე ძვირი პროექტია. გაზსადენი მუშაობას ამ წლის ბოლოდან შეუდგება. ჩინეთი ამ პროექტით სინძიანის ეკონომიკის განვითარებასაც ცდილობს, რათა ამ რეგიონში სტაბილურობა უზრუნველყოს. ამავდროულად, ჩინეთს სურს, რომ ეკოლოგიური თვალსაზრისით, უფრო სუფთა ბუნებრივი აირი ინტენსიურად გამოიყენოს. აღსანიშნავია, რომ როდესაც გაზი სინძიანიდან შანხაიმდე მიაღწევს, მისი ფასი, საწვავის სხვა სახეობებთან შედარებით, წამგებიანი იქნება. თუმცა, ამგვარი საკითხები პეკინში ნაკლებად აღელვებთ.

# რევოლუციის სიომ გორის უნივერსიტეტშიც დაბერა

*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ ლექციების დროს ყოველთვის უამრავი სტუდენტი ირევა. ამიტომ, დიდად თვალშისაცემი არ იქნებოდა, როცა მათ ის სტუდენტებიც მიემატნენ, რომლებსაც ისტორიის კათედრის პროფესორ-მასწავლებლების ლექციები უნდა ჰქონოდათ - სამი კვირის განმავლობაში ეს ლექციები არ ტარდებოდა. ისტორიის კათედრამ შვიდი თვის სახელფასო დავალიანების გამო სასწავლო პროცესის შეწყვეტით გამოხატა პროტესტი. მათ მოგვიანებით ინგლისური და რუსული ენებისა და ლიტერატურის კათედრების მასწავლებელთა დიდი ნაწილიც შეუერთდა.*

ვასილ გულეური

საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის სახელფასო დავალიანება გასაკვირი არ არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ დავალიანება არასაბიუჯეტო სექტორშია - ლექტორ-მასწავლებლებს ფასიან ჯგუფებში ჩატარებული ლექციების ანაზღაურება არ მიუღიათ. თუმცა, როგორც თავად ამბობენ, სტუდენტები სწავლის საფასურს დროულად იხდიან.

**“ამ თანხის შეგროვება დეკანებს ევალებათ. როგორც ისინი აცხადებენ, თანხის დიდი ნაწილი გადახდილია. მათ აქვთ საბანკო ქვითრები, მაგრამ შემოსული თანხის დიდი ნაწილი გახარჯულია რემონტზე, სხვადასხვა სამუშაოზე. ამის დოკუმენტაციაც არსებობს, თუმცა, ვფიქრობ, ყალბია,** - ამბობს ისტორიის კათედრის დოცენტი მამუკა ჯოლბორდი, - **ეს არ არის თანამშრომლების პრობლემა, ეს რექტორატის პრობლემაა. არ შეიძლება, თვეების განმავლობაში თანამშრომლები უხელფასოდ ამუშაო, მით უფრო, რომ ეს ნომინალური ხელფასია. დოცენტი, მაგალითად, 50 ლარს იღებს".**

პრობლემების მოსაგვარებლად ლექტორებმა შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს მიმართეს და, როგორც ამბობენ, დაპირება მიიღეს, რომ პროკურატურა გაარკვევს, რამდენად მიზანმიმართულად არის თანხები გახარჯული. უნივერსიტეტის რექტორი გედევან ხელაია კი ამბობს, რომ შემოწმებაზე იყვნენ სხვადასხვა სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლები, მაგრამ არავითარი დარღვევა არ დაუფიქსირებიათ: **“ეს შენობა 1935 წელს აშენდა, მაგრამ რემონტი არც ერთხელ არ ჩატარებულა - თავზე გვენგრეოდა; 2001-2002 წლებში ჭერი შევაკეთეთ, სახურავი გამოვცვალეთ, შევღებეთ, სკვერი გავაკეთეთ... მერე იმაზე მიჩივლეს, - შეღებვაზე 70 თუ 80 ათასი ლარი დახარჯაო. ტყუილია - 70 ათასი სულ დაგვიჯდა მთელი რემონტი".**

მამუკა ჯოლბორდი ამბობს, რომ სახელფასო დავალიანება შტატების არასწორად განაწილებას უკავშირდება, რაც, თავის მხრივ, ცოდნის დევალვაციას იწვევს. **“უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, უმოქმედოა და დახურვის საფრთხის წინაშე დგას. ჩვენი პროტესტი იყო გარკვეული ბიძგი მისი გადარჩენის გზაზე. თუ ჩვენ არ ვიზრუნეთ ჩვენს სასწავლებელზე, საქმე ვერ გაკეთდება. ვთვლით, რომ არსებული სიტუაციის გამოსწორების ერთადერთი გზა არის კარდინალური ცვლილებები".**

სახელფასო დავალიანებასა და შტატების განაწილებას შორის უშუალო კავშირზე ლაპარაკობს ამავე კათედრის ლექტორი ხათუნა გვარაძეც: **“სამი წლის წინათ უნივერსიტეტში 300 თანამშრომელი რომ იყო, დღეს ეს რაოდენობა, თითქმის, ცხრაასამდე გაიზარდა. ხუთასზე მეტი თანამშრომელი მიღებულია ფასიანი განყოფილების ხარჯზე. თუ ინსტიტუტს არა აქვს საშუალება, რომ ფასიანი განყოფილების ლექტორები ხელფასით დააკმაყოფილოს, მაშინ რის საფუძველზე იღებენ ახლებს? რატომ, მოჭარბებული გვქონდა ეს ფული და ამიტომ მივიღეთ ისინი? მთელმა ქალაქმა იცის, რა ღირს ერთი შტატი, რა ღირს ნახევარი შტატი - ხუთასიდან ათასამდე, მგონი, რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ის კატეგორია ვართ, რომელსაც ეს თანხა არ გაუღია".**

უნივერსიტეტის რექტორი ამ ბრალდებებსაც უარყოფს: **“რასაც იხდიან ბავშვები, ის პირდაპირ მიდის ხელფასებზე. სტუდენტებს უჭირთ გადახდა. ამ ხალხს შემოსავალი ვაშლიდან აქვს. მე დავინტერესდი, რამდენიმე სოფელში ვიყავი და ვნახე, ულპებათ ვაშლი და ვერ გაყიდეს. რაც შეეხება შტატებს, ლაბორანტების უმრავლესობა ნახევარ განაკვეთზეა. ისინი 20 ლარსაც ვერ იღებენ. შტატები სტუდენტთა რაოდენობის მიხედვითაა შედგენილი. ადგილიც გვაქვს – ლაბორანტის, მაგრამ არ ვღებულობ; ჰგონიათ, რომ მე ავავსე შტატები"...**

არის თუ არა ეს პროტესტი უშუალოდ რექტორის წინააღმდეგ? **“ჩვენ რექტორი არ შეგვხვედრია. კონკრეტულ პიროვნებებზე არ ვაკეთებთ აქცენტს, მაგრამ როცა რექტორი თავს ვერ ართმევს სახელფასო დავალიანებებს, ეს არ არის დანაშაული? რამდენად მისაღებია, რომ ამ თანამდებობაზე მან მუშაობა გააგრძელოს?"**- კითხულობს მამუკა ჯოლბორდი.

**“ჩემი წასვლის დრო მოვიდა. ეს არის 8 მაისი,** - აცხადებს თავად გედევან ხელაია, **- მე სამჯერ ზედიზედ, ხუთ-ხუთი წლით ვიყავი რექტორი. რაღაც დღეები დამრჩა და ამიტომ დაიწყეს ეს ყველაფერი - თანამდებობა უნდათ, ამას ვერ დავმალავ. რექტორი უნდა აირჩიოს სამეცნიერო საბჭომ, ისინი კი ამას არ დაეძებენ - მთავარია, ანკესი გადააგდონ და რა ამოჰყვება, მერე თვითონ იკითხონ. წავალ, ბატონო; მე სულ მალე წავალ და იჩხუბონ".**

უნივერსიტეტის წესდების თანახმად, “უნივერსიტეტის რექტორის არჩევა და დამტკიცება ხდება განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე. რექტორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე - არა უადრეს 60 დღისა და არა უგვიანეს 45 დღისა - სამეცნიერო საბჭო ვალდებულია, მოაწყოს რექტორის არჩევნები. 30 აპრილს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნული იყო სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომლის დღის წესრიგში რექტორის არჩევნები არ ყოფილა. მაგრამ, სხდომა არ შედგა - როგორც პრორექტორმა ლია მამულაშვილმა გვითხრა, რექტორი ცუდად გახდა და წაიყვანეს. სამეცნიერო საბჭოს სხდომის ჩატარების თარიღი კი უცნობი დარჩა. ყოველ შემთხვევაში, ერთ კვირაში რექტორის უფლებამოსილების ვადა იწურება. ვინ დაიკავებს მის სავარძელს, ჯერ უცნობია. თუმცა, მოარული ხმებით, უნივერსიტეტი სწორედ გაფიცული კათედრებიდან ან სახელისუფლებო პარტიიდან უნდა ელოდოს მომავალ რექტორს.

# როგორ ძარცვავდნენ ყველაზე გაჭირვებულებს

*სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სიმრავლის მიხედვით, ისანი-სამგორის რაიონი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ამ რაიონში 35 ათასი უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქე ცხოვრობს. რაიონის ყოფილი ხელმძღვანელობის ჯიბის შევსების ერთ-ერთ წყაროს ამ ადამიანების კუთვნილი დახმარებებიც წარმოადგენდა. ახალი ხელისუფლება გვპირდება, რომ წინამორბედი კოლეგების გამოცდილებას არ გაიზიარებს.*

ნანა ქადაგიშვილი

სოციალური დახმარებების, განსაკუთრებით კი, ერთჯერადი ფულადი დახმარებების გაცემის მექანიზმების შესახებ პრესაში, მათ შორის, “24 საათშიც” არაერთხელ დაწერილა, მაგრამ ისანი-სამგორის რაიონის ახალი გამგებლის კაბინეტში ნანახმა დოკუმენტურმა ვიდეომასალამ გაგონილს გადააჭარბა. ეს კადრები ორი წლის წინათ რაიონის სოციალურ განყოფილებაში ერთჯერადი ფულადი დახმარებების გაცემის ფაქტს ასახავს. სოციალურად დაუცველ მოსახლეობას საახალწლოდ 50-100 ლარს ურიგებენ; მაგიდასთან სხედან კომისიის წევრები; თანხის მთხოვნელი მოქალაქეები რიგ-რიგობით მიდიან მათთან და ისინიც მაშინვე წყვეტენ, ვის მისცენ თანხა და ვის არა (წესით, კომისიამ მოქალაქეთა განცხადებები ცალკე, ფულის გაცემამდე უნდა განიხილოს); თანხის მისაღებად რიგში მდგარ მოქალაქეთაგან მხოლოდ იმას უმართლებს, ვისაც ნაცნობი ჰყავს ან განყოფილების ხელმძღვანელობის გარიგებას თანხმდება; ანუ - 100 ლარს იმ შემთხვევაში მიიღებს, თუკი ნახევარს სოციალურ განყოფილებაში დატოვებს.

კომისიის წევრებს ამ საქმეში მრავალშვილიანი დედების ლიდერი ასმათ ხუციშვილიც ეხმარება. იგი მათ ფურცელზე დაწერილ ნაცნობების გვარებს ჩუმად უდებს მაგიდაზე. ბუნებრივია, წილში ისიც ზის. გამგეობის ახალმა ხელმძღვანელობამ ვიდეომასალაზე ამოიცნო საგადასახადო დეპარტამენტის ერთ-ერთი თანამშრომელიც, რომელსაც, როგორც “სოციალურად დაუცველ მოქალაქეს”, 100 ლარი უყოყმანოდ ჩაუთვალეს. უარით გასტუმრებული მოქალაქეები კი, რომლებიც არავისი ნაცნობები არ აღმოჩნდნენ, წყველა-კრულვით ტოვებენ სოციალურ განყოფილებას. სხვათა შორის, ეს ვიდეომასალა ფარულად არავის გადაუღია. სოცგანყოფილების თანამშრომლები კამერის წინ დაუფარავად “საქმიანობდნენ”.

ისანი-სამგორის რაიონის ახალ გამგებელს გიორგი არევაძეს (იგი ამ თანამდებობაზე 3 თებერვალს დაინიშნა) მაგიდაზე ერთჯერადი დახმარების მთხოვნელ მოქალაქეთა 3000-მდე განცხადება დახვდა. კომისია პირველად აპრილის ბოლოს შეიკრიბა და 350 განცხადება შეარჩია. ამ მოქალაქეთა სია გამგეობაში უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება, ხოლო თანხის გაცემა მაისის 10 რიცხვიდან დაიწყება. **“განსაკუთრებულად გაჭირვებული რვა მოქალაქის განცხადება ჩვენ მანამდე დავაკმაყოფილეთ. ისინი 200-200 ლარს მიიღებენ. კომისია ყოველი თვის ბოლოს შეიკრიბება და, უპირველესად, დიდი ხნის წინათ შემოსულ განცხადებებს დააკმაყოფილებს, თუმცა არც ახალი განცხადებების მიღება შეწყდება,”** – ამბობს არევაძე.


გიორგი არევაძე.

რაიონის სოციალურ განყოფილებაში, ჯერჯერობით, ექვსი მოქალაქის უწყისი აღმოაჩნდათ. სამმა მათგანმა 200-ლარიანი დახმარება მარტში მიიღო. ლია კიკნაძე, რომელიც ქინძმარაულის შესახვევში, 25-ე კორპუსის № 130 ბინაში ცხოვრობს, ონკოლოგიური ავადმყოფია და თანხა სამკურნალოდ სჭირდება. მანანა მამუკაშვილს (ნავთლუღის დასახლება, IV ქუჩა №69) მეუღლე დიაბეტით ჰყავს დაავადებული და ახლა ინსულინის ყიდვის საშუალება მიეცემა. ეთერ გელაშვილი, რომელსაც ავადმყოფი ბიჭი და 14 წლის ობოლი შვილიშვილი ჰყავს, მევალეს ბინიდან გამოუგდია. უბინაოდ დარჩენილი ოჯახისთვის 200 ლარი ბევრი ვარაფერი შეღავათია, მაგრამ სულ არაფერს ნამდვილად სჯობს. როგორც განყოფილებაში განგვიმარტეს, სამ მოქალაქეს: ახალკაციშვილს, ყაველაშვილსა და ბლუაშვილს, კუთვნილი ერთჯერადი დახმარების მისაღებად განყოფილებისთვის გუშინ უნდა მიეკითხათ. დანარჩენი ორი განცხადება, როგორც გავარკვიეთ, ჯერ კიდევ გზაშია (გამგეობის ფინანსური განყოფილებიდან - სოციალურ განყოფილებამდე); 200 ლარის მიღების საშუალება მათ ავტორებსაც მალე მიეცემათ.

გიორგი არევაძე აცხადებს, რომ ჩვენ მიერ მის კაბინეტში ნანახი ფაქტები რაიონის სოციალურ განყოფილებაში აღარასოდეს განმეორდება. იგი შეგვპირდა, რომ მაისის ბოლოს კომისიის შეკრებაზე დაგვასწრებს, რათა განცხადებების შერჩევის ობიექტურობაში თავად დავრწმუნდეთ. “24 საათი” დახმარებების გაცემის პროცესებს აქტიურად მიადევნებს თვალს. მოქალაქეებსაც ვთხოვთ, თუკი რაიმე დარღვევას წააწყდებიან, შეგვატყობინონ.

*სამართალი*

# გატაცებული მანქანების გადაფორმება-გაყიდვის სქემა

პირველი გვერდიდან

ასევე არახალია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბოლო ხანებში საქართველოდან გატაცებული ძვირადღირებული მანქანების გასაღების ყველაზე სარფიან და მოხერხებულ ბაზრად მეზობელი სომხეთის რესპუბლიკა იქცა – იქ გადაჰყავთ ცხინვალის რეგიონში ყალბი საბუთებით უზრუნველყოფილი, გატაცებული მანქანები.

სწორედ ერთი, ზემოთნახსენები დანაშაულებრივი ჯაჭვის ერთი კონკრეტული მაგალითის გამოვლენა შეძლეს გუშინწინ ქართველმა სამართალდამცველებმა.

როგორც ცნობილია, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, უკვე რამდენიმე დღეა, შიდა ქართლში სატრანსპორტო საშუალებათა გატაცების წინააღმდეგ საგანგებო ღონისძიებები ტარდება.

გუშინწინ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა რეგიონის სამხარეო პოლიციის და საგზაო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად გორი-ცხინვალის საავტომობილო გზაზე ორი ავტომანქანა დააკავეს. თბილისიდან ორი წლის წინ ყაჩაღური გზით გატაცებული "მერსედესი" და "ვოლვო" სომხეთის მოქალაქეებს ცხინვალიდან ერევანში გადაჰყავდათ. გატაცებული ავტომანქანები მათ თვითაღიარებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში შეიძინეს. როგორც სომხეთის მოქალაქეები აცხადებენ, მათთვის უცნობი იყო, რომ ისინი გატაცებულ ავტომანქანებს იძენდნენ.

**"მერსედესის" მფლობელის ვინაობა უკვე დადგინდა. აღნიშნული ავტომანქანა ზუსტად ორი წლის წინ, მაისის თვეში თბილისში მცხოვრებ ბესარიონ ფაცაციას ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ყაჩაღური გზით გასტაცეს. რაც შეეხება წითელი ფერის "ვოლვოს", ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნული ავტომანქანა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან უნდა იყოს გატაცებული. ანუ ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ, როგორც სხვა ქვეყნებიდან, ასევე საქართველოდან გატაცებული ნებისმიერი ავტომანქანის უკანონოდ გაფორმება ცხინვალში ხდება და შემდგომ აღნიშნული ავტომანქანები ისევ საქართველოში, ან ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში იყიდება"**, - განაცხადა შიდა ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა.

ორივე ავტომანქანა ამოღებულია და გორი-ცხინვალის საავტომობილო გზაზე არსებულ ერთ-ერთ საგუშაგოზე, კერძოდ, კარალეთის საგუშაგოზეა მოთავსებული. ავტომანქანების მძღოლები დაკავებულები არიან.

*24 საათი*

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ყაჩაღური ჯგუფის ორგანიზატორი და მისი სამი წევრი დააკავეს.

როგორც პოლიციის მთავარ სამმართველოში განაცხადეს, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისში მოქმედი ყაჩაღური ჯგუფის ლიდერი ნიკოლოზ კილასონია, ამავე ჯგუფის წევრები - თეიმურაზ ხაჟომია, ზაზა კაცაძე და გიგა ლაშქარავა დააკავეს. დადგინდა, რომ აღნიშნული ჯგუფი ვაგზლის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე 1 მაისს ყაჩაღურად თავს დაესხა მოქალაქეებს - ივანე მატარაძეს და ვეფხია გიქორაშვილს, რომლებსაც დანის მუქარით ფულადი თანხა და მობილური ტელეფონები წაართვეს. ნივთმტკიცებულებები ამოღებულია. მიმდინარეობს გამოძიება მათ მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულის გამოვლენის მიზნით. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ”აჭარა მიუზიკ ჰოლის” დიჯეი, თურქეთის მოქალაქე, 28 წლის არსლანბეკ ბურაკი შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულისათვის დააკავეს.

მას თბილისში, წერეთლის ქუჩაზე დროებით საცხოვრებელ ბინაში აღმოაჩნდა ქოთანში ჩათესილი 24 ძირი მარიხუანა. შს სამინისტროს ინფორმაციით, ბურაკი მარიხუანას კულტივირებას დაახლოებით 7-8 თვე ეწეოდა.

ამოღებულია, ასევე, სხვადასხვა დასახელების თვითნაკეთი საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ბურაკი აშრობდა მცენარის ფოთლებს და ე.წ. ”ყალიონის” საშუალებით ეწეოდა. აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რაც 10 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა წყალტუბოში შ.პ.ს. "პროგრესის" დირექტორები - დავით მესხი და მევლუდ ფაილოძე დანაშაულში ამხილეს. ისინი 2001-2003 წლებში წყალტუბოსა და მიმდებარე სოფლებს ლიცენზიის გარეშე აწოდებდნენ, დაახლოებით, 392 ათასი ლარის ღირებულების ელექტროენერგიას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს "საქართველოს ელექტროგადაცემის" სისტემას.

როგორც პოლიციაში განაცხადეს, გარდა ამისა, შ.პ.ს. "პროგრესის" 110 კილოვატიან ელექტროგადამცემ ხაზზე 2002 წელს საქართველოს ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის, "საქართველოს ელექტროგადაცემის" და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ადგილობრივ ხელმძღვანელ პირთა შეთანხმებული მოქმედებით, დატაცებული იქნა 300 ათასი ლარის ღირებულების ელექტროენერგია.

მასალები მესხისა და ფაილოძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით იმერეთის საოლქო პროკურატურას გადაეგზავნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** სამართალდამცველებმა ქუთაისში ნარკომანთა ე.წ. "ბუნაგს" მიაკვლიეს, სადაც ადგილობრივი მცხოვრები გოჩა ტოფაძე დააკავეს. მას პირადი ჩხრეკისას 10 "ჩეკად" დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება "ოპიუმი" აღმოაჩნდა. ტოფაძე, რომელიც წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს, ადრე ექვსჯერ არის ნასამართლევი, მათ შორის - ქურდობისა და ყაჩაღობისთვის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენში მცხოვრები თამაზ ხოზრევანიძის ბინის ჩხრეკისას პოლიციელებმა ''აკს''-ის ტიპის ავტომატი 55 ვაზნით, ორი ცალი სასიგნალო მაშხალა და პნევმატური პისტოლეტი "ბაიკალი" აღმოაჩინეს.

სამართალდამცველებმა ხოზრევანიძე დააკავეს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე იარაღის უკანონოდ შენახვის მუხლით აღიძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, ხაშური-ბორჯომის გზაზე, ქვიშხეთთან ავტოავარია მოხდა, რომელმაც ხაშურში მცხოვრები ოთხი ახალგაზრდის - გიორგი ქიმერიძის, დავით სეფისკვერაძის, თემურ ოგანეზოვისა და ბადრი გონგლაძის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ისინი ავტომანქანა ”ფორდით” მოძრაობდნენ, მძღოლმა საჭის დამორჩილება ვერ შეძლო და ხეს შეეჯახა. მიღებული დაზიანებებისგან ოთხივე ადგილზე დაიღუპა. **მედია-ნიუსი**

# ცხინვალის რეგიონის რუსი სამშვიდობოები დეზერტირობენ

ცხინვალის რეგიონში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონიდან ჯარისკაცების გაუჩინარების ფაქტები ხშირდება. თუმცა, აქამდე დაკარგულ რუს სამშვიდობოთაგან ყველანი მშვიდობიანად დაუბრუნდნენ ნაწილს. ამჯერად კი, ხელმძღვანელობამ ბატალიონში სამი ჯარისკაცის დანაკლისი აღმოაჩინა.

როგორც მოკვლევით დადგინდა, ისინი ბოლოს 30 აპრილს, სოფელ ერედვში მდებარე საგუშაგოზე ნახეს. წინასწარი ინფორმაციით, რიგითები ნასვამები იყვნენ და გზა აებნათ. მათ ძებნაში შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის ერედვის განყოფილებაც არის ჩართული.

გზის აბნევის ვერსია დასახელდა, სულ რაღაც, ორი კვირის წინათ რუსული სამშვიდობო ბატალიონიდან სერჟანტ რომან კასპიროვიჩის რამდენიმედღიანი გაუჩინარების მიზეზად. უფრო დეტალური კომენტარის გაკეთებისგან ბატალიონის ხელმძღვანელობამ თავი შეიკავა და 10-დღიანი თვითნებური შვებულების შემდეგ სოფელ ნიქოზში, სამხედრო შენაერთის დისლოკაციის ადგილას საკუთარი ფეხით დაბრუნებული სერჟანტი როსტოვთან ახლო მდებარე ქალაქ ხალადეევკაში გაამგზავრეს, სადაც ის რუსული სამხედრო ბაზაა დისლოცირებული, რომლიდანაც სერჟანტი კონფლიქტის ზონაში მიავლინეს.

სხვათა შორის, გზის აბნევას იმიზეზებდა, დაახლოებით, ერთი წლის წინათ იმავე ბატალიონიდან დაკარგული რვა ჯარისკაცი. თუმცა, მათ შესახებ მოგვიანებით სულ სხვა ინფორმაცია გავრცელდა. კერძოდ, ამბობდნენ, რომ ისინი ერთ-ერთი ადგილობრივი მაცხოვრებლის ოჯახში გაშლილ სუფრას ვერ შეელივნენ, მერე კი სამხედრო ნაწილში დაბრუნებას და დაგვიანებისთვის სასჯელის მიღებას ისევ ოჯახ-ოჯახ სიარული ამჯობინეს. სამხედრო ხელმძღვანელობამ მათი დაკავება რიგრიგობით მოახერხა და საკმაოდ მკაცრი სასჯელებიც არგუნა - რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის ნიკოლაი კორმილიცევის განმარტებით, რვავე ჯარისკაცი, გამოძიების დასრულებისთანავე, რუსეთში გადაიყვანეს და მათთან გაფორმებული კონტრაქტები გაუქმდა.

*24 საათი*

# ბათუმის სწრაფი რეაგირების რაზმის ყოფილი წევრი პოლიტიკური მოტივით დააკავეს

ბათუმის პოლიციის მიერ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ორთაბათუმში დაკავებული, 31 წლის მალხაზ ტაკიძე ეგრეთ წოდებული “ობერების”, ანუ ნეტკაჩოვის მიერ სპეციალურად ასლან აბაშიძისთვის გაწვრთნილი სწრაფი რეაგირების რაზმის ყოფილი წევრი აღმოჩნდა. მას ბათუმის საქალაქო სასამართლომ შაბათს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ბათუმის პოლიციის მტკიცებით, ტაკიძეს ჩხრეკისას “მაკაროვის” სისტემის პისტოლეტი აღმოაჩნდა ერთი მჭიდითა და რვა ვაზნით.

ტაკიძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით აქვს წაყენებული, რაც იარაღის უკანონო ტარებისა და ყიდვისთვის 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავებულის ადვოკატის ალეკო ბაუჯაძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი თავს დამნაშავედ არ ცნობს, თუმცა ტაკიძის პირველი ჩვენება, რომელიც მან მოსამართლეს მისცა, აღიარებითია. ადვოკატი განმარტავს, რომ პირველი ჩვენება ბრალდებულმა ადვოკატების გარეშე მისცა. ბაუჯაძის თქმით, რადგან ტაკიძე სასტიკად არის ნაცემი, არ გამოირიცხება, რომ **“მას პირველი ჩვენება სამართალდამცველებმა შესაძლოა ფიზიკური ზეწოლის ქვეშ გამოსტყუეს”**.

ადვოკატის განცხადებით, მან სასამართლოში შუამდგომლობა აღძრა ტაკიძის სამედიცინო შემოწმებაზე, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

მალხაზ ტაკიძის დაკავების პოლიტიკურ სარჩულზე მეტყველებს აჭარის შს მინისტრის ჯემალ გოგიტიძის კომენტარი. მისი თქმით: **“ მალხაზ ტაკიძე უსირცხვილოდ ეწეოდა ცენტრალური ხელისუფლებისკენ ყოფილი თანაგუნდელების გადაყვანის აგიტაციას”**. არაოფიციალური ვერსიით კი, მისი დაკავების საფუძველი ჩოლოქის ადმინისტრაციული საზღვრიდან მძიმე ტექნიკის გაყვანის მცდელობა გახდა.

თავის მხრივ, შვილისთვის წაყენებულ ოფიციალურ და არაოფიციალურ ბრალდებებს უარყოფს მისი მამა, თავად გადამდგარი ოფიცერი ვალერიან ტაკიძე. მისი თქმით, მისმა ვაჟმა სწრაფი რეაგირების რაზმი დატოვა და იარაღი ჩააბარა, მას ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონია. სწრაფი რეაგირების რაზმის დატოვების მიზეზად კი მის შვილსა და გენერალ ნეტკაჩოვს შორის მომხდარ კონფლიქტს ასახელებს.

ვალერიან ტაკიძის განცხადებით, მალხაზ ტაკიძეს არ მოსწონდა ის იდეოლოგია, რაც რაზმში იყო გამეფებული და ამიტომ დატოვა სამსახური, რის შემდეგაც იგი უშიშროების სამინისტრომ აღრიცხვაზე აიყვანა.

**“არასწორია, როცა ამბობენ, რომ სამართალდამცავებმა მისი სახლი გაჩხრიკეს და შემდეგ აიყვანეს. მალხაზის დაპატიმრება მეგობრის სახლში მოხდა. დააკავეს, აგრეთვე, მისი მეგობარი გოგონაც. მე არ გამოვრიცხავ, რომ ჩემს შვილს შესაძლოა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ პოლიტიკური სიმპათიები ჰქონდა, თუმცა მე ამის შესახებ არაფერი ვიცი”,** - განაცხადა ვალერიან ტაკიძემ.

*24 საათი*

# შპს "საქართველოს რკინიგზის" განცხადება

**შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს, რომ ესაჭიროება ქვემოთჩამოთვლილი დასახელების საქონლი და შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.**

**ელექტრომომარაგების მეურნეობა**

1. საკონტაქტო ქსელის რკინა-ბეტონის ანძები სს-1366-3 - 200 ცალი
2. სპილენძის არაიზოლირებული გამტარი მ-120 - 2 ტონა
3. სპილენძის მოქნილი გამტარი მგ-95 - 1 ტონა
4. ალუმინის არაიზოლირებული გამტარი ა-185 - 3 ტონა
5. ბიმეტალური არაიზოლირებული ფოლად-სპილენძის გამტარი პბსმ-70 - 5 ტონა
6. ბიმეტალური ფოლად-სპილენძის მავთული ბმ-4 - 2 ტონა
7. ბიმეტალური ფოლად-სპილენძის მავთული ბმ-6 - 2 ტონა
8. ფოლად-ალუმინის გამტარი ას-35 - 5 ტონა
9. ფოლად-ალუმინის გამტარი ას-70 - 5 ტონა
10. ფაიფურის მანჭვალიანი იზოლატორი შფ-10გ - 1500 ცალი
11. ფაიფურის მანჭვალიანი იზოლატორი შფ-20გ - 500 ცალი
12. საკონტ.ქსელის გამთიშის მოტორული ამძრავი უმპ-II - 30 ცალი
13. ელექტროძრავი უოლ-062 - 30 ცალი
14. მართვის პულტი პუ-3 - 30 ცალი
15. შემახორცებელი მომჭერი კს-059-4 - 200 ცალი
16. სასიმე მომჭერი კს-047 - 400 ცალი
17. სანაპერწკლო შუალედი იპმ-62 - 500 ცალი
18. იზოლირებული კოშკურა ვის-5 - 25 ცალი
19. ძაბვის ტრანსფორმატორი ნტმი-6 - 6 ცალი
20. ძაბვის ტრანსფორმატორი ნტმი-10 - 4 ცალი
21. ერთფაზა ზეთიანი ტრანსფორმატორი ომს-4/6 - 5 ცალი
22. ერთფაზა ზეთიანი ტრანსფორმატორი ომს-4/10 - 10 ცალი
23. ერთფაზა ზეთიანი ტრანსფორმატორი ომს-2,5/6 - 10 ცალი
24. ერთფაზა ზეთიანი ტრანსფორმატორი ომს-2,5/10 - 10 ცალი
25. სატრანსფორმატორო ზეთი ტ-1500 - 60 ტონა
26. დიზელის სამონტაჟო ავტომატრისა ადმ-1 - 1 ცალი
27. სინდიყიანი ნათურა დრლ-250 - 300ცალი
28. დიოდი დლ-161-200 - 500 ცალი
29. დიოდი დლ-133-500 - 100 ცალი
30. შველერი N6,5 - 10 ტონა
31. შველერი N5 - 5 ტონა
32. კუთხოვანი რკინა 50X50X5 - 2 ტონა
33. კუთხოვანი რკინა 63X63X6 - 5 ტონა
34. მრგვალი რკინა დ-12 - 2 ტონა
35. მრგვალი რკინა დ-22 - 1 ტონა
36. მრგვალი რკინა დ-16 - 1 ტონა
37. საღებავი: კუზბასის ლაქი - 0.3 ტონა
38. საღებავი სურიკი - 0.3 ტონა
39. საღებავი რუხი - 1.0 ტონა

**სალოკომოტივო მეურნეობა**

1. ელექტრომაგნიტური კონტაქტორი მკ-310ა 5ტე-520119---20 ცალი
2. ელექტრომაგნიტური კონტაქტორი მკ-310ვ 5ტე-520118---20 ცალი
3. რევერსორის საკონტაქტო ელემენტი---50 ცალი
4. ელექტრული მცლელი მრვუ-3.3---20 ცალი
5. ელექტროპნევმატიკური კონტაქტორი პკ-21---20 ცალი
6. ელექტროპნევმატიკური კონტაქტორი პკ-25---20 ცალი
7. ელექტროპნევმატიკური კონტაქტორი პკ-14---20 ცალი
8. ელექტროპნევმატიკური კონტაქტორი პკ-33---20 ცალი
9. ელექტროპნევმატიკური კონტაქტორი პკ-41---20 ცალი
10. ელექტროპნევმატიკური კონტაქტორი პკ-43---20 ცალი
11. სწრაფმომქმედი ამომრთველი ბვპ-5---1 ცალი
12. სწრაფმომქმედი ამომრთველი ბვპ-5-ის რკალმქრობი კამერა 5ტე.529-000-001---3 ცალი
13. სწრაფმომქმედი ამომრთველი ბვზ-2 ---2 ცალი
14. ელმავლის საკუმულატორე ბატარეის 40კნ-125-ის ელემენტები---400 ცალი
15. თბომავლის საკუმულატორე ბატარეის კნს-150-ის ელემენტები---100 ცალი
16. რადიოსადგურ 42რტმ-ის ყურმილები---100 ცალი
17. ძრავაღერძული სრიალა საკისურები---40 კომპლ.
18. კომპრესორი კტ-6---20 ცალი
19. წევის ძრავის კბილანები ტლ-2კ---10 ცალი
20. ელმავლის ძარის საკიდარის ღერო---40 ცალი
21. ელმავლის ძარის საკიდარი აწყობილი ზამბარების გარეშე---20 ცალი
22. თბომავლის ძარის საკიდარის ღერო---20 ცალი
23. საჭრისები ფინჯანისებური D=30,8 მმ---1000 ცალი
24. საჭრისები ნახევარმთვარისებური ვკ-8---500 ცალი
25. დენმიმღების თხილამური ---100 ცალი
26. დენმიმღების თხილამურის სამაგრი ეტლი ---200 ცალი
27. დრეკადი შუნტის მასალა---200 კგ
28. ბაბიტი ბ-83---20 კგ
29. პროჟექტორის ნათურა პჟ-110 X 500---200 ცალი
30. ნათურები რნ-220 X 100---100 ცალი
31. ნათურები რნ-220 X 500---100 ცალი
32. მუსები ეგ-61 2(12,5 X 32 X 50)---1000 ცალი
33. მუსები ეგ-61 16 X 32 X 32---1000 ცალი
34. მუსები ეგ-61 2(10 X 50 X 60)---500 ცალი
35. მუსები ეგ-61 10 X 25 X 50---1000 ცალი
36. მუსები ეგ-61 16 X 50 X 50---400 ცალი
37. მუსები ეგ-61 16 X 32 X 50---500 ცალი
38. მუსები ეგ-61 8 X 12,5 X 12,5---100 ცალი
39. კომპრესორის კტ-6-ის შემწოვი სარქველი---100 ცალი
40. კომპრესორის კტ-6-ის დამწნეხი სარქველი---100 ცალი
41. კომპრესორის კტ-6-ის სარქველის ზამბარები კტ6-0,6.033-2---2000 ცალი
42. მოტორკომპრესორის და მოტორვენტილიატორის გამშვები წინარობები პპ-162; პპ-163; პპ-202-01; პპ-202---120-120 ცალი
43. წყვილთვალების დასადუღებელი 2 მმ-იანი მავთული CB-08ХГ2СМФ---10 ტონა
44. ურიკების შემაერთებელი კვანძის სფერო მტნ-259004---5 ცალი
45. პნევმატიკური კონტაქტორის მომხეხი ზამბარები---2000 ცალი
46. საღებავი მწვანე---400 კგ
47. საღებავი რუხი---200 კგ
48. საღებავი წითელი---100 კგ
49. საღებავი თეთრი---50 კგ
50. საღებავი ლურჯი---50 კგ
51. საამშენებლო მინა 4 მმ-იანი---200 კვ.მ
52. საამშენებლო მინა 6 მმ-იანი---50 კვ.მ
53. ლინოლიუმი---400 კვ.მ.
54. ღრუბელი---200 კვ.მ
55. დერმანტინი---200 კვ.მ

**სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის მეურნეობა**

1. ელექტროძრავები საისრო ამძრავისათვის - 60 ცალი
2. გადასასვლელი მართვის ფარი - 15 ცალი
3. საგადასასვლელო შლაგბაუმი - 26 ცალი
4. სარელეო კარადები - 31 ცალი
5. დროსელ-ტრანსფორმატორები - 74 ცალი
6. აკუმულატორები 100 ცალი
7. ბიმეტალის მავრთული - 20 ტონა
8. დროსელ-ტრანსფორმატორის შემაერთებელი ზღუდარი, სარელსო შემაერთებლები - 74 ცალი
9. შუქნიშნის ლინზები (პლასპმასის) - 900 კომპ
10. სალიანდაგო ყუთი, სატრანსფორმატორო ყუთი - 104 ცალი
11. საკაბელო ქუროები - 120 ცალი
12. პლასტმასის საკაბელო ქუროები 120 ცალი
13. საკაბელო პროდუქცია 131 კმ
14. რადიოსადგურები, განმკარგულებელი რადიოსადგურები 12 ცალი
15. სატელეფონო კაბელები 22,5 კმ
16. გამკვრივების აპარატურა 20 ცალი
17. კოპლერი ოპტიკური - 160 ცალი
18. აპარატული ტელესაკომუნიკაციო კარადა - 20 ცალი
19. პაც-კორდი ოპტიკური დუპლექსური - 80 ცალი
20. საკომუნიკაციო გამანაწილებელი - 20 ცალი
21. პლასმასის შემაერთებელი ქუროები (ოპტ. კაბელის) 100 ცალი
22. უწყვეტი დენის წყარო9 20 ცალი
23. სარელეო აპარატურა 1113 ცალი
24. საღებავი 6000 კგ

**სამგზავრო მეურნეობა**

1. ურიკის შპინტონის თეფსისებრი ზამბარა ნახ 43339ა - 500 ცალი
2. რეზინის ქურო უნიტაზისათვის 2.45.15.01 - 100 ცალი
3. ტუალეტის ჩასარეცხი მექანიზმის სარქველი ოსტ.24.05.031.74 - 60 ცალი
4. ბუქსის გახურების მაკონტროლებელი თერმოგადამცემი 005.000 - 500 ცალი
5. ვაგონის საკომუტაციო ნათურები კმ60X15; კმ60X50 - 500-500 ცალი
6. ვაგონის განათების ნათურები ჟ-54 15-2000 ცალი; ჟ-54 25-2000 ცალი; ჟ-54 40-1000 ცალი; ჟ-110 15-3000 ცალი; ჟ-110 25-2000 ცალი; ჟ-110 40-1000 ცალი;
7. ტექსტროპული ღვედები-პროფილი Б(2500მმ)-500 ცალი; В(2500მმ)-400 ცალი;
8. მინა, ვაგონის ფანჯრებისათვის შესქელებული 4 მმ-იანი 2500 კვ.მ
9. რეზინი П-სებრი, ზომა 15X8X4X2 - 250 კგ.
10. პირსაბანის ონკანი - ნახ.826.50.20.040 - 150 ცალი

**სპეცტანსაცმელი**

1. ბამბის ქსოვილის კოსტუმი გოსტ.12548 - 220 ცალი
2. კომბინზონი გოსტ 12276-75 - 5 ცალი
3. ბრეზენტის კოსტუმის კომპლექტი ტუ.17.08.03.75 - 3 ცალი
4. ბამბის ქსოვილის ხალათი (ფერადი) გოსტ11621-73 600 ცალი
5. ნახევარლაბადა გოსტ12548-76 - 60 ცალი
6. ბამბის ქსოვილის კოსტუმი სიმჟავის დამცავი გაჟღ. გოსტ9367-68 - 10 ცალი
7. ბრეზენტის ხელჯაგი გოსტ15530 - 380 წყვილი
8. კომბინირებული ხელჯაგი - გოსტ 15530-77 - 1200 წყვილი
9. დიელექტრიკული კალოში გოსტ 13385-67 - 10 წყვილი
10. დიელექტრიკული ხელჯაგი ტუ-38-105977-76 - 15 წყვილი
11. ტყავის ყელიანი ფეხსაცმელი გოსტ5394-74 - 145 წყვილი
12. სიმჟავისაგან დამცავი ხელთათმანი "კრ" ტუ-38105-546-73 - 100 წყვილი
13. რეზინის კალოში - ტუ38106174-72 - 40 წყვილი
14. დამცავი სათვალე 368-70 - 10 ცალი
15. ელექტროშემდუღებლის დამცავი ფარი-შს-2 - 5 ცალი

**გადაზიდვის მეურნეობა**

1. ელექტრო ნათურა 220X50 - 100ვტ-2000ც., 150ვტ-300ც., 500ვტ-100ც., 1000ვტ-1ც.
2. მეშახტის ფანრის ნათურა 60 ცალი
3. ჰალოგენური ნათურა 5 კვტ - 200 ცალი
4. ხელის ფანარი მეშახტის - 300 ცალი
5. ჩამოსაკიდი ბოქლომი მეშახტის 400 ცალი
6. სადეზინფექციო საშუალება 30 კგ
7. სარეცხი ფხვნილი 60 კგ
8. ცოცხი 850 ცალი

**კომერციული საქმიანობის სამსახური**

1. ფოლადის გვარლი დ-18მმ; დ-15მმ - 100-100 მეტრი
2. ელექტროსაბიძგებელი ტგე-50-1ცალი; ტგე-25-3 ცალი; ტგე-16-1 ცალი
3. ელექტროძრავები - MTF-412-6; MTF-411-6; MTF-312-6; MTF-311-8; MTF-311-6; MTF-012-6; MTKH-312-6
4. კონტაქტორი - 5 ცალი
5. ელგამშვები 9 ცალი
6. გამშვები წინაღობა - 5 ცალი
7. ჯოჯგინა ამწის კკ-20-ის გადასაადგილებელი ბორბალი დიამეტრი 520მმ - 8 ცალი
8. 5-6 მმ გვარლის საჭრელი მაკრატელი - 100 ცალი
9. რედუქტორი რცდ-350 - 1 ცალი
10. სტარტერი - 1 ცალი
11. აკუმულატორი სნ-150 8,5ვ - 1 ცალი

**სალიანდაგო მეურნეობა**

1. რეზინის რელსქვეშა საფენი 15000 ცალი
2. რეზინის საფენი კბ-6 - 12000 ცალი
3. ჩასადებჭანჭიკი ქანჩით - 45 ტონა
4. წარეკვწინალი - 65 ტონა
5. რეზინის საფენი კბ-10 35000 ცალი
6. სალიანდაგო ქვედი დნ-65 50 ტონა
7. პირაპირის ჭანჭიკი ქანჩით - 18 ტონა
8. კლემური ჭანჭიკი ქანჩით - 25 ტონა
9. პირაპირის საყელური - 2 ტონა
10. მაზუთი 200 ტონა
11. ემულსოლი ტუ38.301.48-55-95 - 5 ტონა
12. ულტრაბგერითი დეფექტოსკოპი "ავიკონ-02" - 20 ცალი
13. უსო-4 რელსის რგოლების დასამაგრებელი და გადასაზიდი 60 კომპლ.
14. ლიანდაგმზომი ვაგონი ცნიი4 - 1 ცალი
15. სახეხი ქვები 200X32X32; 300X40X76 - 1000-1000 ცალი
16. დადუღების ელექტროდი ფ-4 - 2 ტონა
17. რელსის საჭრელი ხერხი - 2000 ცალი
18. რელსის საჭრელი დისკები ფ-355 - 500 ცალი

**სავაგონო მეურნეობა**

1. საკისრის გარე რგოლი 30-43727ლმ - 70 ცალი
2. საკისრის გარე რგოლი 30-43727ლ1მ - 70 ცალი
3. საკისრის შიდა რგოლი 30-43727ლმ - 20 ცალი
4. საკისრის შიდა რგოლი 30-43727ლ1მ - 20 ცალი
5. საკისრის სეპარატორი 30-43727ლმ - 200 ცალი
6. საკისრის სეპარატორი 30-43727ლ1მ - 400 ცალი
7. საკისრის სეპარატორი პოლიამიდის - 100 ცალი

**ცნიი-ხ3 ტიპის ურიკის დეტალები**

1. რესორული ჩამოკიდების გარე სამბარა 100.30.002-0 - 200 ცალი
2. რესორული ჩამოკიდების შიდა სამბარა 100.30.003-0 - 200 ცალი
3. ფრიქციული სოლი 100.30.001-0 - 400 ცალი
4. ფრიქციული თამასა 100.00.008-1 - 400 ცალი
5. სრიალის ხუფი 100.00.003-0 - 500 ცალი

**სამუხრუჭე ბერკეტული გადაცემის დეტალები**

1. სამუხრუჭე ხუნდის ბუნიკი 100.40.016-0 - 3000 ცალი
2. ბუნიკის საკიდარის რეზინის მილისა 100.40.028-1 - 2300 ცალი
3. მეტალოკერამიკული მილისა 100.40.031-0 - 11000 ცალი
4. სამუხრუჭე ხუნდი თუჯის - 250 ცალი

**ავტოსაბმელი მოწყობილობა და მისი დეტალები**

1. ავტოსაბმელი სა-3 - 90 ცალი
2. ავტოსაბმელი (8 ღერძიანი) სა-3მ - 10 ცალი
3. მაცენტრებელი კოჭი - - 60 ცალი
4. მაცენტრებელი კოჭი (8 ღერძიანი)- - 90 ცალი
5. ქანქარისებრი საკიდარი - 200 ცალი
6. შთანმთქმნელი აპარატი შ-1-ტ - 40 ცალი
7. შთანმთქმნელი აპარატი (8 ღერძიანი) - 10 ცალი
8. შთანმთქმნელი აპარატის- 60 ცალი
9. შთანმთქმნელი აპარატი კორპუსი (8 ღერძიანი) - 10 ცალი
10. წევის ცალუღი - 80 ცალი
11. წევის ცალუღი (8 ღერძიანი)- 10 ცალი
12. საბჯენი ფილა - 20 ცალი
13. შთანმთქმნელი აპარატის ფრიქციული სოლი - 40 ცალი
14. წევის ცალუღის სოლი - 250 ცალი
15. შთანმთქმნელი აპარატის ზამბარა - 50 კომპლ
16. შთანმთქმნელი აპარატის ჭანჭიკი ქანჩით 106.02.007-0 - 145 ცალი
17. შთანმთქმნელი აპარატის ჭანჭიკი ქანჩით 518.02.009-2 - 30 ცალი
18. კლიტე 106.01.002.0 - 400 ცალი
19. კლიტე 518.02.010-0 - 20 ცალი
20. კლიტის დამჭერი 106.01.003.0 - 70 ცალი
21. კლიტის ამწევი 30 ცალი
22. ამწევის ლილვაკი - 40 ცალი
23. კლიტის დამცველი საბაჩკა 106.01.006-0 - 400 ცალი
24. გადამხსნელი ამძრავის ბერკეტი 106.00.013-0 - 40 ცალი
25. მაცენტრირებელი კოჭის ზამბარა 518.00.008-0 - 10 ცალი
26. გადამხსნელის ამძრავის ჯაჭვი ამწევის ლილვაკით 106.01.010-0ცბ48-06-18 - 440 ცალი
27. საბჯენი ფილა 106.00.004-0 - 30 ცალი

**ჰაერგამანაწილებლების მთავარი ნაწილის დეტალები**

1. სარქველი (აწყობილი) 270.065 - 70 ცალი
2. მარეგულირებელი საბჯენი 270.323 - 70 ცალი
3. ზამბარა 270.321.2 - 200 ცალი
4. ზამბარა 270.322.1 - 80 ცალი
5. ზამბარა 270.364 - 40 ცალი
6. ზამბარა 270.328 - 80 ცალი
7. მიმმართველი 270.358 - 40 ცალი
8. სარქველის უნაგირი 270.359 - 80 ცალი
9. მბიძგარას უნაგირი - 270.360 - 40 ცალი
10. მბიძგარა 270.361 - 40 ცალი
11. სარქველი 270.377-2 - 40 ცალი
12. სარქველის უნაგირი 270.386 - 80 ცალი
13. საბჯენი 270.772 - 160 ცალი

**ჰაერგამანაწილებლის მაგისტრალური ნაწილის დეტალები**

1. ზამბარა 270.371 - 160 ცალი
2. ზამბარა 270.605 - 160 ცალი
3. ზამბარა 270.108 - 160 ცალი
4. ზამბარა 483.004 - 80 ცალი
5. ზამბარა 483.025-2 - 600 ცალი
6. ზამბარა 483.055 - 1400 ცალი
7. სარქველი აწყობილი 483.080 - 40 ცალი
8. სარქველი აწყობილი 483.090 - 400 ცალი
9. სარქველი აწყობილი 483.110- 20 ცალი
10. პლუნჟერი აწყობილი 483მ.120 - 400 ცალი
11. ღერო 483.003 - 20 ცალი
12. სახშობი 483.007 - 20 ცალი
13. უნაგირი 483მ.012 - 40 ცალი
14. დროსელი 483მ.013 - 20 ცალი
15. მიმართველი დისკო 483.014 - 200 ცალი
16. რკინის კუთხოვანა 50*50 535-79 - 5 ტონა
17. რკინის კუთხოვანა 45*60 535-79 - 5 ტონა
18. რკინის კუთხოვანა 40*40 535-79 - 3 ტონა
19. ფოლადი სქელფურცლოვანი სისქე 2მმ 535-79 - 3 ტონა
20. ფოლადი სქელფურცლოვანი სისქე 4მმ 535-79 - 3 ტონა
21. ფოლადი სქელფურცლოვანი სისქე 6მმ 535-79 - 3 ტონა
22. რკინა მრგვალი 12 მმ 2590-71 - 3 ტონა
23. რკინა მრგვალი 10 მმ 2590-71 - 3 ტონა
24. რკინა მრგვალი 16 მმ 2590-71 - 3 ტონა
25. რკინა მრგვალი 22 მმ 2590-71 - 3 ტონა
26. ფოლადის მილი ცივფორმირებული 3/4 8634-75 - 2 ტონა
27. ფოლადის მილი ცივფორმირებული 1/4 8634-75 - 2 ტონა
28. ახალი ფორმირების გოგორწყვილი რუ1-950 - 100 ცალი

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებმა თავიანთი განაცხადი შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოს უნდა წარუდგინონ არა უგვიანეს - 2004 წლის 11 მაისისა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო განყოფილების უფროსს ნესტორ ფაცაციას ტელ: 563361; 564747. ტელ/ფაქსი 950096. მისამართი: 0112 თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა".

# პატრიარქი, რომანტიკოსი, ერის სინდისი

## ჯორჯ კენანის ასი წელიწადი

პირველი გვერდიდან

ეს, თავისთავად, დაუვიწყარ 1979 წელს მოხდა. კაცობრიობა გენიალური ფიზიკოსისა და ჰუმანისტის ალბერტ აინშტაინის 100 წლის იუბილესათვის ემზადებოდა (1879 წლის 14 მარტი). ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით პრინსტონის უნივერსიტეტში, რომელსაც აინშტაინის ამერიკაში გატარებული წლები უკავშირდება, გადაწყვიტეს, საზეიმო სესია ჩაეტარებინათ. სესიაზე მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერები იყვნენ მიწვეულები - ნობელის პრემიის, თითქმის, ყველა ლაურეატი. ბუნებრივია, მიიწვიეს საბჭოთა მეცნიერებიც. მაგრამ, ბოლო მომენტში პოლიტიკამ ისევე დაჯაბნა ფიზიკა, როგორც მანამდე - ლირიკა (პასტერნაკი და ბევრი სხვა). როგორც გაირკვა, ამერიკის მეცნიერთა ფედერაცია იმდენად "გაკადნიერდა", რომ ანდრეი სახაროვის დევნა გააპროტესტა! აჰ, ასე?! – თქვეს კრემლსა და ცეკაში, – მაშინ ჩვენი მეცნიერები თქვენს პრინსტონში არ წამოვლენ! და არც წავიდნენ, მხოლოდ გუნებასა და კბილებში გამოსცრეს რაღაც – ცეკა-ს "შპარგალკებში" ამოკითხული.

ამგვარად პრინსტონის საზეიმო ღონისძიება, რომელიც აინშტაინის იუბილეს აპოგეა უნდა ყოფილიყო, მოსკოვმა "დახურა" შჩედრინის ბიუროკრატიის საუკეთესო ტრადიციების დაცვით – ისევე, როგორც თავის დროზე "დახურა" ამერიკა. პრინსტონში გამგზავრება აეკრძალათ არა მარტო ლაურეატ-ფიზიკოსებს, არამედ ჟურნალისტ-კორესპონდენტებსაც. პრინსტონი, მთელი თავისი საიუბილეო ფოიერვერკებით, საბჭოთა ხალხისთვის ატლანტიდასავით გაქრა.

მაგრამ, აკრძალული ხილის გარეშე, სამოთხე რა სამოთხეა?! სიფრთხილესთან ხანმოკლე, მაგრამ დაუნდობელი ბრძოლის შემდეგ გადავწყვიტე, საელჩოსა და რედაქციისგან ფარულად პრინსტონში წავსულიყავი – მე ხომ არა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ვიყავი, არამედ - მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკისა და ფიზიკის ფაკულტეტის მუდმივი სტუდენტიც. ასე რომ, ჩემი კერპების ნახვის სურვილს ვყავდი ატანილი. მოკლედ, მოვკიდე ხელი ცოლსა და შვილს, ჩავჯექი ჩემს მოძველებულ "შევროლეში" და გავეშურე ზღაპრული პრინსტონისაკენ. ერთ მიყრუებულ სასტუმროში გავჩერდით, მოშორებით ქალაქური საზრუნავისა და გნიასისაგან. თუმცა, პრინსტონში ჩასვლა სულაც არ ნიშნავდა, რომ საოცნებო სესიაზე მოვხვდებოდი და ჩემს კერპებს პირისპირ შევხვდებოდი. სწორედ მაშინ გადავდგი კიდევ ერთი გიჟური ნაბიჯი: აკრედიტაცია გავიარე როგორც "იზვესტიას" კორესპონდენტმა, რითაც ჩემს ინკოგნიტო არსებობას სულელურად და უპასუხისმგებლოდ ვანაცვალე სახიფათო ლეგალიზაცია.

მერე უფრო მეტადაც შევტოპე - საზეიმო ცერემონიამდე ორი დღით ადრე "ორგ-კომიტეტიდან" ვიღაც ქალბატონმა მომაკითხა და მითხრა, რომ ჯორჯ კენანი მეძებდა. ნებისმიერ სხვა სიტუაციაში უსაზღვროდ ვიამაყებდი ამით, მაგრამ მაშინ თმა ყალყზე დამიდგა. მაგრამ, გამოსავალი აღარ იყო – თავი უკვე ყულფში მქონდა გაყოფილი. მანამდე კენანს პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ უდიდეს პატივს ვცემდი. დიპლომატიური სამსახურიდან უკვე გადამდგარი კენანი მაშინ პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ და ეინშტეინის საიუბილეო ღონისძიებებსაც, ძირითადად, ის ხელმძღვანელობდა.

ჩვენ სასტუმროს ჰოლში შევხდით, სადაც საიუბილეო სესია უნდა გამართულიყო. ტრადიციული მისალმებების შემდეგ კენანმა გასეირნება შემომთავაზა. ქუჩაში გამოვედით; კენანი ყმაწვილთან მივიდა – სავარაუდოდ, თავის სტუდენტთან, რომელიც ორ ველოსიპედს ყარაულობდა. კენანი მოხდენილად დაჯდა ერთ-ერთზე და ჟესტით მანიშნა, მეორეთი მესარგებლა. დავემორჩილე და გავუყევით მოსკოვის მიერ "დახურული" პრინსტონის ქუჩებს. ამ უცნაური ველორბოლის დროს კენანმა, დაახლოებით, ასეთი რამ მითხრა: საბჭოთა მეცნიერების იძულებითმა (როგორც თავად ხვდებოდა) უარმა, მიეღოთ მონაწილეობა საზეიმო სესიაში, იგი ძალზედ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან სესიამ დაკარგა "მსოფლიო ხასიათი". საბჭოთა კავშირის წამომადგენელთა დაუსწრებლობას სესიის ჰარმონიაში დისონანსი შეჰქონდა. ამიტომაც, კენანმა რეპორტიორობის დელეგატის კვალიფიკაციით შეცვლა შემომთავაზა. ველოსიპედიდან კინაღამ გადმოვვარდი. ჩემი მეგზური ჯორჯ კენანი რომ არ ყოფილიყო, ვიფიქრებდი, რომ მახეს მიგებენ გადასაბირებლად. ამგვარი პარანოია მაშინ ჩვენი პროფესიული დაავადება იყო. არ მინდოდა, კენანს მხდალი ვგონებოდი და ვუთხარი, - თქვენს მიმზიდველ წინადადებას ვერ მივიღებ, რადგან ფიზიკაში ისე ვერკვევი, როგორც ვირი ხურმაში-მეთქი. კენანმა გაიღიმა და მითხრა, - ფიზიკაში მეც ზუსტად ასე ვერკვევი, მაგრამ აინშტაინი ხომ მხოლოდ ფიზიკოსი არ იყო, თქვენ შეგიძლიათ, გააკეთოთ მოხსენება თემაზე "აინშტაინი და ბირთვული განადგურების პრობლემაო. აქ მეორედ დამემუქრა გადმოვარდნის საფრთხე. ჩემგან მდუმარე ხლესტაკოვობას კი არ მოითხოვდნენ, არამედ მოლაპარაკე ხლესტაკოვი უნდა ვყოფილიყავი და ჩემი ანონიმურობა გამეწირა.

ფაქტობრივად, ჩიხში აღმოვჩნდი. დადგა ჭეშმარიტების გამჟღავნების სახიფათო მომენტი. კენანისთვის გულწრფელად უნდა მეთქვა, რომ მეშინოდა, და რომ უკვე ისედაც საკმარისად გავრისკე. რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, სიმხდალის აღწერას და საკუთარი სიბრძნის დემონსტრირებას, თურმე უფრო მეტი გაბედულება უნდა; მე კიდევ ამდენი არ აღმომაჩნდა – ასე რომ, სიმხდალით დავთანხმდი. კენანმა შვებით ამოისუნთქა და თქვა:

თქვენი ძალიან მადლიერი ვარ. მესმის, ეს რა ძვირად გიჯდებათ...

სასტუმროსკენ რომ ვბრუნდებოდით, ჩვენმა საუბარმა უფრო ზოგადი ხასიათი მიიღო. იმავე დღეს ჩვენი ჯურღმულიდან პრინსტონის საუკეთესო სასტუმროში გადაგვიყვანეს. როგორც მეორე, ჯერ კიდევ მოქმედი ზესახელმწიფოს ერთადერთ წარმომადგენელს ნომერი-ლუქსი მერგო - ცხადია, ყველაფერი უფასოდ ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის. უფრო მეტიც, სასადილოში ჩვენ მთავარ მაგიდასთან გვქონდა ადგილები, სადაც ჩვენთან ერთად ისხდნენ ნობელის პრემიის ლაურეატი ბეტე, ცნობილი ინგლისელი ასტროფიზიკოსი ჰოდკინი ორთოპედიული სავარძლით და ჯორჯ კენანი. ნექტარების მწვერვალზე ვიყავი. თვითმარქვიობის სირცხვილმა ძლიერი საანესთეზიო საშუალებასავით გამიყუჩა შიშის გრძნობა.

ასე შედგა ჩემი პირველი ნაცნობობა ჯორჯ კენანთან, რომელიც დღესაც გრძელდება...

კენანის ხანგრძლივ საჯარო კარიერაში ყველაზე გასაოცარი და უსამართლო ისაა, რომ იგი, ძირითადად, მისივე სახელის მატარებელ დოქტრინასთან ასოცირდება. მოსკოვში, ამერიკის საელჩოში მუშაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით, კენანმა დაწერა "დიპლომატიის ისტორიაში ყველაზე გრძელი დეპეშა", რომლის რეზიუმეც ჟურნალ "ფორინ ეფეარზმა" გამოაქვეყნა "X" ნიშნით. დეპეშა-სტატიაზე დაყრდნობით შეიქმნა "კენანის დოქტრინა", ანუ საბჭოთა კავშირის "შეკავების დოქტრინა". მაშინ ეს დოქტრინა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის, არც მეტი, არც ნაკლები, ჯონ ფოსტერ დალესის ხელში მოხვდა. შესაბამისად, დოკუმენტმა მაშინვე დაკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა, სამხედრო დატვირთვა შეიძინა და გადამწყვეტი როლი შეასრულა "ცივი ომის" წლებში.

მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება კენანმა იმის განადგურებას მიუძღვნა, რასაც მანამდე ეთაყვანებოდა. იგი გამოდიოდა წყალბადის ბომბის შექმნის, ამერიკული ჯარების მიერ 38-ე პარალელის გადაკვეთის, გერმანიის გადაიარაღების წინააღმდეგ. რაღაც მომენტში ამ წინააღმდეგობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ჩათვალეს, რომ კენანმა ძალიან ღრმად შეტოპა off-message და იგი სახელმწიფო დეპარტამენტიდან გააძევეს (1953). ასე დამთავრდა კენანის ხანგრძლივი დიპლომატიური კარიერა და დაიწყო მეორე, უფრო ხანგრძლივი, მაგრამ არა



ჯორჯ კენანი.

კარიერა, არამედ ამერიკული პოლიტიკური ზნეობის ჟამთაალმწერლისა და ამერიკული ცხოვრების წესის კრიტიკოსის ცხოვრება, რომელიც თავისი ერის მტკივნეულ სინდისად იქცა.

მადლობა ამხანაგ დალესს, რომ მან მისცა ამის საშუალება ბატონ კენანს!

კენანის – ისტორიკოსის, ესსეისტის და, რაც მთავარია, მორალისტის ცხოვრებისა და შემოქმედების მიზნად იქცა უშედეგო მცდელობა იმისა, რომ ამერიკელები ეიძულებინა, საკუთარი თავი გარედან შეეფასებინათ - გვერდიდან დაენახათ განდიდების მანიითა და ძალაუფლებით მთვრალი საკუთარი თავი და საკუთარი ქვეყანა. პრინსტონის პერიოდში შექმნილი მისი წიგნები: "1900 – 1950 წლების ამერიკული დიპლომატია"; "მემუარები 1925 1950"; "მემუარები 1950 1963"; "გრეგ ჰილის გარშემო" და "ჩანახატები ცხოვრებიდან" გაგაოცებენ გულწრფელობით და დრამატიზმით. ამ ნაშრომების არსი ღრმად პესიმისტურია. თუმცა, კენანის სევდა კეთილშობილურია და თან ელეგანტური. და კიდევ, თავის საუკეთესო წიგნებში იგი არა მარტო შორსმჭვრეტელ ისტორიკოსად და მოუსყიდავ მორალისტად წარმოჩინდება, არამედ - ამერიკული პროზის უდიდეს ოსტატადაც. კენანის წიგნები მკითხველს უდიდეს ესთეტიურ სიამოვნებას გვრის, თუმცა - გარკვეული გონებრივი დაძაბულობის ფასად.

კენანი არის ადამიანი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ამ შეშლილ, შეშლილ, შეშლილ სამყაროში გაატარა. თუმცა, თითქოს, ის სხვა დროს, სხვა სამყაროს ეკუთვნის. სწორედ აქედან მოდის მისი იდეალიზმი და თანამედროვე ამერიკის მიუღებლობა; და ეს უკანასკნელიც იმავეთი პასუხობდა კენანს - რა თქმა უნდა, მიუღებლობით და არა იდეალიზმით. ტყუილად არ ეძახდნენ კენანს უცხოპლანეტელს. იგი თავად ხშირად უწოდებდა თავს alien. ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ კენანი წერდა, რომ სრულად არ გრძნობს თავს "ამ საზოგადოების" წევრად და არც XX საუკუნეში მცხოვრებ ადამიანად – თავს უფრო დამკვირვებლად აღიქვამს; და ამ განცდას მას უმსუბუქებს "თავისი დროის სტუმრის და არა მისი ოჯახის წევრის მდგომარეობა". მაგრამ, კენანი სულაც არ არის განზე გამდგარი დამკვირვებელი. ეს მხოლოდ პოზაა. ის არ არის დროისა და მოვლენების რეგისტრატორი. იგი ყველაფერს საკუთარ გონებასა და გულში ატარებს. აი, რატომ მოგეჩვენებათ ეს ცივი, განდგომილი დამკვირვებელი ასეთ გამოუსწორებელ, განუკურნებელ რომანტიკოსად. თავის ზეპატრიარქულ ას წელიწადში ეს ინტელექტუალური და პესიმისტური რომანტიზმი ჯორჯ კენანს ისეთ მოაზროვნეებთან აახლოებს, როგორებიც შპენგლერი და ორტეგა`ი`გასეტია. იგი არ იღებს არც "მას-დემოკრატიას" და არც "დაუოკებელ კაპიტალიზმს". ეს ყველაფერი მას ესთეტიკური თვალსაზრისითაც აღიზიანებს. თუ გნებავთ, უწოდეთ ამას არისტოკრატული დონ კიხოტობაც.

მშობლიური ამერიკისთვის "უცხოპლანეტელი" კენანი სინამდვილეში მსოფლიოს მოქალაქეა. იგი ხომ, იტალიის მთებში, ნორვეგიის ფიორდებში ან მისთვის ასე ძვირფას რუსულ ქოხებში გადასახლებაზე ოცნებობდა. აი, რას წერს იგი თავის დღიურებში ლევ ტოლსტოის სამუშაო ოთახის მონახულების შემდეგ: "სწორედ ასეთ უბრალო, შეშის ღუმელით გამთბარ ოთახში, ელექტროენერგიის გარეშე, მინდა ვიცხოვრო. ამასთან შედარებით, ჩვენი საუკუნე თავისი ხმაურით, მჭიდრო დასახლებითა და ენერგიის გიჟური ხარჯვით – კოშმარად მეჩვენება."

მაგრამ, მოვალეობა აიძულებს კენანს, ამ კოშმარის ეპიცენტრში იცხოვროს და გამოსავალი ეძებოს ჯიუტად და უშედეგოდ. უშედეგოდ იმიტომ, რომ თანამედროვე დალესები მოძველებულად მიიჩნევენ მის გამოცდილებასა და რჩევებს off-message. სულ ტყუილად! ახლა, როცა ვაშინგტონი სულ უფრო მეტად იხლართება თავის ერაყულ ავანტიურაში, წინასწარმეტყველურად ჟღერს კენანის სიტყვები, რომლებიც მან 1968 წელს, ვიეტნამის ავანტიურის გამო დაწერა: "უკვე რამოდენიმე წელია, ჩვენი ქვეყანა ომს აწარმოებს ვიეტნამში. მთელი ამ ხნის განმავლობაში სრულიად ნათელია, რომ ეს ომი სერიოზულად არაჯანსაღ ხასიათს ატარებს. ის არაჯანსაღია, პირველ რიგში იმიტომ, რომ მოკლებული გონივრულ, რეალისტურ მიზანს. სამხრეთ ვიეტნამში არსებული რეჟიმი ზედმეტად სუსტი, ზედმეტად ეგოისტური, ზედმეტად შთაგონებას მოკლებულია საიმისოდ, რომ ჩვენგან დახმარების შესაფერის და იმედისმომცემ ობიექტად იქცეს; და თუნდაც, ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და ეფექტური რეჟიმი იყოს, ჩვენ მაინც შევეჯახებოდით იმ პრობლემას, რომ ჩვენეული მეთოდები - მოწინააღმდეგის სამხედრო გზით დამხობის შენიღბული გზა, იმდენად ანგრევს ვიეტნამის მშვიდობიან ცხოვრებას, რომ ამ ტანჯვასა და ნგრევას არანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ გაამართლებს. ამ ღონისძიებას არაჯანსაღი ხასიათი აქვს სხვა მიზეზის გამოც - იგი არაჯანსაღია მსოფლიოსა და საკუთარი ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის თვალსაზრისითაც. იგი ჩვენთვის წარმოადგენს სახიფათო დისბალანსს მსოფლიო პოლიტიკაში. მან გაუმართლებლად დიდი რაოდენობის ყურადღება მიიპყრო და უზარმაზარი რესურსი შეიწირა; ეს ყველაფერი მსოფლიო პოლიტიკის ერთჯერადი და მეორეხარისხოვანი თეატრისთვის იხარჯება. ამან სრულიად მოუმზადებლები და უსუსურები დაგვტოვა იმ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მოვლენების წინაშე, რომელიც პლანეტის ნებისმიერ წერტილში შეიძლება წარმოიშვას. დაბოლოს, ეს ღონისძიება ხორციელდება ჩვენი ქვეყნის წარმატებული განვითარების საზარალოდ, რადგან ჩვენი ყურადღება მნიშვნელოვანი შინაური პრობლემებიდან ამ თემაზე გადაერთო. ამას ტირილი აღარ უშველის... ასეთია ჩვენი საომარი მოქმედებების ნეგატიური შედეგები. შეგვეძლო, ისინი ადრეც დაგვენახა. ვისაც დანახვა უნდოდა, არ იყო აუცილებელი, იმ არაადამიანურ მსხვერპლამდე და აგონიამდე მისულიყო საქმე, რაც ბოლო ორისამი წლია, ხდება".

ასეთი გრძელი ციტატის უფლება თავს მხოლოდ იმის გამო მივეცი, რომ დღეს იგი არაჩვეულებრივად აქტუალურია. ერაყული ავანტიურა ისეთივე "არაჯანსაღ ხასიათს" ატარებს, როგორც ვიეტნამური. მასაც არ გააჩნია გონივრული და რეალისტური მიზნები. ბაღდადელი მარიონეტები ისეთივე სუსტები და ეგოისტები არიან, როგორც ვიეტნამის რეჟიმის მესვეურნი. მეთოდები, რომლებსაც ვაშინგტონი იყენებს, ანგრევს ქვეყანას და მათ მორალური გამართლება არ აქვთ. ვაშინგტონის ერაყული ავანტიურა უარყოფითად აისახება შტატების შინაურ საქმეებზე და მის მდგომარეობაზე მსოფლიოში. ერაყზე ისტერიული კონცენტრირებით ვაშინგტონმა ობიექტურად შეასუსტა ბრძოლა ძირითადი მტრის – საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ! ამ ყველაფრის წინასწარგანჭვრეტაც შესაძლებელი იყო, ერაყელი ხალხის აგონიისა და მსხვერპლის გარეშე. მაგრამ, "ერაყულმა შეშლილობამ" გონება დაუბინდა ბუშის თეთრ სახლს.

კენანი ყოველთვის აფრთხილებდა, რომ სამხედრო ძლიერებისკენ სწრაფვა შეერთებულ შტატებს კარგს არაფერს მოუტანს - განსაკუთრებით, როცა იგი მსოფლიოში ერთადერთ სუპერ-სახელმწიფოდ იქცა. 1999 წელს ჟურნალ "ნიუ იორკ რევიუ ოფ ბუქსში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში კენანი ამბობდა: "თუ მხოლოდ სამხედრო სტატისტიკის მიხედვით ვიმსჯელებთ, აშშ-ს საკმაოდ დიდხანს შეუძლია შეინარჩუნოს სუპერ-სახელმწიფოს პოზიცია, მაგრამ სამხედრო ძლიერებას მხოლოდ მცირეხნიანი წარმატების მოტანა შეუძლია. როდესაც 1941 წელს გერმანიაში, ბერლინში ვმუშაობდი, ჰიტლერის უმაღლესი სამხედრო მიღწევების პერიოდში, ვცდილობდი, დამერწმუნებინა მთავრობის წევრი მეგობრები იმაში, რომ ჰიტლერმა მთელ ევროპაში რომც მოიპოვოს სამხედრო ბატონობა, სრულ და ხანგრძლივ დომინირებას მაინც ვერ შეძლებს... არადა, ჩვენ ხომ მხოლოდ ევროპაზე ვსაუბრობდით. მსოფლიოსთან მიმართებაში, ეს კიდევ უფრო შეუძლებელია. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პლანეტა არასოდეს არ იქნება ერთი პოლიტიკური ცენტრიდან მართული, მიუხედავად იმისა, თუ როგორი სამხედრო ძალაუფლების მატარებელი იქნება იგი".

კენანის, როგორც პოლიტიკოსისა და ისტორიკოსისთვის, მსოფლიო ჰეგემონიზმი შეუძლებელია; კენანის, როგორც მორალისტისა და ინტელიგენტისთვის – იგი საძაგელია. საუბარია ნებისმიერ ჰეგემონიზმზე, და განსაკუთრებით, ამერიკულ ჰეგემონიზმზე, რომელზეც იგი, ზოგიერთებისგან განსხვავებით, პასუხისმგებლობას გრძნობს. ჩემთვის ჯორჯ კენანი ინტელიგენტი ადამიანის იდეალია. შემთხვევით არ არის, რომ იგი რუსულ კულტურაზეა აღზრდილი, რომელმაც homo sapiens-ის ეს იშვიათი ტიპი წარმოშვა. კენანს აღიზიანებს ამერიკული პოპკულტურა, რომელიც უფრო დიდი წარმატებით იპყრობს მსოფლიოს, ვიდრე პენტაგონი და მისი საომარი მანქანა. კენანი ამ კულტურას "სულელურსა და არაკეთილშობილურს" უწოდებს და მიაჩნია, რომ იგი მის ქვეყანას ინტელიგენტი და მგრძნობიარე ხალხის თვალში მასხრად იგდებს... "ამერიკა თავისი სამხედრო ძლიერებით იმას ვერ აიცდენს, რომ ინტელექტუალური მსოფლიო შტერად და უნიჭოდ აღიქვამდეს", – ამბობს იგი.

ახალგაზრდობაში ნახევრად ღმერთივით ლამაზი, სიბერეში კი წინასწარმეტყველივით კეთილშობილური – კენანი, მისთვის ასეთი საყვარელი ჩეხოვის მორალური ილუსტრაციაა – "ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს". იგი ერთდროულადაა ამერიკელი პატრიოტი, ევროპელი ინტელექტუალი და რუსი ინტელიგენტიც. მოკლედ, იგი მსოფლიოს ადამიანია. ამერიკას არ სურს მისი პატრიოტიზმის აღიარება, რომელიც მისთვის ზედმეტად ტრაგიკული და დაწვრილმანებულია. ევროპა მას იდეურ თანამოძმედ მიიჩნევს, ხოლო რუსეთი – სულიერ მეგობრად. ასეთი ადამიანები ვერასოდეს ვერ გახდებიან წინასწარმეტყველები საკუთარ სამეფოში. დიდება მათთან იმპორტით მოდის. და კიდევ, რაც მთავარია – გაგება. მახსოვს, როგორც ჩიოდა კენანი, რომ საბჭოთა პრეზიდენტ მიხაილ გორბაჩოვს უკეთ ესმის მისი, ვიდრე ამერიკის პრეზიდენტ რონალდ რეიგანს. პირველი ბევრად უფრო "ყურადღებიანი" იყო! – ამბობდა კენანი, რომელსაც საკმაოდ დავიწყებოდა რუსული ენა და ყოველი დაშვებული შეცდომა იმდენად აშფოთებდა, რომ სასწრაფოდ ინგლისურზე გადადიოდა.

ჯორჯ კენანი უკვე, ანდა ჯერ ისევ, 100 წლისაა. ეს არ არის მარტოობის ასი წელიწადი, მიუხედავად იმისა, რომ იგი უდავო პატრიარქია, და არა მხოლოდ წლების გამო. კენანი ყოველთვის რჩება თავისი დროის ეპიცენტრში. მისი განმარტოება არ არის განდგომა. იგი არასოდეს იმალებოდა სირაქლემასავით ქვიშაში; ამ ჟინიანი ადამიანისთვის უცხო იყო შიშის გრძნობა. შემთხვევით არ ყოფილა, რომ სწორედ მისი გავლენით გადავდგი ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური და თამამი ნაბიჯი; ესეც მრავალი წლის წინ იყო – საუკუნის მესამედზე მეტი ხნის წინ.

ინგლისურენოვან ლიტერატურაში არსებობს "ჩუმი ამერიკელის" და "მახინჯი ამერიკელის" ტიპები. თუ ვინმე გადაწყვეტს, აღწეროს "კეთილშობილი ამერიკელიც", ჯორჯ კენანზე უკეთეს ტიპაჟს ნამდვილად ვერ ნახავს.

*მოსკოვი*
*აპრილი, 2004.*

www.24hours.ge 24 B



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




ნოდარ ლადარია

ახალი ჰიმნი შეითხზა, ჰიმნი შეითხზა ახალი!

მაგრამ ჯერ საქმეზე მოგახსენებთ. ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი მკითხველისგან მივიღე ელექტრონული შეტყობინება. თურმე ჩვენი გაზეთი უყიდია და გულში ჩაუხუტებია. საუბედუროდ, თეთრი მაისური სცმია, რომელსაც სულ მალე ნარინჯისფერი საღებავის კვალი დაეტყო. წერილი საყვედურით სრულდებოდა: ასე დაბალხარისხოვან მასალას რატომ იყენებთ თქვენი გაზეთის ბეჭდვისასო.

ღმერთი მოწამეა, ძნელია ამ მკითხველთან კამათი. იმას ხომ ვერ ეტყვი, გაზეთი წასაკითხად შეუქმნია კაცს, გულში ჩასაკრავად კი ბარე სხვასაც იპოვი გაზაფხულის ცის ქვეშო. ერთი რამ კი მაინც გვრჩება თავის გასამართლებლად: ნარინჯისფერი ზოლით ადვილად ამოიცნობა "24 საათი". სხვა ან იმავე მაისურზე კი ხვალ რომელიმე პოლიტიკოსის ან ბიზნესმენის ან თუნდაც ნაპოლიტიკოსარი თუ ნაბიზნესმენარი პატიმრის "ხელთუქმნელი ხატი" ვიხილოთ, ვინ გაარკვევს, "კვირის პალიტრას" ჩაეხუტა მადლიერი მკითხველი, თუ "ახალ ვერსიას"? უხარისხობაზე კი რა მოგახსენოთ — რაღაც ხომ უნდა იყოს ჩვენს გაზეთში ეროვნული!

თეთრმა ("კმარასფერმა") მაისურმა და ზედ დარჩენილმა ლიბერალურ-დემოკრატიული გაზეთის ნარინჯისფერმა კვალმა ერთი ლექსი გამახსენა. ოდესღაც სკოლაში მისწავლია დღეს ნაკლებად ცნობილი **იროდიონ ევდოშვილის** ნაწარმოები:

*მეგობრებო, წინ, წინ გასწით,*
*ნუ შედრკება თქვენი გული.*
*დე, შუბლს ოფლის კვალი აჩნდეს*
*და მკერდს სისხლის ნაკადული.*

ძახილის ნიშნებზე პასუხს ვერ ვაგებ და ვერც ციტატის სიზუსტეზე — ძალიან დიდმა დრომ გაიარა მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები მინახავს დაბეჭდილი სახით. მაგრამ ერთი რამ უდავოა: ოფლის ადგილი შუბლზეა, სისხლისა კი მკერდზე. რატომ? — მარტივია: თავი რომ დავანებოთ ბიბლიურ ალუზიას (ოფლითა პირისა შენისა), შუბლში დაჭრილი წინ მართლაც ვერ გასწევს. ამით კი იმის თქმა მინდა, რომ სიმარტივე და მისი ადვილად დამახსოვრების შესაძლებლობა ტექსტის ლოგიკურ გამართულობასთანაა დაკავშირებული... ისევ წინ მისწრებს ენა. ჯერ დალაგებით მოგახსენებთ საქმის ვითარებას.

გასული კვირის განმავლობაში "24 საათის" ფურცლებზე საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტისადმი მიძღვნილი რამდენიმე პუბლიკაცია გაჩნდა (თვით კონკურსში გამარჯვებული ტექსტი უფრო ადრე დაიბეჭდა, 20 აპრილს). მათგან, თუ არაფერი გამომრჩა, ერთი კრიტიკული შენიშვნაა — 26 აპრილი, **ნინია კაკაბაძე**, *ახალი ჰიმნი*; ორი დადებითი გამოხმაურება — 26 აპრილი, **ტარიელ ჭანტურია**, *ჟიურის წევრი რომ ვყოფილიყავი...*, 29 აპრილი, **ბესიკ ხარანაული**, *როგორი უნდა იყოს ჰიმნის ტექსტი*; და ერთიც თვალსაზრისთა მოკლე მიმოხილვაა — 27 აპრილი, **ვერა ნეფარიძე**, *ჰიმნში პოეტური შედევრის ძიება აბსურდია*. ეს ბოლო სათაური ჰიმნის ამომრჩევი ჟიურის წევრის, **რევაზ თვარაძის** სიტყვებია. აბსურდი ცოტა ძლიერი სიტყვაა. შევთანხმდეთ, რომ ჰიმნის ტექსტისთვის "შედევრულობა" აუცილებელი არაა. მაგალითად, იტალიის ჰიმნის ავტორი, **გოფრედო მამელი** სულაც არ ყოფილა კარგი პოეტი და მისი ტექსტიც ნამდვილად საშუალო ხარისხისიაა, თუმცა იტალიური ფეხბურთის წარმატებებმა განაპირობა, რომ ბევრმა იტალიელმა თავისი ქვეყნის ჰიმნი ზეპირად იცის.

ასეა თუ ისე, ჰიმნის ტექსტის გარშემო ერთგვარი დაძაბულობა წარმოიშვა, რის გამოც არ შემიძლია, ჩემი მოსაზრებები არ გამოვთქვა, მით უმეტეს, რომ გასული საგაზეთო კვირა ამის საბაბს მაძლევს. მე არ შევიტან ეჭვს პოეტის კანდიდატურაში: ქვეყნის პრეზიდენტს, ან პარლამენტს, ან რომელიმე სხვა ავტორიტეტულ ორგანოს თუ შეკრებას, უბრალოდ, **დათო მაღრაძისთვის** დაევალებინა ჰიმნის დაწერა, ეს ჩემში არანაირ პროტესტს არ გამოიწვევდა. შეიძლება, ეს ჩემი ნაკლია, მაგრამ გულწრფელად ვაღიარებ მას. ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ იმაში, რომ საქართველოს მორიგ განახლებაში პოეტი მონაწილეობდა და ამით ჰიმნის ავტორობა დაიმსახურა. სხვათა შორის, დათო მაღრაძე იმ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებთანაც შეხვედრა მუდამ მიხარია და რომლებიც ჩემში ნდობას აღძრავენ. ეს ნდობა არა მარტო ადამიანურია, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოქმედებითიც: სხვა არ ვიცი და სახელმწიფო ჰიმნის დაწერა ნამდვილად ძალუძს ამ პოეტს.

ჩემი პრეტენზიები ტექსტის ფარგლებს არ სცილდება. ამ პრეტენზიების გამოთქმაში კი ბესიკ ხარანაული დამეხმარება, უფრო სწორად კი მისი უკვე ნახსენები პატარა სტატია. არ ვიცი, საიდან მოიტანა "საბას" ლაურეატმა პოეტმა სახელმწიფო ჰიმნის თვისებები, მაგრამ არა მარტო ჩამოთვლის, არამედ ნომრავს კიდეც მათ. მაშ ასე, თვისება № 1.: "**ორგანულად დაკავშირებული ქართულ ლექსთან**". გაუგებარია, რა იგულისხმება — ქართული ლექსთაწყობა თუ პოეტური მემკვიდრეობა. პირველი, ჯერ ერთი, მელოდიით განისაზღვრება, მერე კიდევ, ძნელი დასაჯერებელია ვინმეემ ჰიმნის თხზვაში ჰეგზამეტრს მიმართოს ან ალექსანდრიულ ლექსს. თუ აქ ეროვნული პოეტური მემკვიდრეობა იგულისხმება და ის ცნობილი ალუზიები, რომლებიც მრავლადაა ჟიურის მიერ არჩეულ ვარიანტში, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

თვისება № 2.: "**სადა, ყველასათვის გასაგები და ადვილად დასამახსოვრებელი**". სინამდვილეში არჩეული ტექსტი უკიდურესად რთულია. მე, მაგალითად, ბევრი რამ ვერ გავიგე. დავიწყოთ თავიდან: "ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა" — ეს ციტატაა აკაკი წერეთლის პოეზიიდან. როცა მას სახელმწიფო ჰიმნში ვხედავთ, იბადება კითხვა: მაინც ვისი ხატია სამშობლო? ვინაა ეს იდუმალი "მე"? იქნებ აქ "ჩვენი" აჯობებდა? ვერ დავიწყებთ ახლა იმაზე მსჯელობას, თითქოს რომანტიკოსთა "ლირიკული გმირის" კვალობაზე დათო მაღრაძემ რაღაც განსაკუთრებული "იურიდიული გმირის" კონცეფცია შემოიტანა. წარმოვიდგინოთ ორასამდე პარლამენტარი ან თერთმეტი ფეხბურთელი, რომელთაგან ყოველი ცალკე მღერის: "ჩემი ხატია სამშობლო". ჰიმნის იდეალური (იდეის და არა ხარისხის თვალსაზრისით) შემსრულებელი გუნდია, ხოლო თუ მას ვინმე ერთი შეასრულებს, მაშინ მრავლობითი რიცხვი მის თანამოქალაქეებთან გაიგივებასა და მიკუთვნებაზე იმეტყველებს. უკეთესი იქნება, თუ პირის ნაცვალსახელებს სრულიად გამოვრიცხავთ. მაგრამ აქ სხვა პრობლემაც წამოიჭრება: აკაკის პოეზიაში ეს ორი სტრიქონი სრულიად ბუნებრივად ჟღერს, მაგრამ წარმოვიდგინოთ საქართველოს ორი სრულუფლებიანი მოქალაქე — მაჰმუდი და მოშე. მათაც ხომ უნდა იმღერონ ჰიმნი! მაშ რატომ უნდა ვაიძულოთ, სამშობლოსადმი პატივისცემა საკუთარი მრწამსის გათელვას დაუკავშირონ? ორივესათვის, რადგან რელიგია გამოსახულებებს უკრძალავს, "ხატი" სხვა არაფერია, თუ არა კერპი და უსჯულოება. როგორ მძიმედაც არ უნდა მოგვხვდეს გულზე ჩვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანებს, ეს გარემოება, უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ჰიმნის სიმღერა ჩვენი მუსლიმანი და იუდეველი თანამემამულეებისათვის არანაკლები მკრეხელობაა. სახელმწიფო ჰიმნი არ უნდა შეიცავდეს მოქალაქეთა შორის თეოლოგიური კამათის საბაბს და არ უნდა აწვებოდეს ტვირთად მათ სინდისს.

"... მთა-ბარი წილნაყარია ღმერთთანა". ეშმაკთან წილნაყარი ნამდვილად გამიგია: ადამიანი გარიგებაში შედის ბოროტთან და თითოეული მხარე თავის **წილს** იღებს: ადამიანი — სასურველს, ეშმაკი — ადამიანის სულს. წილნაყარობა მხარეთა თანასწორობას გულისხმობს, ნამდვილს ან მოჩვენებითს: სატანა ყოველთვის ისე შემოდის ადამიანთან კონტაქტში, თითქოს ამ უკანასკნელის განსაკუთრებული ნიჭებითაა აღფრთოვანებული. ის თითქოს თავს იმდაბლებს, რადგან ამპარტავნებაზე ზემოქმედება ეშმაკული ცდუნების ყველაზე ძლიერი იარაღია. ღმერთი კი აღთქმას დებს, როგორც მაღალი დაბლის მიმართ: აბრაამისადმი მიცემული აღთქმა გარიგება არ ყოფილა, არამედ წყალობა. არც ქრისტე გარიგებია კაცობრიობას, მე ჯვარზე მოვკვდები, თქვენ კი ცხოვნდებითო: ეს უანგარო გამომსყიდველი მსხვერპლი იყო. მთა-ბარი კი, როგორც უსულო საგანი, შეიძლება ღვთის მიერ აღთქმული იყოს. რა თქმა უნდა, ჰიმნის სიტყვებში იმ გადმოცემის კვალი შეინიშნება, რომლის თანახმად მოციქულებმა და ღვთისმშობელმა წილი ჰყარეს, ვინ რომელ ქვეყანაში წასულიყო საქადაგებლად, რის შედეგად წმიდა მარიამს იბერია ერგო. მაგრამ ეს გადმოცემა არ უნდა გადაგვარდეს თეოლოგიურ შეცდომად.

"თავისუფლება დღეს ჩვენი მომავალს უმღერს დიდებას" — ვინმე მოჰყვება იმის მტკიცებას, რომ ეს მეტაფორა მარტივია? თან "უმღერს დიდებას" ნამდვილად არაა "ქართულ ლექსთან ორგანულად დაკავშირებული". საიდან მეცნობა? — ჰო, როგორ არა: "славу поет". ეს "უსტოიჩივოე სლოვოსოჩეტანიე" რუსული ენისათვისაა ორგანულად დამახასიათებელი. გაქართულებას ამ შემთხვევაში ვერც ფსევდოხალხური თუ ფსევდოდიალექტური აქცენტი უშველის — "ღმერთთანა". გარდა ამისა, "დაისის" ლიბრეტოს სინტაქსური სისუსტეების ჰიმნში გადატანას იქნებ ის სჯობდეს, კომპოზიტორ **ფელიქს ღლონტის** მიერ შეთხზული ჰიმნის ორი ვარიანტი გავიხსენოთ, მუსიკალური კონკურსის დროს რომ ასე უცნაურად მიიჩქმალა?!

"ცისკრის ვარსკვლავი ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება" — ეს ორი სტრიქონი კენტავრია: თავი აკაკისა აქვს (ცისკრის ვარსკვლავი), ტანი კი გალაკტიონისა (ორ ზღვას შუა). მაგრამ მთლიანობაში რას ნიშნავს? რა აზრობრივ დატვირთვას ატარებს? ამ ორგანიზმის გენეტიკური შეუთავსებლობა რომ უფრო ცხადი გავცხადოთ, დავუმატოთ შუაზე გახლეჩილი ვაჟაც: "ცისკრის ვარსკვლავი ამოდის და ორ ზღვას შუა ნათდება". კაცმა რომ თქვას, უკეთესი გამოვიდა, თუნდაც იმიტომ რომ ცისკრის ვარსკვლავი მარტოოდენ ორ ზღვას შუა ვერ გაბრწყინდებოდა, ის გაცილებით უფრო დიდი არეალიდან ჩანს. ასე რომ, "ბრწყინდებას" სუბიექტი დაუდგენელი რჩება. ცვლილების შემდეგ კი აზრი დალაგდა: ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდა და ორ ზღვას შუა არე განათდა. თან ფონეტიკურადაც უფრო კეთილხმოვანია. მაგრამ საკითხი სხვაა: რა აზრობრივი მოტივაცია აქვს ამ ორ სტრიქონს ჰიმნში?

ამის შემდეგ კი იქნებ ვინმემ გამაგებინოს, რატომაა ეს ყველაფერი "ადვილი დასამახსოვრებელი"? ყოველი შემდგომი სიტყვა აზრობრივად არაა დაკავშირებული წინასთან. ეს ხომ აძნელებს დამახსოვრებას!

თვისება № 3.: "**მცირე მოცულობის**" — მადლობა ღმერთს, ამას ნამდვილად აკმაყოფილებს არჩეული ვარიანტი.

თვისება № 4.: "**უნდა გამოხატავდეს ოცნებას**" — ბევრი ვიფიქრე და მივხვდი: "განათებული მთა-ბარი". ოღონდ ისაა, თუ ენერგოკრიზისის დაძლევის ოცნება სახელმწიფო ჰიმნში შევიტანეთ, ვშიშობ, ენერგოკრიზისი მესიის მოლოდინივით გაგრძელდეს (დარწმუნებული ვარ, ჩემს ებრაელ მეგობრებს ეყოფათ იუმორის გრძნობა ამ წინადადების გასაგებად).

თვისება № 5.: "**უნდა იყოს შემართული**" — აქ საერთო, ასე ვთქვათ, მაჟორული განწყობა იგულისხმება. მაგრამ განწყობა ყოველთვის ერთიანი აზრითაა ნაკარნახევი მე კი ტექსტის ორტაეპიან ფრაგმენტებს შორის ვერავითარ აუცილებელ კავშირს ვერ ვხედავ, გარდა მიახლოებითი რითმული წყვილებისა (ქვეყანა – ღმერთთანა, დიდება – ბრწყინდება). ეს რომ არა, ამ ტაეპების გადაადგილება თავისუფლად იქნებოდა შესაძლებელი. შემართებას კი რითმაზე უფრო ძლიერი დუღაბი სჭირდება.

თვისება № 6.: "**უნდა აღძრავდეს იმედს**" — აქ კი დროა ვიკითხოთ, რას ნიშნავს "თავისუფლება"? ზაქარია ფალიაშვილის "დაისის" ეს მელოდია და გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცოცხალი გამოცდილება ცალსახა პასუხს გვაძლევს: აქ იგულისხმება თავისუფლება გარეშე მტრისგან. ქვეყანა, სახელმწიფო უკვე იმით უნდა იყოს თავისუფალი, რომ მას თავისი დროშა და ჰიმნი აქვს. ბოლოს და ბოლოს, ხომ წამოგვეზარდა თაობა, რომელსაც აღარც ახსოვს საბჭოთა დროის ფსევდოჰიმნი და ფსევდოდროშა! რას ეუბნება ამ თაობას ჩვენს ჰიმნში სამჯერ გამეორებული სიტყვა "თავისუფლება"? ვთქვათ, პირველად ეს სიტყვა მართლაც უკვე ხსენებული მნიშვნელობითაა გამოყენებული და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური გათავისუფლების მომენტს "აფიქსირებს". საიდან გამომდინარეობს, რომ ჰიმნის ბოლოს მისი საზრისი იცვლება და უკვე პიროვნების თავისუფლებაზე ან დემოკრატიულ ღირებულებებზეა საუბარი? იქნებ ორ ზღვას შუა გაბრწყინებული ცისკრის ვარსკვლავია იმ ახალი ღირებულებებისა და ჩვენში მათი ამოქმედების სიმბოლო? ოღონდ მაშინ ნუ ვიტყვით, რომ ტექსტი მარტივია და ყველასათვის ერთნაირად გასაგები.

მაგრამ თუ სიტყვა "თავისუფლება" აქ მხოლოდ ერთი აზრითაა გამოყენებული, გამოდის, რომ ტექსტში არაა გამოხატული ჩვენი სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპები. ჰიმნი მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური გათავისუფლების მომენტს ასხამს ხოტბას და საქართველოსადმი მარტოოდენ ემოციურ დამოკიდებულებას ასახავს. თანაც ეს ემოციური დამოკიდებულება იმდენადაა დატვირთული და დამძიმებული (მე ვიტყოდი, "დაგრუზული") სხვადასხვა პოეტური ალუზიებითა და, როგორც ჩემზე განათლებული ხალხი იტყოდა, "ინტერტექსტებით", რომ პირწმინდადაა მოკლებული ემოციის ერთ-ერთ ყველაზე აუცილებელ თვისებას — უშუალობას.

თვისება № 7.: "**უნდა იმღერებოდეს**" — ზოგადად, პროზაული ტექსტიც იმღერება, ოღონდ მაშინ მუსიკა, მაგალითად, ვაგნერის უნდა იყოს, ან შონბერგის, ან დებიუსისა. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში კი არა მგონია სამი და ოთხი თანხმოვანის კომბინაციები მღერადობას აძლიერებდეს.

თვისება № 8.: "**ტექსტობრივი მინიშნებებით — სიტყვით, სტრიქონით, ციტატით — უნდა აღვიძებდეს ტრადიციულ, ქვეცნობიერად ყველასათვის ნაცნობ, მთავარ მამოძრავებელ მუხტს**" — ეს პირობა კი ნამდვილად პოსტფაქტუმ მოიყვანა ბესიკ ხარანაულმა. გადაიკითხა არჩეული ვარიანტი და შეეცადა მის გამართლებას. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია, შეიძლება ჰიმნის ადვოკატი არც ფიქრობდა ამაზე, მაგრამ მისი ქვეცნობიერი, მთავარი მამოძრავებელი მუხტი რომ ეს არ ყოფილა, ამის დამტკიცება ძალიან ძნელი იქნება.

ახლა კი ჟიურის შევეხოთ. ვერა ნეფარიძის უკვე ხსენებული სტატიიდან ვიგებთ, როგორ იმართლებენ თავს ჟიურის წევრები: პატიოსანნი და უანგარონი ვართ, რიცხვით კენტნი რომ ვყოფილიყავით, მაინც იმავე ვარიანტს ავირჩევდითო. ეს, მართალი გითხრათ, არ მაინტერესებს. თუ უანგარონი იყვნენ მით უარესი მათთვისაც და კონკურსში წარდგენილი ვარიანტებისთვის. მაგრამ ჟიური საქართველოში ეს ცალკე თემაა. ვერა და ვერ ისწავლა ქართველმა თავისი ცოცხალი თანამოძმის მიუკერძოებელი განსჯა. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ქართველ ფილოსოფოსთა ბიოგრაფიულ ლექსიკონში მხოლოდ გარდაცვლილები შეიტანეს... თუ არ გჯერათ, აი, "საბას" წლევანდელი ჟიურის წევრებს მოვუსმინოთ (28 აპრილი).

ლაშა ბაქრაძე: "**ვიცოდი, რომ ახლაც იქნება კრიტიკა, მაგრამ მაშინ ჟიურის წევრი არ უნდა გახდეს ადამიანი, თუ ეშინია ამ კრიტიკის. ორი ნომინაციის გამოკლებით, ჟიურის არჩევანში ერთხმოვანება არ ყოფილა**". რაღაცას მალავს ლაშა, რაღაცის თქმა უჭირს. თორემ სხვა დროს გაცილებით უკეთესი ქართულით მეტყველებს ხოლმე. მაინც რას მალავს? ამის მიხვედრა შეიძლება, თუ კიდევ ერთ წევრს მოვუსმენთ.

ნოდარ გურაბანიძე: "**ჟიური გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სულისკვეთებით, მეგობრული განწყობილებით და უაღრესად მაღალი პრინციპულობით... ყველა ნაწარმოები წავიკითხეთ, სხვაგვარად შეუძლებელია, ეს იქნებოდა უპატივცემულობა ავტორის, ზოგადად მწერლობისა და საკუთარი თავისადმი**". უპირველეს ყოვლისა, ეს ჟიურის იდეის უარყოფა იქნებოდა. როგორც ვხედავთ, ეს ადამიანი ღირსებად ითვლის იმას, რაც მისი მოვალეობა იყო. ნუთუ ამაში გამოიხატებოდა "საბას" ჟიურის "არაჩვეულებრივი სულისკვეთება"?

აქ კი ერთი საინტერესო მოთხრობის ან, უკეთესია, ფილმის სიუჟეტი დამებადა: "საბას" ჟიური განიხილავს ერთ-ერთ ნომინაციაში წარდგენილ მოთხრობას, რომელშიც აღწერილია წინა წლის ჟიურის მუშაობის პროცესი. ვინმე მოგვითხრობს ოდესმე ამის შესახებ?

მგონი, ერთხელ უკვე ვახსენე ფრანგული გამოთქმა: ცხოვრებაში ყველაზე მთავარი დეტალებია. სწორედ დეტალებში ვიჭრებით და იქ ჩანს ჩვენი სიყალბე ან სისუსტე. მაგალითად, 20 აპრილს A2 გვერდზე გამოქვეყნებული "ინტერ-პრესის" მასალა ასე იწყება: "**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ თბილისში არსებულ მეჩეთს ეწვია**". ვიღაცამ ვერ გაბედა, უბრალოდ დაეწერა: "თბილისის მეჩეთს". ეტყობა, გული არ მიუბრუნდა და ასე წარმოიშვა ეს უხეირო ქართული: "თბილისში არსებული მეჩეთი". აი, სად იჩენს თავს ქსენოფობიის ბაცილა!

მაგრამ ახლა თვით პრეზიდენტსაც მოვუსმინოთ, რომელმაც მეჩეთში სტუმრობისას შემდეგი განაცხადა: "**ტრადიციული რელიგიის მიმდევრებმა უნდა იგრძნონ, რომ ჩვენ მათ მხარს ვუჭერთ და ისინი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან**". ნეტა საიდან გაჩნდა საქართველოს პრეზიდენტის მეტყველებაში რუსეთის სამართლებრივ სივრცეში გაჩენილი არაეფექტური კონცეპტი "ტრადიციული რელიგია". ჰო, ძალიან კარგია იმის გახსენება, რომ დავით აღმაშენებელი მეჩეთსაც არ აკლებდა ყურადღებას, მაგრამ უფრო ღრმად რომ ჩავიხედოთ, რა ვუყოთ მეფე მირიანს: იმ სულკურთხეულმა ხომ თავისი დროისათვის "არატრადიციულ" რელიგიას დაუჭირა მხარი!

საჩუქრის ახალი ფორმა! გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991


# მუსიკალური კონტრასტები, კონკურსები და ფესტივალები

ნათია ვადაჭკორია

ევროპასთან და ამერიკასთან კონტაქტები, პოლიტიკური იქნება თუ კულტურული სახის, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ ამ დღეებში თბილისის კონსერვატორიაში ორი პიანისტის - უკრაინელი მარია პუხლიანკოს და სანკტ-პეტერბურგელი ალექსანდრე პიროჟენკოს სტუმრობამ და მათ მიერ ჩატარებულმა საინტერესო კონცერტმა ცხადჰყო, რომ კულტურული კონტაქტები რაც უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იქნება, მით უკეთესია, გნებავთ ახალგაზრდა თაობისთვის და გნებავთ, უბრალოდ მსმენელისთვის.

ორი, სრულიად ახალგაზრდა, 30 წლამდე ასაკის პროფესიონალი პიანისტი, რომელთა შემოქმედებითი ბიგორაფია მრავალი საინტერესო საერთაშორისო კონკურსით თუ ფესტივალითაა დატვირთული, თბილისს კიევის ვლადიმირ ჰოროვიცის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვების შედეგად ესტუმრნენ. მარია პუსლიანკო რიგით მესამე კონკურსის დიპლომანტია, ხოლო ალექსანდრე პიროჟენკო მეოთხე კონკურსის მეორე პრემიის მფლობელია. აღსანიშნავია, რომ ჰოროვიცის სახელობის კონკურსი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება, კონკურსის დირექციის მიერ დაარსებული ჰოროვიცის ფონდი კი კონკურსში გამარჯვებულთა საკონცერტო მოღვაწეობაზე წლების მანძილზე ზრუნავს. სწორედ ამის შედეგად და რასაკვირველია, თბილისის კონსერვატორიის მოწვევით აღმოჩნდა ეს ორი ახალგაზრდა კონსერვატორიის დიდ დარბაზში. თბილისის გარდა, საკონცერტო პროგარმით, ისინი ქუთაისელი მსმენელის წინაშე წარდგნენ.

ქუთაისში გამგზავრებამდე ორივე პაინისტს გავესაუბრეთ.

**- ორივე თქვენგანის პროგრამაში შოპენი დომინირებს, რითია ეს გამოწვეული?**

**ალექსანდრე პიროჟენკო**: შოპენი არ დომინირებს, უბრალოდ, რაოდენობრივად არის მეტი, თორემ სკრიაბინის სონატა გაცილებით მეტს იწონის. საერთოდ არ მყავს გამორჩეულად საყვარელი კომპოზიტორი, მხოლოდ ზოგიერთ ავტორს ვანიჭებ უპირატესობას.

**მარია პუხლიანკო**: ამჟამინდელი საკონცერტო პროგრამა სხვა კონკურსებისთვის მოვამზადე და



*მარია პუხლიანკო*

ხელთ მქონდა. ვფიქრობ, რომ პიანისტთა ორიენტაცია ერთ რომელიმე კონკრეტულ კომპოზიტორზე ან სტილზე, მაინცდამაინც არ არის სწორი. ეს უფრო ევროპული ტენდენციაა, ჩვენთან სხვაგვარადაა საქმე. რასაკვირველია, მეც მყავს საყვარელი კომპოზიტორები, როგორიცაა რახმანინოვი, შუმანი, ბახი. თუმცა, ეს ვიწრო ორიენტაციის საბაბი არ უნდა გახდეს, ყველაფერი უნდა მოსინჯო.

**- როგორია კულტურული ცხოვრება ამჟამად თქვენს ქვეყნებში?**

**ა.პ.**: ამ ბოლო დროს ჩემთვის საინტერესო ბევრი არაფერია. მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგში მსოფლიოში ცნობილი სახელები ჩამოდიან, მუსიკალური კულტურის და საერთოდ კულტურის დაცემა სახეზეა. წარსულში სხვა სიტუაცია იყო. ასეთი ტოტალური ზღვარი მსუბუქ და კლასიკურ მუსიკას შორის არ არსებობდა. ხალხს ეხლა მსუბუქი მუსიკა სჭირდება, კლასიკა ცოტა ვინმეს თუ აინტერესებს. თუმცა, ნებისმიერი მაღალი დონის ხელოვნება ხომ საზოგადოების ვიწრო წრისთვის არის საჭირო და მისაწვდომი.

**მ.პ.**: კიევში იყო პერიოდი, როდესაც საკონცერტო დარბაზები ნახევრად ცარიელი იყო, ახლა ფილარმონია მუდამ სავსეა. უფრო მოდური გახდა კლასიკური მუსიკის საღამოზე წასვლა, ვიდრე დისკოთეკაზე. თუმცა, ევროპულ დონემდე ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია.

**- პიანისტისთვის კონკურსი უფრო ბევრის მომცემია, თუ ფესტივალი?**

**ა.პ.**: ფესტივალი რომელიმე კონცერტების ჯგუფს აერთიანებს, კონკურსზე კი პრემიის მიღების შანსი გაქვს და შედეგად კონცერტების მთელი სერიაც სხვადასხვა ქვეყანაში. უახლოეს მომავალში საკონცერტო პროგარმით შეერთებულ შტატებში მივემგზავრები, რაც იმის შედეგია, რომ წელს ნიუ იორკში Young Concert Artists International Auditions კონკურსზე პირველი პრემია დავიმსახურე.

**მ.პ.**: მუსიკა სპორტი არ არის და მარტო კონკურსებზე ორიენტაცია არ არის სწორი. ჩემი უახლოესი გეგმა კიევში დაბრუნება და იქ ყოველწლიურ ფესტივალში - "კიევის საზაფხულო მუსიკალური საღამოები" - მონაწილეობის მიღებაა. ამ ფესტივალის დამაარსებელი გახლავთ უკრაინელი პიანისტი ნიკოლაი სუკი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. იგი კიევის ფესტივალის მეშვეობით უცნობი მუსიკის პროპაგანდას ეწევა. ფესტივალზე სრულდება როგორც თანამედროვე, ისე ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებები. მე არაერთხელ მიმიღია ამ ფესტივალში მონაწილეობა, მისი წყალობით ივნის-ივლისის თვეებში კიევის საზაფხულო ესტრადაზე და მის შემოგარენში ნამდვილი სახალხო დღესასწაული ეწყობა. მსმენელი ღია ცის ქვეშ ადგილებს კონცერტამდე რამდენიმე საათით ადრე იკავებს - კონცერტის დროს ფენომენალური ანშლაგია ყოველთვის.

დაბოლოს, ორივე პიანისტი თბილისის მესამე საერთაშორისო კონკურსით დაინტერესდა, რომელიც 2005 წლის ოქტომბერში გაიმართება. იმედია, კონკურსის პირობების გაცნობის შემდეგ, ისინი ჩვენი კონკურსის მონაწილეებიც გახდებიან.

# "ბრძოლა მანდარინის ბაღში"

ნინო ჭორჭაძე

სიონის გვერდით მდგარ დანგრეულ, გაუსახურებულ აღმოსავლურ შენობას წლობით ერთადერთი დანიშნულება ჰქონდა - "ბომჟების" თავშესაფარი და ტუალეტი იყო. შაბათს კი, იმ აქციის სახით, რომელიც რამდენიმე ქართველმა მხატვარმა მოაწყო, მას ორიგინალური ფუნქცია მიეცა. ნიკო ცეცხლაძე, ოლეგ ტიმჩენკო, ვახო ბუღაძე, ორგანიზატორები - მიშა შენგელია, მაკა ბატიაშვილი, ბაია სიხარულიძე - ეს ადამიანები ამ სახის აქციებსა და პერფორმანსებზე ხშირად ფიგურირებენ და თბილისში გამეფებულ, ან პროვინციულ, ან კი ძველმოდურ, კონსერვატიულ ატმოსფეროში სიახლისა და აქტიურობის ელემენტები შემოაქვთ. იმდღევანდელი აქცია კი ეძღვნებოდა აფხაზეთის ომში მონაწილე უკრაინელების ხსოვნას, რომლებიც ქართველების მხარეს იბრძოდნენ. "ეს ბიჭები დაქირავებულები კი არ იყვნენ, არამედ მოხალისეები", - განგვიმარტა მიშა შენგელიამ. ერთ-ერთი მათგანი ალექსეი დოგელი კუკიაზეა დასაფლავებული და მის შესახებ არაფერია ცნობილი სახელისა და გარდაცვალების თარიღის გარდა.

თუმცა, ნამუშევრების დათვალიერების შემდეგ, რომლებიც, სხვათა შორის, საკმაოდ საინტერესო და ორიგინალური გახლდათ, მი-



*500 დოლარიანი პუტინი*

ხვდებოდით, რომ მონაწილე მხატვრები პროტესტს უცხადებენ, ზოგადად, ომის აგრესიას. აქ გამოფენილი იყო 28 წლის რომან ბატიაშვილის ფოტო. იგი 1942 წელს დახვრიტეს იმ შეთქმულების აქტივისტობისათვის, რომელიც მიმართული იყო ორი იმპერიის ომში საქართველოს მონაწილეობის წინააღმდეგ.

ეს არის აქცია, რომელიც მიმართულია დამპყრობლობის, ომის, აგრესიის წინააღმდეგ. "რაც ისტორიიდან ჩვენში დაილექა, აქ წარმოვაჩინეთ", - გვითხრა მაკა ბატიაშვილმა. მხატვრების პოზიცია აშკარა იყო. ერთ-ერთი ნამუშევარი - "რუსული პოლიტიკის ოქროს საბადოები", წარმოადგენდა საქართველოს რუკას, რომელზეც აფხაზეთი, აჭარა და სამაჩაბლო ოქროს ქაღალდით არის მონიშნული. მხატვრები შეეცადნენ, ინსტალაციებით შეექმნათ რუსული ხასიათის ყველაზე მკვეთრი შტრიხები - ერთ კუთხეში წიწაკის არაყი, შავი პური, სალა ეწყო, მეორე კედლის ნიშაში კი არაყი იდგა შიგნით ჩადებული ადამიანის ტვინით. მის უკან გაკრული იყო "ივერიის" ფოტო წარწერით " მოსკოვს ცრემლების არ სჯერა." კომპოზიციას ერქვა "Лицо русской националности".

აქციის მთავარ სათქმელს, ალბათ, ის ნამუშევარი ამბობს, რომელიც 500-მილიონდოლარიან კუპიურას წარმოადგენს პუტინის გამოსახულებით - თავისუფლების საფასური..

# თეატრი ზედ ხიდის ყურზე

## თბილისში ახალი თეატრი გაიხსნა

თეონა ჯაფარიძე

ახალ თეატრში პრესკონფერენციაზე დაგვიანებულმა სწორედ მაშინ შევდგი ფეხი, როცა რეჟისორი გოჩა კაპანაძე კრიტიკოსებისა და ჟურნალისტების სადღეგრძელოს სვამდა: "როგორც კი თქვენ დამინდობთ, იცოდეთ,არც ერთ თქვენ სტატიას აღარ წავიკითხავ; იყავით კრიტიკულები და სუბიექტურები, გაგიმარჯოთ". გაგიმარჯოთ - აიტაცეს "დაუძინებელი მტრების" სადღეგრძელო იქ თავმოყრილმა მსახიობებმაც, მიუხედავად იმისა, რომ ქართული თეატრი ამ "დაუძინებელი მტრების" აშკარა დეფიციტს განიცდის. მაგრამ, მოდით, ახალ თეატრს დავუბრუნდეთ:

### სცენა

სასწრაფოდ სცენას მივაშურე - ერთი სული მქონდა, მენახა, როგორი იყო ის. თეატრის პატარა სივრცის ყველაზე დიდი ნაწილი სწორედ სცენას უკავია. თქვენ წარმოიდგინეთ, თვალის ერთი შევლებითაც კარგად ჩანს, რომ სცენა თვით მაყურებელთა დარბაზზე უფრო დიდია და, სწორედ მისი სიდიდის გამო, მომეჩვენა, რომ პატარა თეატრიც დიდია. მაყურებელთა დარბაზი, დაახლოებით, 80 კაცს დაიტევს. "ჩვენთვის სცენა უფრო მთავარია, თუნდაც ათი კაცისათვის ვითამაშოთ. ცხადია, ბატალურ სცენებს აქ ნამდვილად ვერ დავდგამთ, მაგრამ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დაალაგებ მიზანსცენებს", - მეუბნება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გოჩა კაპანაძე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქსესუარი დაამშვენებს ამ სცენას. " **ჩვენ ფარდა გვექნება**", - მეუბნება რეჟისორი და გამახსენდა "ფარდა", მისი ახდის მოლოდინი და საიდუმლო - "რა ხდება მის მიღმა". ახალი ტენდენციების გამო, ჩვენ გადავეჩვიეთ ფარდიან თეატრებსა და ამ "მოლოდინს". დიდი მაესტროს მიხეილ თუმანიშვილის მიერ ერთ დროს ნოვატორულმა "უფარდო თეატრმა" და მაყურებელსა და სცენას შორის ზღვარის წაშლამ ჩვენში მასიურად მოიკიდა ფეხი. დღეს კი ისევ ფარდიანი თეატრი იხსნება. ფარდა რუსთაველის თეატრში დამზადდა ანა ნინუას ესკიზის მიხედვით.

### ტერიტორია და მეზობლები

როცა თეატრის "საძებნელად" მივდიოდი, გამაფრთხილეს, რომ ათონელის 31-ში უნდა მოვხვედ-



*გოჩა კაპანაძე პრესკონფერენციაზე*

რილიყავი. გავიარე ამერიკის საელჩო, ხელმარცხნივ ალექსანდროვის ბაღთან ჩამოვიტოვე საფრანგეთის საელჩოს მომავალი რეზიდენცია, გადავიარე "მშრალი ხიდი" და მივადექი ძველ შენობას მემორიალური დაფით; "ამ შენობაში 1899 წელს, თბილისში სტუმრობის დროს ცხოვრობდა ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი". შენობა ყოფილი სასტუმრო "ლონდონი" აღმოჩნდა (XIX საუკუნე). შენობის ეზოს შესასვლელთან კი ფერადი წარწერა შევნიშნე "თეატრი ათონელზე" და თავი ერთ თბილისურ "იტალიურ" ეზოში ამოვყავი. თავად განსაჯეთ: თბილისში გაჩნდა თეატრი ზედ ხიდის თავზე, იტალიურ ეზოში, რომლის მეზობლებიც სოლოლაკელები, ამერიკელები და ფრანგები არიან.

### კაცი, რომელსაც თეატრი უყვარს

ასეთი ადამიანებიც იბადებიან, რომლებსაც თეატრალურ წრეებში ტრიალი ცხოვრების წესად აქვთ ქცეული. მათ თეატრალებს უწოდებენ; ისინი პრემიერიდან პრემიერამდე ცხოვრობენ; რაც უფრო შორს არიან პროფესიულად თეატრისაგან, უფრო მეტ ლტოლვას განიცდიან მის მიმართ, - თითქოს რაღაც დაკარგულის ანაზღაურებას ლამობენო; თუ ბიზნესმენები არიან, უანგაროდ ბევრი შეუძლიათ გაიღონ თავიანთი "სიყვარულის ობიექტისათვის". მსოფლიოში აპრობირებული თეატრის ფანატიკოსის ასეთი ფენომენი ნამდვილად არსებობს. ქართველი საზოგადოება აქამდე თბილისში გრანდიოზული თეატრალური მშენებლობების ერთ მეცენატს იცნობდა. გუშინ პატივი მერგო, კიდევ ერთი თეატრის ფანატიკოსი გამეცნო. "მე უკვე 57 წლის ვარ. დამერწმუნეთ, არც დეპუტატობა მინდა და არც - რაიმე პრივილეგიები. უბრალოდ, მინდა, ლამაზად ვიცხოვრო. განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია. მშენებლობისათვის სესხი ავიღე; ჩემმა მეგობარმა ავთო წერეთელმა კი ეს ადგილი მაჩუქა. დახმარებით კი ამ თეატრს ყოველთვის დავეხმარები. არ დაიტოვება ეს თეატრი მარტო" - ეს სიტყვები ბატონ რევაზ სალუქვაძეს ეკუთვნის. (გთხოვთ, გაიცნოთ კიდევ ერთი მეცენატი.)

### 7 მაისს, საღამოს შვიდ საათზე

"თეატრი ათონელზე", ოფიციალურად, 7 მაისს, საღამოს 7 საათზე გაიხსნება იმპროვიზირებული წარმოდგენით "ფანტაზიები თეატრის თემაზე". ახალ სცენაზე 35 მსახიობს იხილავთ. სამ მოჩვენებას მარინა ჯანაშია, ნანა ფაჩუაშვილი და ქეთი ჩხეიძე განასახიერებენ. ისინი თეატრის სულები არიან. მათ, ანუ ყოფილ მსახიობებს, ღმერთი ჯოჯოხეთიდან ისევ თეატრში დააბრუნებს. ჯოჯოხეთიდან იმიტომ, რომ ნათქვამია, - ამ პროფესიის ადამიანები, როგორც წესი, ჯოჯოხეთში ხვდებიანო. თუმცა, ამქვეყნად "არტისტად" ყოფნა ნამდვილად ღირს.

დანარჩენზე კი შემდეგ გიამბობთ...

# ახალი საგამოფენო პოლიტიკა ხელოვნების მუზეუმში

თეონა ჯაფარიძე

ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გუშინ გახსნილი გამოფენა, სახელწოდებით "საფეხურები", აშკარად განსხვავდებოდა მუზეუმის დანარჩენი, ჩვეულებრივი, სტანდარტული გამოფენებისაგან თავისი ფუნქციონალურობით. გამოფენა სამეცნიერო-საგანმანათლებლო დანიშნულების გახლდათ, გახსნის ფორმა - კი საზეიმო: - იქვე საგამოფენო დარბაზში გამართულ კონცერტზე მოცარტის, ბეთხოვენისა და შუბერტის ნაწარმოებები სრულდებოდა; მუზეუმი კი სავსე იყო სკოლის მოწაფეებითა და სტუდენტებით.

პროექტი "საფეხურები", რომელიც 2004 წლის საუკეთესო საუნივერსიტეტო სტუდენტურ პროექტად გამოცხადდა, ნაწილობრივ, აქ, ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო სივრცეში განხორციელდა. საგამოფენო ნაწილს წინ უძღოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სტუდენტთა სამეცნიერო კრებულის "საფეხურების" გამოცემა (გამომცემლები სოფიო კილასონია და ანა ძიაპშპა). კრებულში სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომებია შესული რელიგიური არქიტექტურისა და მხატვრობის თემებზე. სწორედ ამ კრებულის საზოგადოების წინაშე წარდგენა ძალზედ აკადემიური კონცეფციით განხორციელდა ხელოვნების მუზეუმში: საგამოფენო დარბაზში გამოფენილი ნამუშევრები ერთი



*გამოფენაზე*

პრინციპით იყო შერჩეული - წარმოჩენილიყო მეოცე საუკუნის ქართული რელიგიური სურათის განვითარების ეტაპები. ექსპოზიციის ცენტრალური ნაწილი ეკავა ფიროსმანის ორ ტილოს: "ლოცვა სოფლად" და "სააღდგომო ბატკანი". დანარჩენი ავტორები ჩვენი თანამედროვენი, 80-იანელები გახლდნენ: ირაკლი ფარჯიანი ლევან ჭოღოშვილი, გია ბუღაძე, ოლეგ ტიმჩენკო, გოგა მაღლაკელიძე, დავით სულაკაური, გიორგი ჯაფარიძე და კახა დემურაძე. პროექტმა ლევან ჭოღოშვილის მასშტაბური, ქაღალდზე ტემპერით შესრულებული კომპოზიციიდან "საფეხურებიდან" მიიღო სახელწოდება.

ექსპოზიციას მეტად ეფექტურს ხდიდა საგამოფენო დარბაზის კედელზე წარმოდგენილი ვიდეოინსტალაცია, სადაც ერთიმეორეს ცვლიდა საბჭოთა იდეოლოგიით გამოწვეული ანტირელიგიური პროპაგანდის ფოტოები და ამავე პერიოდში შექმნილი საეკლესიო მხატვრობა.

პროექტი, ასევე, ითვალისწინებს საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის სასწავლო პროგრამის განხორციელებასა და სტუდენტთა შეხვედრებს გამოფენაში მონაწილე მხატვრებთან. ფაქტობრივად, ამ გამოფენამ სათავე დაუდო ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო სივრცეში სამეცნიერო პროექტების განხორციელებას. აშკარაა, რომ მუზეუმი თავის საგამოფენო პოლიტიკას იცვლის.

ახლანდელ ექსპოზიციას ასრულებს დასახატად გამზადებული ტილო - წარწერით "XXI".

# ბიჭი ბიბლიოთეკიდან

ნიუ იორკის უნივერსიტეტის მეორეკურსელ სტუდენტს, რომელსაც მთელი რვა თვის განმავლობაში ბიბლიოთეკაში ეძინა, დირექციამ საერთო საცხოვრებელში ოთახი უფასოდ დაუთმო. ამიერიდან 20 წლის სტივ სტანცაკს უფრო კომფორტულ პირობებში შეეძლება სწავლის გაგრძელება და ბობსტის ბიბლიოთეკის ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენება.

სტივმა ბიბლიოთეკის სარდაფში დასაძინებლად დარჩენა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მიხვდა, რომ 1000 დოლარს ბინაში ვერ გადაიხდიდა. თავიდან ოთხ შეერთებულ სკამზე ძილი გაუჭირდა, მაგრამ თანდათან შეეჩვია. ზურგჩანთაში მხოლოდ განსაკუთრებულად საჭირო ნივთები ეწყო - წიგნები, ერთი ხელი ტანსაცმელი, ლეპტოპი. დილას ბიბლიოთეკის საპირფარეშოებში "ბანაობდა", ნამდვილი აბაზანის მიღების შანსი კი მხოლოდ ხანდახან - მეგობრების სახლებში ჰქონდა. დანარჩენ პირად ნივთებს ფასიან საწყობში ინახავდა. ასე გაგრძელდა რვა თვეს. ბოლოს უნივერსიტეტის მომსახურე პერსონალმა სტივის დღიურს მიაგნეს, სადაც დაწვრილებით იყო მოთხრობილი, თუ როგორია ბიბლიოთეკაში ქურდულად ცხოვრება და სწავლას მოწყურებულ სტუდენტს სასწრაფოდ უფასო ოთახი გამოუძებნეს.



თუმცა, ყველაფერი ამით არ დამთავრდა - სტივ სტანცაკი ნიუ იორკის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბიჭი გახდა. მისი დღიური ინტერნეტშიც განთავსდა, სპეციალურ ვებ-გვერდზე - www.homelessatnyu.com და მას უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდა.

"მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც მეხმარება; ვინც მაგრძნობინებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ღარიბი ვარ და ბიბლიოთეკაში ვცხოვრობ, მაინც რაღაცად ვვარგივარ. მე უბრალოდ, ცხოვრებას ვსწავლობ და ისიც კარგად ვიცი, რომ რაღაცას მივაღწევ", - წერდა ის 15 აპრილს თავის დღიურში.

სტანცაკი ახლა დანარჩენი სტუდენტებივით საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, ჩვეულებრივ საწოლში ძინავს და სკამზე მხოლოდ ზის ხოლმე. მაგრამ, ბიბლიოთეკაში გატარებული რვა თვის გამო მეტსახელი მაინც შემორჩა - მას ყველა "ბობსტის ბიჭს" ეძახის. "სულაც არ მეშინოდა იმის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბიბლიოთეკიდან გამომაგდებდნენ, პარკშიც მშვენივრად შეიძლება ძილი. მე უფრო იმაზე ვნერვიულობდი, ბიბლიოთეკის შინაგანაწესის დარღვევის გამო, უნივერსიტეტიდანაც არ გამოვერიცხე დეკანს. ამ სკოლაზე ხომ ვგიჟდები", - განუცხადა სტივმა "ნიუ იორკ ტაიმსს".

სტივი ოთხ ადგილას მუშაობს, რეგულარულად იღებს უნივერსიტეტის 15 ათას დოლარიან სტიპენდიას, მაგრამ მას გაყრილი მშობლები საერთოდ არ ეხმარებიან და ამიტომ ძლივს შექუჩებული თანხა არ ჰყოფნიდა. ბაკალავრიატის სტუდენტები ხომ წელიწადში ბინაში 7-იდან 16 ათას დოლარს იხდიან.

სტივი კი, ალბათ, ბიბლიოთეკაში მიღებულ რვათვიან შთაბეჭდილებას ერთხელაც წიგნად აქცევს - ის ნიუ იორკის უნივერსიტეტში შემოქმედებითი წერის ხელოვნებას ეუფლება.

# გამოფენა ITAF 2004

## ანუ, პურის ნაცვლად, კორკოტი



გამოფენაზე



წმ. სოფიას ტაძრის პანდუსი



ცისფერ მეჩეთში



"რენოს" ქალი



სტამბულის გზებზე

ვახო ბესელიას ფოტოები

ვახო ბესელია

თუკი პური მეპურემ უნდა დააცხოს (ქართულ ანდაზას დავიმოწმებთ), ეს წერილიც, ჯობდა, სხვას დაეწერა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ფოტოგრაფი სტამბულში ჟურნალისტის გარეშე გავემგზავრე.

ავტობუსში ჩაჯდომისას თურქულენოვანი მოსაწვევი გადმომცეს. მასზე გამორჩეული შრიფტით: itab 2004 ეწერა. გრაფიკული ნახატებით მივხვდი, რომ საქმე ავტომანქანებს ეხებოდა. დანარჩენი კი, რაც ამოვიკითხე და გავიგე, იყო: istanbul-ი და ჩემთვის უცნობი tuyap-ის ტელეფონი, ფაქსი, ინტერნეტგვერდის მისამართი და ელექტრონული ფოსტა. თანამგზავრები ჩემზე გათვითცნობიერებულები აღმოჩნდნენ; მათგან შევიტყვე, რომ საქმე ავტომანქანების გამოფენას ეხებოდა, რომელსაც ზემოხსენებული tuyap-ი აწყობდა და მგზავრობისა და კეთილმოწყობილი სასტუმროს ხარჯებსაც ის იღებდა. გზა დიდი გვქონდა და ვიფიქრე, იქნებ სტამბულში ჩასვლამდე კიდევ რამეში გავერკვე-მეთქი - თავიდან მგზავრები, ძირითადად, ავტომანქანების ავან-ჩავანზე საუბრობდნენ. არ შეჯდა, თუ ვერ შეჯდა მწყერი ხეზე, ანუ ცოდვა გამხელილი ჯობს და, სმენით უფრო დავიღალე, ვიდრე რამე ავითვისე. ზოგადად, კარგია თუ ცუდი, ქართველები მეტ-ნაკლებად ყველაფერში რომ ვერკვევით, ამაზე ჩემზე ჭკვიანებმა იფიქრონ - ყვავს ბახალა მოუკვდა ბუს მიუგდო: თავი დიდი გაქვს, შენ იტირეო, - მე კი შვებით ამოვისუნთქე, როცა საყველაფრო საუბრებში ორიოდე სიტყვის თქმის საშუალება მომეცა. ასე გზადაგზა, ლაპარაკ-ლაპარაკში, პურ-ყველის გატეხვაში, ჩაის სმაში, ნელ-ნელა ისე გავიცანით ერთმანეთი, რომ ევროპაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთიანი და განუყოფელი წარმომადგენლები შევედით.

ჩასულებს საღამოს სტამბულში გასეირნება ძვირი დაგვიჯდა. თურქეთში ყველას წინასწარ უნდა შეუთანხმდე, რომ სავალალო მდგომარეობაში არ ჩავარდე. დილით, საუზმის შემდეგ ავტობუსით გავემგზავრეთ გამოფენაზე, რომელიც მშენებარე ტელეანძასთან მდებარეობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ავტომანქანების - არც თურქულის და არც ინგლისურისა, არა გამეგება - გამოფენის ნახვა ღირდა. მართალია, მსუბუქი ავტომანქანები, რომელთა მიმართ ქართველებს მეტი ინტერესი გვაქვს, აქ არ იყო, მაგრამ საგამოფენო სივრცის მასშტაბები, თითოეული ფირმის მიერ საკუთარი ნაწარმის წარმოჩენის მაღალი დონე გულგრილს არავის დატოვებდა. მე კი ვიტყოდი, რომ მოსაწყენ, საეჭვო მხატვრულ გამოფენებს, რომლებიც ჩვენში ასე ხშირია, ამგვარი გამოფენა მირჩევნია.

რაც შეეხება ექსპონატებს, ამაზე ჩემი დილეტანტური მოსაზრებებისგან თავს შევიკავებ. სხვებს რაც შეეხება, - ვის მღვდელი მოსწონს, ვის მღვდლის ცოლიო, - უკანა გზაზე ერთი "მერსედესს" აქებდა, მეორე "ოპელს", მესამე კი რომელიღაცა ფირმის "პადშებნიკის" უნივერსალურობას გვაზიარებდა, მაგრამ უკლებლივ ყველას თან გამოგვყვა "რენოს" უზარმაზარი სატვირთოს მეთვალყურე წითელკაბიანი ქალის სურვილი: "ნეტავი გოგო მე და შენ..."

შემდეგ, ანუ უკვე წამოსვლის დღეს, ვნახეთ წმინდა სოფიას ტაძარი და ცისფერი მეჩეთი. ცოტა სტამბულის ქუჩებშიც ვიხეტიალეთ. სტამბულზე და მის ღირსშესანიშნაობებზე იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ ჩემი შთაბეჭდილებებით აღარ შეგაწყენთ თავს. ნათქვამს ნანახი სჯობსო, - და ჩემს ფოტოებს გთავაზობთ (ისე, ამ ქალაქისთვის ფოტოები ვის არ გადაუღია).

დასასრულს ვიტყვი - მართალია, პური მეპურემ უნდა დააცხოს, მაგრამ ისიც ნათქვამია, - სანამ თონე ცხელია ლავაში მიაკარიო. ასე ნაუცბათევად კი, ჩემი შთაბეჭდილებების დამფქველი, tuyap-ის ვებგვერდიდან შესაბამისი ინფორმაციის მომზელი და თავის თონეში, ასე ვთქვათ, "გემრიელი პურის" გამომცხობელი ვერავინ მოვნახე - თუ არა გყავს მოახლეო, თავი მოიმოახლეო. პურით თუ არა, ანდაზებისა და ფოტოების ნაზავით, თუ რაღაც კოქტეილით ხომ მაინც გაგიმასპინძლდით. სტუმარს უთხრეს, - კორკოტს მოურიე, შენი სახეთქიც არისო.

# ვაზი და საკურა

*როგორ დავიპყრო მისი გული,*
*როგორ დავტოვო*
*ჩემს ახლოს იგი - მომზირალი*
*მუდამ პირიქით.*
*ო, ალუბლებო,*
*ყვავილებით მიწა დათოვეთ,*
*დაფარეთ ჩემგან წასასვლელი*
*ყველა ბილიკი.*
*(მე-12 საუკუნის ტანკა)*

დესი დაშკოვა

თუ ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში ოფიციალურად აღნიშნავს ერთი მცენარის ყვავილობას, აბა, მოიფიქრეთ, რა უნდა ერქვას თბილისში რესტორანს იაპონური სამზარეულოთი? ალბათ, ყველაზე იაპონური სიტყვა - "საკურა", რაც ალუბლის ყვავილს, თუ გნებავთ, იაპონური ალუბლის ყვავილს ნიშნავს. მაგრამ, გარეგნულად რითი განსხვავდება იაპონური ალუბლის ყვავილი ქართულისაგან, აბაშიძის ქუჩაზე ვაზთან ერთად ქოთანში ჩარგული საკურა როცა აყვავილდება, მაშინ შევიტყობთ.

რესტორან "საკურაში" "ჯი ემ სი" ჯგუფმა სარესტორნო ქსელისადმი საზოგადოების დადებითი განწყობის მოსაპოვებლად შეხვედრების ტრადიცია გააგრძელა. რესტორნის ღია კარი მიზნად ისახავდა ქართულ იაპონური მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას. კვირა - 29 აპრილიდან 5 მაისამდე იაპონელთა ნაციონალური დღესასწაული "ოქროს კვირაა".

1989 წლიდან მოყოლებული იმპერატორ შოუას ხსოვნის აღსანიშნავად და ბუნებისადმი ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად მისი დაბადების დღე, 29 აპრილი მიჩნეულია "სიმწვანის დღედ". ამ დღით იწყება ე. წ. "ოქროს კვირა". ტრადიციულად ამ დღეებში მთელი ქვეყნის მასშტაბით ირგვება ხეები.

პარასკევს "ჯი ემ სი" ჯგუფმა სტუმრებთან ერთად რესტორნის წინ ქოთანში ვაზი და საკურა ჩარგო. ფესვებგადგმულ ქართულ-იაპონურ მცენარეულ სიმბოლიკას როგორც კი ამინდი გამოვა, (გუშინ წვიმდა) მიწაში გადარგავენ.

"საკურა" რამდენიმე სახეობის სუშით და კიდევ რამდენიმე სახეობის სოუსით გაუმასპინძლდა სტუმრებს - უცხოელებსაც და ქართველებსაც.



ვახო ბესელიას ფოტო

სუში იაპონური სამზარეულოს საცივია, ან თუ გნებავთ, იტალიურის - პიცა. შესახედავად კი პატარაა, მაგრამ მოსამზადებლად მრავალსაფეხურიანია. "ნუ, რა არის სუში, ბოლოს და ბოლოს, ბრინჯი და თევზი"- გუშინაც გავიგონე რესტორანში. მართალიცაა - მოხარშული და მრავალნაირი ძმრით შეზავებული ბრინჯი. ზღვის პროდუქტებიც სჭირდება - ათასნაირი. კიდევ სანელებლები და უნდა იცოდე, რომელი პროდუქტი რამდენი, როგორი და რომელ საფეხურზე მოამზადო. მეტი არაფერი! "საკურაში" იყო ორაგულის სუში - საკი მაკი, იყო შერეული სუში - მაკი მოტო (ინგლისურად - როლი, რადგან იაპონურად მაკი შეხვეულს ნიშნავს). იყო "ვასაბიც" - იაპონური პირშუშხა. ის მხოლოდ იაპონიაში იზრდება, აქვს "ბლენდამედივით" სამკურნალო თვისება - გიცავს კარიესისაგან. უკვე საკუთარი გამოცდილებით გეტყვით, რომ თუ ლანგარზე სუშის გვერდით ლამაზ ფორმად ჩამოსხმულ მასას შენიშნავთ, არ მოგხიბლოთ მისმა პასტელურმა მწვანემ, ნურც მეზობელს ენდობით, რომელიც გირჩევთ გასინჯეთო - იცოდეთ, რომ ეს ერთი კაცის ულუფა არ არის და თუ მაინცდამაინც კარიესისგან უსაშველოდ არ იტანჯებით, მთლიან ლუკმად პირში არ ჩაიგდოთ. ინდიელი მეგრელიც ვერ აიტანდა მთელ "ვასაბის" ხახაში!

"საკურას" იაპონურ სამზარეულოს იაპონურ მუსიკაზე ნაკლებად არც მეგრული "ოდოია" და აჭარული არ დამშვენებია.

"კარგია, რომ თბილისში უკვე მეორე იაპონური რესტორანიც არის. სიამოვნებით ვივლი თქვენთან" - ასე ემშვიდობებოდნენ ქალბატონ მაკო ჯაოშვილს, ქართულ-იაპონური საღამოს ერთ ერთ ორგანიზატორს.

ტანკით მომავალ რესტორნამდე:
ფერი იცვალე თუ იმავ ხმით მეხმატკბილები?
ო, ვინ გაიგოს ჭეშმარიტი შენი ბუნება!
გარდახდა ჟამი,
მაგრამ შეხე, ეს ალუბლები...
მათი სურნელი ძველებურად მესალბუნება

ფეხბურთი

www.pfl.ge

# „დინამო“ ახალი ცოცხის პრინციპით

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მე-7 ტურს ნაწილობრივ მაინც პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, რამდენად გამართლებული იყო „დინამოს“ ხელმძღვანელობის მიერ თანამდებობიდან ივო შუშაკის გადაყენება და ამ პოსტზე გია გეგუჩაძის დანიშვნა. მით უმეტეს, რომ გამოცდის ჩაბარება ახალ „დინამოს“ და მის ახალ დამრიგებელს საკმაოდ სერიოზულ მოწინააღმდეგესთან, როგორც მეორე ეტაპმა ცხადყო, ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან, ბოლნისის „სიონთან“ უწევდა. ამ მატჩის მნიშვნელობას ისიც ზრდიდა, რომ წარმატების შემთხვევაში „სიონი“ გიგანტურ ნაბიჯს გადადგამდა ჩემპიონის ტიტულისკენ და დარჩენილ სამ ტურში სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ ბოლნისელებს ტიტული დაეთმოთ.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ფინალური ეტაპის სტარტზე, კერძოდ, მეორე ტურში, ჯერ კიდევ შუშაკის „დინამო“ ბოლნისში 2:3 დამარცხდა, რითაც საფუძველი ჩაეყარა, ერთი მხრივ, „დინამოს“ კრიზისს, ხოლო, მეორე მხრივ, - „სიონის“ პროგრესს. აი, ასეთი პრეისტორია ჰქონდა ამ მატჩს, რომელიც 1 მაისს ეროვნულ სტადიონზე გაიმართა.

მატჩის ბედი სრულიად მოულოდნელად, თანაც, პირველსავე წუთზე გადაწყდა. უხეში შეცდომა დაუშვა ბოლნისელმა ჭიჭვეიშვილმა, რომელმაც მეტოქეს საკუთარ საჯარიმო მოედანთან ახლოს ჩააბარა ბურთი. ბრაზილიელმა ახალწვეულმა რომერომ კი, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში პირველად მოხვდა „დინამოს“ სასტარტო შემადგენლობაში, ძლიერად გაისროლა. კარისკენ გზაზე ბურთი ერთ-ერთ მცველსაც შეეხო, ოდნავ იცვალა ტრაექტორია, მეკარე ვოლკოვს ჩაუარა და ბადეში აღმოჩნდა. ასე გაიხსნა ანგარიში.

ასეთ დებიუტს სტუმრები ნამდვილად არ ელოდნენ და საკმაო დრო დასჭირდათ გონზე მოსასვლელად. თუმცა, პირველი ტაიმის შუაწელში თამაში დაარეგულირეს, მეტოქეს უპირატესობა დაათმობინეს და შეტევაზე დაიწყეს გადასვლა. წინა ხაზზე აქტიურობდნენ საქართველოს ნაკრებში ახალგამოძახებული გონჩაროვი და ექსლოკომოტიველი როინ ონიანი. მათი შეტევების შემდეგ ზოიძის კართან ვითარება ორჯერ საგრძნობლად დაიძაბა, მაგრამ ვეტერანმა მეკარემ შეძლო სახიფათო დარტყმების მოგერიება. თავის მხრივ, „დინამოც“ სახიფათოდ უტევდა, მაგრამ პირველ წუთზე დაშამათებული ვოლკოვი, მართლაც, სასწაულებს ახდენდა და ორჯერ, როგორც იტყვიან, „მკვდარი“ ბურთი მოიგერია.

მატჩის მეორე ნახევარში სცენარი არ შეცვლილა. „სიონი“ საპასუხო გოლის გატანას ეშურებოდა და დიდი ძალებით უტევდა, ეს კი „დინამოს“ კონტრშეტევებისთვის ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა. რამდენჯერმე მასპინძლებმა ისეთი იერიში მიიტანეს, რომელთა შემდეგ ბურთს, ვოლკოვის კარის გარდა, თითქოს სხვაგან მოხვედრის შანსი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ხან ვოლკოვი თამაშობდა თავგანწირულად, ხან ბურთი კარის ხაზიდან გამოჰქონდათ მცველებს, ხან დამაგვირგვინებელ ფაზაში მასპინძელთა თავდამსხმელები სცოდავდნენ. მატჩის კულმინაცია იყო 87-ე წუთი, როდესაც სტუმართა ფლანგური შეტევა საჯარიმოში ჩაწოდებით და გონჩაროვის გოლით დასრულდა, მაგრამ მსაჯმა საკმაოდ საეჭვო ვითარებაში თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა და გოლი არ ჩათვალა. „დინამოსთვის“ ამ ფრონტზეც პროგრესია: როგორც ჩანს, შუშაკის გაშვებამ ურთიერთობა გუნდსა და მსაჯებს შორისაც მოაგვარა. თუ სულ ცოტა ხნის წინ შუშაკი სერიოზულ და საკმაოდ საფუძვლიან პრეტენზიებს უყენებდა არბიტრებს, „სიონთან“ მატჩში მათ მიმართ დედაქალაქელებს სასაყვედურო ნამდვილად არ უნდა ჰქონდეთ.


ლევან ხერხეულიძის ფოტო
გეგუჩაძემ (შუაში) გამარჯვებით დაიწყო

მკითხველისთვის საინტერესო იქნება გეგუჩაძის მიერ შერჩეული სასტარტო შემადგენლობა: ზოიძე, შაშიაშვილი, სილაგაძე, კანდელაკი, კაშია, კვირკველია, რომერო, ანჩაბაძე, ახალაია, კაკალაძე, მელქაძე. მეორე ტაიმში შემოვიდნენ ბურდული, ნემსაძე და იაშვილი.

მაშ ასე: „დინამომ“ მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა, რაც თამაშის მიხედვით, მართლაც, დაიმსახურა და ჩემპიონობის შენარჩუნების შანსი გაიზარდა. ვულოცავთ ახალ მთავარ მწვრთნელს, გია გეგუჩაძეს ამ გამარჯვებას.

კიდევ ერთი ცენტრალური მატჩი გაიმართა „შევარდენის“ სტადიონზე, სადაც მესამე პოზიციაზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ“ „თბილისს“ უმასპინძლა. დიდი მონდომების მიუხედავად, გუნდებმა გოლის გატანა ვერ მოახერხეს. თამაში ფრედ, 0:0 დასრულდა.

**მე-7 ტური**

| | |
|---|---|
| **დინამო - სიონი** | **1:0** |
| **ვიტ ჯორჯია - თბილისი** | **0:0** |
| **ლოკომოტივი - დილა** | **3:1** |

**მდგომარეობა**
**7 ტურის შემდეგ**

| | თ | ქ |
|---|---|---|
| **სიონი** | 7 | 34 |
| **დინამო** | 7 | 34 |
| **ვიტ ჯორჯია** | 7 | 32 |
| **თბილისი** | 7 | 31 |
| **ლოკომოტივი** | 7 | 23 |
| **დილა** | 7 | 19 |

# დევიდ ბექჰემი სამშობლოში ბრუნდება


მიატოვებს ბექჰემი „რეალს“?

ბრიტანული საინფორმაციო წყაროების ცნობით, დევიდ ბექჰემი მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ინგლისში დაბრუნდება. მის მომავალ კლუბებად ლონდონური „არსენალი“ და „ჩელსი“ სახელდება.

მადრიდის „რეალის“ ჩემპიონთა ლიგიდან ნაადრევმა გამოვარდნამ და კარლუშ კეირუშის შესაძლო გათავისუფლებამ შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს ესპანეთიდან ბექსის წასვლაზე.

თავად ბექჰემს უამრავი მიზეზი აქვს სამშობლოში დაბრუნებისთვის. როგორც მისი უახლოესი მეგობრები ამბობენ, მას ძალიან უჭირს ვიქტორიასა და ორ შვილთან განშორება, რადგან ისინი ინგლისში ცხოვრობენ.

„არსენალის“ დამრიგებელმა არსენ ვენგერმა არაერთხელ თქვა, რომ მომავალი სეზონისთვის იგი ერთ ან ორ მოთამაშეს შეიძენდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „მეთოფეებმა“ უკვე გადაიბირეს ესპანელი ნახევარმცველი ხოსე ანტონიო რეიესი და ჰოლანდიელი ფორვარდი რობინ ვან პერსი, ბექჰემის ყიდვა ნაკლებად რეალურია. ამავდროულად, მომავალ სეზონში ლონდონურ კლუბში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, რადგან გუნდს, ალბათ, ნვანკო კანუ, მარტინ კეოუნი, სილვიან ვილტორი და დენის ბერგკამპი დატოვებენ.

ჟურნალისტების კითხვაზე, აინტერესებს თუ არა „არსენალს“ ინგლისის ნაკრების კაპიტანი, ვენგერმა დადებითად უპასუხა, თუმცა, ისიც დაამატა, რომ კლუბს ამის ფინანსური შესაძლებლობა არა აქვს.

„მეთოფეებისგან“ განსხვავებით, ფინანსური მხარე სულაც არ აწუხებს მეორე ლონდონური კლუბის „ჩელსის“ მფლობელს რომან აბრამოვიჩს. თუმცა, „არისტოკრატთა“ მხრიდან არანაირი განცხადება არ ყოფილა, რადგან ამ გუნდისთვის სეზონი ჯერ არ დასრულებულა.

TV-სპორტი

**ორშაბათი. 3 მაისი**

**НТВ + ФУТБОЛ**
09:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
09:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 იტალიის ჩემპიონატი. „მილანი“ - „რომა“
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. „ვალენსია“ - „ბეტისი“
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 გერმანიის ჩემპიონატი. „კიოლნი“ - „ბავარია“
19:00 უკრაინის ჩემპიონატი. „დინამო“ - „კარპატი“
20:45 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:30 სახვალიო ტელეპროგრამა
21:35 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:30 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:25 უკრაინის ჩემპიონატი. „ვორსკლა“ - „დნეპრი“
02:10 02:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. პლეი-ოფი. პირველი წრე. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 19:55 პრესცენტრი
11:20, 20:10 „ოლიმპის შვილები“
11:25, 14:15 „ფორმულის ჰარმონია“
11:45 ჭადრაკი. „საჭადრაკო მიმოხილვა“
12:15 ჩოგბურთი. ATP ტურნირი გერმანიაში. ვაჟები. ფინალი
14:35 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. „SCOTTISH CLAYMORES“ - „RHEIN FIRE“
17:15 კარატეში ევროპის ჩემპიონატის სტარტის წინ
17:45 „NHL - პლუს“
18:00 სუმო. რუსეთის ჩემპიონატი მოსკოვში. დღე პირველი
19:00 სპორტული ცეკვები. „დიდი პრიზი“ „დინამო“. ნაწილი პირველი
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 „რკინის ფაქტორი“
20:50 „საუკუნის ათლეტები“ ვერა ჩასლავსკა
21:30 „ორშაბათამდე მივატანთ“
22:00 „დიდი რინგი“. პროგრამა პროფესიულ კრივზე
00:00 „ყველაზე ძლიერი ადამიანი“ ზამბიაში. ფინალი
01:00 ახალი ამბები
01:15 „NHL - პლუს“
01:30 კარატეში ევროპის ჩემპიონატის სტარტის წინ
02:00 „რკინის ფაქტორი“. ტელეჟურნალი

**EUROSPORT**
11:30 მოტორბოლები. ესპანეთის გრან-პრი
12:30 ფეხბურთი. პლანეტა ევრო-2004
13:00 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
14:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
16:00 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი ჰოლანდიაში
17:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
19:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
22:00 ფეხბურთი. ევროგოლები
23:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
23:30 მულტისპორტი
00:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
03:00 ახალი ამბები
03:15 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
03:30 მულტისპორტი
04:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
04:45 ახალი ამბები

კალათბურთი

# სტუმარ-მასპინძელი

პაატა თოთაძე

საქართველოს ჩემპიონატი.
ნახევარფინალი. პირველი მატჩები

**დინამო (თბილისი) - თსუ 89:82**
**ბასკო (ბათ.) - სტუ-ჯეოს. (თბ.) 83:62**

დამთავრდა „ბასკოს“ ამბავი... აღარაა ეგ გუნდი რამის გამკეთებელი... რას აღარ გაიგონებდით ბათუმის „ბასკოზე“ მას შემდეგ, რაც ბათუმელებს ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო ფინანსური პრობლემები შეექმნათ. როგორც გამოჩნდა, მთლად ეგრეც არ ყოფილა საქმე. გუშინ „ბასკო“ მაყურებლის წინაშე წარდგა ისევ იმ ძლევამოსილ გუნდად, როგორიც ახსოვდათ.

საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ზღვისპირელებს „სტუ-ჯეოსელი“ ჰყავდათ მეტოქედ, თუმცა, პირველ მატჩში „სტუ-ჯეოსელს“ პირობითად თუ უწოდებდი მეტოქეს - ბათუმელებმა მეტოქე პირწმინდად დაჯაბნეს. აჭარაში მიმდინარე მოვლენების გამო ბათუმელები მთელი გუნდით თბილისში არიან გადმობარგებულნი. აქედან გამომდინარე, ნახევარფინალის სამივე მატჩი, თუ საჭირო გახდა, დედაქალაქში გაიმართება. გუშინაც „ბასკო“ ითვლებოდა მასპინძლად, თუმცა... „ბასკოს“ უპირატესობა გუშინდელ მატჩში პირველივე წუთებიდან გამოიკვეთა. 6 წუთში ანგარიში იყო 11:4, თანაც, ბათუმელთა უკლებლივ ყველა ქულა ბერძენიშვილმა მოიპოვა. ნუგზარ ჭეიშვილმა რომ შეატყო, მისი შეგირდები ბერძენიშვილს ვერ უმკლავდებოდნენ, მოედანზე ოგანესიანი შეუშვა. სურათი დიდად არც ამის შემდეგ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ ბერძენიშვილი მეოთხედის ბოლომდე დაასვენა ნუგზარ კანდელაკმა.


„თსუ“-ს წინააღმდეგ მატჩში „დინამო“ უდავო უპირატესობას ფლობდა

მეორე მეოთხედში ბათუმელთა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ფარზე აშკარა იყო მათი უპირატესობა. შესვენებისთვის ანგარიში 38:26 იყო.

მატჩის ბედი მესამე მეოთხედში გადაწყდა. ათწუთიან მონაკვეთში „ბასკომ“ თავისი უპირატესობა 21 ქულამდე გაზარდა და მეოთხე მეოთხედი უბრალო ფორმალობად აქცია. ერთხანს ანგარიშში სხვაობამ 29 ქულასაც მიაღწია, თუმცა, მატჩის ბოლოს მოდუნებულმა ბათუმელებმა მეტოქეს ანგარიშში სხვაობის შემცირების საშუალება მისცეს.

ჯერჯერობით ადრეა დასკვნების გამოტანა, მაგრამ პირველი მატჩების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წლევანდელი ფინალი შარშანდელის მსგავსი გამოვა. ბათუმელებზე უკვე ვთქვით, ერთი დღით ადრე კი თბილისი „დინამომ“ თსუ დაამარცხა. „დინამო“ რომ უნივერსიტეტზე ძლიერია, ამას დიდი მტკიცება არ უნდა და მატჩის ანგარიშიც არავის აკვირვებს. ის კი არა, სტუდენტებმა ანგარიშში სხვაობის შემცირება ბოლო მეოთხედში მხოლოდ იმიტომ შეძლეს, რომ დინამოელებმა გამარჯვება ირწმუნეს და მოეშვნენ.

# თამაშგარე

სანდრო ნავერიანი

პლეი-ოფი გრძელდება, პლეი-ოფს ვერაფერი შეაჩერებს. შვიდი მეოთხედფინალისტის ვინაობა უკვე გარკვეულია, მხოლოდ ერთი დარჩა, რომელიც „მაიამი ჰიტისა“ და „ნიუ-ორლეან ჰორნეთსს“ შორის გამარჯვებული გახდება. მაიამი-ნიუ-ორლეანის სერიაში მაიამელები 3:2 იგებენ და მომდევნო მატჩს შინ ატარებენ, რაც მათ წისქვილზე ასხამს წყალს.

ინტრიგა, რომელიც „მინესოტა თიმბერვულვზსა“ და „დენვერ ნაგეთსს“ შორის არსებობდა, ჩაცხრა - მინესოტელებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს დენვერელებზე და სერიაში 4:1 გაიმარჯვეს. კეიჯი, როგორც ყოველთვის, საუკეთესო იყო. მან 28 ქულა, 8 შედეგიანი გადაცემა და 7 მოხსნა გააკეთა. სემ კასელმა 26 ქულა მოაგროვა. დენვერელებს არ გაუმართლათ - გუნდის ლიდერმა კარმელო ენტონიმ ტრავმის გამო ვერ ითამაშა. დენვერელთა შემადგენლობაში 21-21 ქულა მოაგროვეს მარკუს კემბიმ და ანდრე მილერმა. მარცხის მიუხედავად, დენვერელები კოლორადოს შტატის მცხოვრებლებმა გმირებად შერაცხეს. გულშემატკივრებმა „პეპსი ცენტრის“ ფასადზე დიდი პლაკატი გააკრეს: „ჩვენ არასოდეს დაგივიწყებთ, თქვენ ბედნიერება გვაჩუქეთ!“ - ასეთი მადლიერია დენვერელი გულშემატკივარი თავისი კალათბურთელებისა.

როგორც იქნა, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“ დაამტკიცა, რომ ფავორიტის სახელს ტყუილად არ ატარებს. კალიფორნიელებმა ჰიუსტონელებთან ჩატარებულ უკანასკნელ ორ მატჩში დაამტკიცეს თავისი სიძლიერე. ამ შეხვედრებში საოცრად გამოირჩეოდა კობი ბრაიანტი. ის, მართლაც, შეუდარებელი იყო, მას ყველაფერი გამოსდიოდა, ისე თამაშობდა, როგორც ორი-სამი წლის წინ. კალიფორნიელებმა ტეხასელები სერიაში 4:1 დაამარცხეს და მეოთხედფინალში კიდევ ერთ ტეხასურ გუნდს შეხვდებიან. მათი მეტოქე უკანასკნელი ორი წლის ჩემპიონი „სან-ანტონიო სფურზი“ იქნება. ტეხასელ ჩლიქებთან კი ნამდვილად ძალიან გაუჭირდებათ კალიფორნიელ ლეიკერებს, მაგრამ სწორად ამ მატჩში შეეძლებათ აჩვენონ ის, თუ რა შეუძლია ვარსკვლავებით სავსე „ლოს-ანჯელეს ლეიკერსს“.

იმაზე უკვე გითხარით, რომ „მაიამი“-“ნიუ-ორლეანს“ შორის ჯერ არ გარკვეულა გამარჯვებული-მეთქი. როცა გაირკვევა, მაშინ გამარჯვებული გუნდი მეოთხედფინალურ შეხვედრებში „ინდიანა პეისერზს“ დაუპირისპირდება.

რაც შეეხება დანარჩენ მეოთხედფინალურ მატჩებს, ისინი, ალბათ, ძალიან დაძაბული და საინტერესო იქნება. „ნიუ-ჯერსი ნეთსი“ „დეტროიტ პისტონზთან“ გაარკვევს ურთიერთობას. ნიუჯერსელებმაც და დეტროიტელებმაც რეგულარული ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩაატარეს, არც პლეი-ოფის პირველ რაუნდში გასჭირვებიათ ოპონენტების დამარცხება. ამ წყვილში რაიმე პროგნოზის გაკეთება ძნელი საქმეა, თუმცა, მე მიმაჩნია, რომ ჯეისონ კიდი და კომპანია გადალახავს დეტროიტულ ბარიერს და ნახევარფინალში გააღწევს. მიზეზი ბევრია, მე მხოლოდ რამდენიმეს ჩამოგითვლით: ჯერ ერთი, ნიუჯერსელი ქსელები შარშანდელი ფინალისტები არიან, მათი მოტივაცია და ამბიცია უდიდესია. მეორე და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ის არის, რომ გუნდი გაცილებით შეთამაშებულია და ყველა ხაზში გაცილებით გამოცდილი, ძლიერი კალათბურთელები ჰყავს, ვიდრე დეტროიტელებს. და მესამე: ნიუჯერსელებს ოთხი მატჩის ჩატარება მოუწევთ საკუთარ მოედანზე, რაც ერთით მეტია დეტროიტელებთან შედარებით.

ბოლო მეოთხედფინალური დუელი „მინესოტა თიმბერვულვზსა“ და „საკრამენტო ქინგზს“ შორის გაიმართება. ამ დაპირისპირების პროგნოზი, ალბათ, არ ღირს, რადგან ეს ორთაბრძოლა მთელმა საკალათბურთო სამყარომ ერთ-ერთ ყველაზე ამოუცნობ დაპირისპირებად აღიარა.

დასავლეთ კონფერენციის ორი საუკეთესო გუნდი.

დასავლეთ კონფერენციის ორი საუკეთესო მოთამაშე.

ერთი შავი, მეორე - თეთრი.

ერთი ცენტრი, მეორე - ფორვარდი.

ესენი კევინ გარნეტი და პეჟა სტოიაკოვიჩი არიან.

ორივე ძალიან კარგ ფორმაშია და არც ერთს არასდროს არ მოურგია ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონის ბეჭედი. დიახ, არც ერთს არასდროს არ მოუგია ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონატი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ბარიერის გადალახვა გამარჯვებას ნიშნავს, გამარჯვებულს კიდევ ნახევარფინალის და შემდეგ (თუ, რა თქმა უნდა, იქამდე გააღწია) ფინალის მოგება მოუწევს. ამას კი მოედანზე დიდი ოფლის ღვრა და ტვინის განძრევა სჭირდება.

# "სახალხო ლოტო"-ს 2 მაისის №57 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 000016 | 2,0 |
| 000031 | 4,0 |
| 000086 | 1,5 |
| 000092 | 10,0 |
| 000100 | 2,0 |
| 000102 | 1,0 |
| 000118 | 1,0 |
| 000122 | 1,0 |
| 000125 | 1,0 |
| 000160 | 7,0 |
| 000162 | 2,0 |
| 000178 | 4,5 |
| 000189 | 2,0 |
| 000193 | 3,5 |
| 000221 | 3,0 |
| 000281 | 2,5 |
| 000296 | 1,5 |
| 000298 | 2,5 |
| 000312 | 2,5 |
| 000318 | 8,0 |
| 000322 | 1,5 |
| 000334 | 1,5 |
| 000341 | 1,0 |
| 000343 | 1,0 |
| 000371 | 3,5 |
| 000376 | 2,0 |
| 000413 | 7,0 |
| 000427 | 1,0 |
| 000431 | 3,0 |
| 000461 | 1,0 |
| 000511 | 1,0 |
| 000546 | 1,0 |
| 000553 | 1,5 |
| 000596 | 2,5 |
| 000597 | 1,0 |
| 000636 | 1,0 |
| 000637 | 2,0 |
| 000665 | 7,0 |
| 000693 | 1,0 |
| 000707 | 5,0 |
| 000751 | 1,0 |
| 000756 | 9,0 |
| 000812 | 1,5 |
| 000814 | 4,5 |
| 000828 | 4,0 |
| 000835 | 4,5 |
| 000852 | 1,5 |
| 000855 | 1,0 |
| 000906 | 1,0 |
| 000925 | 1,0 |
| 000936 | 1,0 |
| 000938 | 4,0 |
| 000990 | 1,5 |
| 001502 | 1,5 |
| 001514 | 1,0 |
| 001519 | 1,0 |
| 001526 | 1,0 |
| 001544 | 3,0 |
| 001568 | 4,5 |
| 001592 | 2,0 |
| 001619 | 2,0 |
| 001625 | 2,0 |
| 001635 | 2,0 |
| 001667 | 1,5 |
| 001690 | 2,0 |
| 001716 | 3,0 |
| 001718 | 1,0 |
| 001719 | 1,5 |
| 001757 | 1,0 |
| 001779 | 1,0 |
| 001799 | 1,0 |
| 001804 | 1,5 |
| 001826 | 1,0 |
| 001832 | 1,5 |
| 001867 | 1,5 |
| 001881 | 2,0 |
| 001894 | 1,0 |
| 001904 | 4,5 |
| 001915 | 1,5 |
| 001927 | 1,0 |
| 001936 | 2,0 |
| 001992 | 2,0 |
| 002000 | 1,0 |
| 002004 | 1,5 |
| 002025 | 1,5 |
| 002062 | 2,0 |
| 002082 | 1,0 |
| 002099 | 12,5 |
| 002100 | 1,0 |
| 002108 | 1,5 |
| 002131 | 1,0 |
| 002161 | 2,0 |
| 002174 | 2,5 |
| 002178 | 1,5 |
| 002180 | 1,5 |
| 002200 | 1,0 |
| 002222 | 1,5 |
| 002266 | 5,0 |
| 002284 | 12,5 |
| 002288 | 1,0 |
| 002309 | 7,0 |
| 002362 | 1,0 |
| 002386 | 1,0 |
| 002389 | 20,0 |
| 002396 | 2,5 |
| 002407 | 1,0 |
| 002420 | 1,0 |
| 002424 | 1,0 |
| 002431 | 1,0 |
| 002452 | 1,0 |
| 002457 | 1,5 |
| 002462 | 2,0 |
| 002490 | 1,5 |
| 002500 | 2,0 |
| 002508 | 2,5 |
| 002534 | 1,5 |
| 002540 | 1,0 |
| 002572 | 3,0 |
| 002614 | 1,5 |
| 002622 | 1,5 |
| 002671 | 1,5 |
| 002677 | 1,5 |
| 002681 | 1,0 |
| 002689 | 1,5 |
| 002712 | 1,0 |
| 002722 | 2,0 |
| 002750 | 2,5 |
| 002772 | 1,5 |
| 002872 | 2,0 |
| 002878 | 1,5 |
| 002889 | 9,0 |
| 002922 | 6,0 |
| 002932 | 2,0 |
| 002962 | 1,5 |
| 002976 | 1,5 |
| 002991 | 1,5 |
| 003023 | 1,0 |
| 003037 | 1,5 |
| 003045 | 1,0 |
| 003047 | 1,0 |
| 003106 | 2,0 |
| 003152 | 3,5 |
| 003164 | 1,0 |
| 003181 | 2,5 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 003198 | 1,5 |
| 003226 | 2,0 |
| 003229 | 2,5 |
| 003517 | 1,5 |
| 003531 | 1,5 |
| 003540 | 1,0 |
| 003544 | 2,0 |
| 003608 | 1,5 |
| 003621 | 1,5 |
| 003632 | 1,5 |
| 003655 | 1,0 |
| 003667 | 1,5 |
| 003669 | 1,5 |
| 003688 | 1,5 |
| 003723 | 2,5 |
| 003739 | 1,0 |
| 003771 | 1,5 |
| 003780 | 1,0 |
| 003793 | 3,0 |
| 003827 | 1,0 |
| 003839 | 1,5 |
| 003841 | 1,5 |
| 003853 | 2,0 |
| 003859 | 4,0 |
| 003866 | 25,0 |
| 003875 | 1,5 |
| 003915 | 9,0 |
| 003936 | 1,0 |
| 003971 | 1,5 |
| 003978 | 4,0 |
| 003980 | 2,0 |
| 004040 | 2,0 |
| 004047 | 1,0 |
| 004058 | 1,0 |
| 004071 | 1,0 |
| 004096 | 2,0 |
| 004110 | 2,0 |
| 004112 | 1,5 |
| 004148 | 2,0 |
| 004163 | 1,0 |
| 004173 | 4,5 |
| 004190 | 1,0 |
| 004208 | 1,5 |
| 004225 | 4,5 |
| 004240 | 9,0 |
| 004269 | 1,0 |
| 004289 | 1,0 |
| 004302 | 1,5 |
| 004325 | 1,5 |
| 004365 | 1,0 |
| 004399 | 1,5 |
| 004402 | 1,0 |
| 004425 | 2,0 |
| 004436 | 4,0 |
| 004446 | 1,0 |
| 004470 | 2,0 |
| 004494 | 2,0 |
| 004500 | 2,5 |
| 004511 | 1,5 |
| 004514 | 1,0 |
| 004529 | 1,5 |
| 004542 | 1,0 |
| 004550 | 1,0 |
| 004621 | 1,0 |
| 004626 | 1,0 |
| 004630 | 1,5 |
| 004686 | 1,5 |
| 004689 | 1,0 |
| 004693 | 25,0 |
| 004701 | 1,5 |
| 004718 | 1,0 |
| 004735 | 7,0 |
| 004761 | 1,5 |
| 004787 | 1,0 |
| 004796 | 2,0 |
| 004798 | 1,5 |
| 004850 | 6,0 |
| 004879 | 3,5 |
| 004889 | 2,0 |
| 004891 | 2,0 |
| 004899 | 1,5 |
| 004914 | 1,5 |
| 004927 | 2,0 |
| 004930 | 2,0 |
| 004935 | 2,0 |
| 004968 | 1,0 |
| 004976 | 1,5 |
| 004990 | 1,0 |
| 005227 | 1,5 |
| 005240 | 2,0 |
| 005247 | 1,0 |
| 005271 | 30,0 |
| 005288 | 1,5 |
| 005293 | 1,0 |
| 005308 | 1,0 |
| 005321 | 2,5 |
| 005361 | 1,5 |
| 005363 | 7,0 |
| 005385 | 2,0 |
| 005386 | 2,5 |
| 005400 | 3,5 |
| 005410 | 3,0 |
| 005443 | 1,0 |
| 005464 | 2,5 |
| 005563 | 1,0 |
| 005586 | 4,0 |
| 005587 | 3,0 |
| 005599 | 1,0 |
| 005606 | 1,5 |
| 005611 | 4,0 |
| 005626 | 2,0 |
| 005634 | 1,0 |
| 005639 | 1,5 |
| 005690 | 1,5 |
| 005694 | 1,0 |
| 005697 | 1,0 |
| 005704 | 1,0 |
| 005707 | 1,5 |
| 005719 | 1,0 |
| 005740 | 1,5 |
| 005767 | 1,5 |
| 005787 | 1,5 |
| 005799 | 1,5 |
| 005804 | 7,0 |
| 005827 | 1,5 |
| 005830 | 1,0 |
| 005855 | 1,5 |
| 005864 | 1,0 |
| 005877 | 1,0 |
| 005878 | 1,0 |
| 005912 | 1,5 |
| 005920 | 1,0 |
| 005925 | 2,0 |
| 005974 | 1,5 |
| 005998 | 5,0 |
| 006028 | 1,5 |
| 006054 | 1,0 |
| 006094 | 1,0 |
| 006095 | 1,5 |
| 006111 | 1,0 |
| 006122 | 1,0 |
| 006129 | 1,0 |
| 006137 | 3,5 |
| 006156 | 2,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 006162 | 10,0 |
| 006188 | 2,0 |
| 006199 | 1,5 |
| 006735 | 1,0 |
| 006810 | 1,5 |
| 006827 | 1,5 |
| 006862 | 4,5 |
| 006917 | 1,5 |
| 006918 | 10,0 |
| 006929 | 15,0 |
| 006946 | 1,0 |
| 006963 | 2,0 |
| 006971 | 3,0 |
| 006973 | 2,0 |
| 006977 | 1,0 |
| 006991 | 3,0 |
| 006995 | 1,5 |
| 007012 | 2,0 |
| 007049 | 1,5 |
| 007066 | 2,5 |
| 007081 | 2,0 |
| 007096 | 1,5 |
| 007102 | 2,0 |
| 007109 | 3,0 |
| 007155 | 9,0 |
| 007173 | 1,0 |
| 007224 | 1,5 |
| 007239 | 2,0 |
| 007247 | 2,0 |
| 007253 | 3,5 |
| 007267 | 1,5 |
| 007284 | 2,5 |
| 007295 | 1,5 |
| 007319 | 8,0 |
| 007338 | 1,5 |
| 007473 | 10,0 |
| 007511 | 1,5 |
| 007531 | 1,5 |
| 007534 | 1,0 |
| 007539 | 1,0 |
| 007546 | 2,0 |
| 007552 | 1,0 |
| 007570 | 1,5 |
| 007594 | 2,0 |
| 007606 | 7,0 |
| 007618 | 8,0 |
| 007623 | 1,0 |
| 007658 | 2,0 |
| 007659 | 1,0 |
| 007675 | 6,0 |
| 007680 | 3,5 |
| 007695 | 2,0 |
| 007714 | 1,0 |
| 007717 | 1,5 |
| 007719 | 1,0 |
| 007731 | 1,0 |
| 007739 | 20,0 |
| 007764 | 4,5 |
| 007826 | 10,0 |
| 007849 | 10,0 |
| 007862 | 2,0 |
| 007865 | 1,0 |
| 007873 | 3,5 |
| 007880 | 1,0 |
| 007889 | 1,0 |
| 007895 | 1,5 |
| 007935 | 2,0 |
| 007984 | 1,5 |
| 008005 | 1,5 |
| 008012 | 1,5 |
| 008015 | 2,5 |
| 008026 | 2,0 |
| 008030 | 3,0 |
| 008036 | 2,0 |
| 008039 | 1,0 |
| 008086 | 2,0 |
| 008092 | 4,0 |
| 008120 | 1,0 |
| 008145 | 1,0 |
| 008146 | 2,5 |
| 008159 | 1,5 |
| 008202 | 2,0 |
| 008212 | 2,0 |
| 008242 | 3,0 |
| 008284 | 1,0 |
| 008351 | 1,5 |
| 008391 | 2,5 |
| 008403 | 1,0 |
| 008433 | 1,0 |
| 008444 | 5,0 |
| 008473 | 1,0 |
| 008493 | 1,0 |
| 008500 | 1,0 |
| 008502 | 1,0 |
| 008517 | 4,0 |
| 008531 | 1,0 |
| 008579 | 3,0 |
| 008588 | 1,0 |
| 008599 | 3,0 |
| 008616 | 2,0 |
| 008623 | 1,0 |
| 008627 | 2,0 |
| 008673 | 1,5 |
| 008679 | 1,0 |
| 008721 | 1,5 |
| 008726 | 2,0 |
| 008733 | 1,0 |
| 008736 | 1,0 |
| 008770 | 2,5 |
| 008772 | 1,5 |
| 008777 | 1,5 |
| 008785 | 1,5 |
| 008806 | 2,0 |
| 008834 | 1,0 |
| 008842 | 2,5 |
| 008858 | 20,0 |
| 008861 | 1,0 |
| 008982 | 2,0 |
| 008983 | 4,0 |
| 008990 | 1,5 |
| 009007 | 1,0 |
| 009009 | 1,5 |
| 009027 | 4,0 |
| 009043 | 1,5 |
| 009063 | 1,5 |
| 009096 | 4,0 |
| 009099 | 1,0 |
| 009119 | 1,5 |
| 009120 | 2,0 |
| 009122 | 2,0 |
| 009141 | 1,0 |
| 009157 | 4,0 |
| 009164 | 1,5 |
| 009168 | 2,5 |
| 009204 | 1,0 |
| 009219 | 50,0 |
| 009221 | 7,0 |
| 009258 | 2,0 |
| 009266 | 1,0 |
| 009270 | 1,5 |
| 009331 | 3,0 |
| 009339 | 1,5 |
| 009354 | 1,0 |
| 009364 | 1,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 009372 | 1,0 |
| 009400 | 2,0 |
| 009414 | 1,0 |
| 009415 | 1,0 |
| 009442 | 1,0 |
| 009446 | 1,0 |
| 009464 | 1,5 |
| 009558 | 1,0 |
| 009579 | 2,0 |
| 009612 | 1,5 |
| 009614 | 1,0 |
| 009620 | 1,0 |
| 009646 | 1,0 |
| 009658 | 1,5 |
| 009709 | 2,0 |
| 009720 | 1,0 |
| 009730 | 1,5 |
| 009752 | 2,5 |
| 009758 | 1,5 |
| 009778 | 1,0 |
| 009782 | 1,0 |
| 009805 | 1,5 |
| 009820 | 2,0 |
| 009856 | 1,0 |
| 009893 | 1,5 |
| 009916 | 4,5 |
| 009918 | 1,5 |
| 009935 | 1,5 |
| 009951 | 2,0 |
| 009975 | 1,0 |
| 009977 | 50,0 |
| 010001 | 1,0 |
| 010011 | 1,5 |
| 010026 | 4,5 |
| 010027 | 1,5 |
| 010037 | 2,0 |
| 010038 | 3,0 |
| 010056 | 1,5 |
| 010057 | 1,0 |
| 010088 | 1,0 |
| 010161 | 1,5 |
| 010173 | 1,5 |
| 010175 | 1,0 |
| 010184 | 2,0 |
| 010198 | 1,0 |
| 010403 | 9,0 |
| 010411 | 1,5 |
| 010462 | 1,0 |
| 010471 | 2,0 |
| 010495 | 1,5 |
| 010534 | 1,0 |
| 010541 | 1,0 |
| 010556 | 2,0 |
| 010557 | 1,0 |
| 010569 | 1,0 |
| 010580 | 1,5 |
| 010582 | 1,0 |
| 010595 | 3,0 |
| 010640 | 1,5 |
| 010659 | 3,0 |
| 010682 | 1,5 |
| 010705 | 1,0 |
| 010708 | 4,0 |
| 010746 | 1,5 |
| 010752 | 1,0 |
| 010763 | 1,5 |
| 010765 | 2,5 |
| 010778 | 1,0 |
| 010782 | 2,0 |
| 010803 | 4,0 |
| 010835 | 1,5 |
| 010842 | 1,0 |
| 010873 | 1,0 |
| 010880 | 1,0 |
| 010881 | 5,0 |
| 010898 | 1,0 |
| 010900 | 1,0 |
| 010919 | 3,5 |
| 010926 | 2,0 |
| 010931 | 1,0 |
| 010964 | 1,0 |
| 010966 | 1,0 |
| 011035 | 2,0 |
| 011041 | 1,0 |
| 011049 | 3,0 |
| 011071 | 2,5 |
| 011132 | 1,5 |
| 011162 | 2,0 |
| 011169 | 1,0 |
| 011175 | 1,0 |
| 011183 | 1,5 |
| 011218 | 2,5 |
| 011258 | 1,0 |
| 011352 | 2,0 |
| 011355 | 1,5 |
| 011372 | 15,0 |
| 011384 | 1,5 |
| 011903 | 1,0 |
| 011916 | 7,0 |
| 011927 | 1,5 |
| 011950 | 4,0 |
| 011999 | 1,0 |
| 012008 | 1,0 |
| 012029 | 2,0 |
| 012053 | 1,5 |
| 012057 | 1,5 |
| 012063 | 1,0 |
| 012071 | 8,0 |
| 012107 | 2,0 |
| 012116 | 4,5 |
| 012118 | 1,0 |
| 012126 | 1,0 |
| 012134 | 1,0 |
| 012163 | 1,0 |
| 012171 | 1,0 |
| 012189 | 1,5 |
| 012198 | 1,0 |
| 012204 | 1,0 |
| 012215 | 1,0 |
| 012269 | 1,0 |
| 012273 | 1,0 |
| 012321 | 1,0 |
| 012333 | 2,5 |
| 012339 | 1,5 |
| 012344 | 1,5 |
| 012365 | 1,0 |
| 012387 | 2,0 |
| 012389 | 2,0 |
| 012406 | 1,5 |
| 012408 | 1,0 |
| 012410 | 1,5 |
| 012419 | 3,0 |
| 012420 | 6,0 |
| 012431 | 1,5 |
| 012442 | 4,0 |
| 012449 | 5,0 |
| 012463 | 1,5 |
| 012469 | 1,5 |
| 012490 | 9,0 |
| 012503 | 2,5 |
| 012519 | 1,0 |
| 012529 | 1,5 |
| 012540 | 1,0 |
| 012546 | 2,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 012552 | 1,0 |
| 012566 | 9,0 |
| 012608 | 1,5 |
| 012609 | 1,0 |
| 012670 | 1,0 |
| 012716 | 2,0 |
| 012731 | 2,0 |
| 012760 | 35,0 |
| 012766 | 2,0 |
| 012777 | 1,0 |
| 012778 | 5,0 |
| 012791 | 5,0 |
| 012802 | 1,0 |
| 012838 | 1,0 |
| 012919 | 2,0 |
| 013009 | 2,0 |
| 013016 | 7,0 |
| 013022 | 8,0 |
| 013033 | 5,0 |
| 013048 | 15,0 |
| 013053 | 2,0 |
| 013121 | 1,0 |
| 013152 | 4,0 |
| 013156 | 4,5 |
| 013177 | 3,0 |
| 013189 | 1,0 |
| 013193 | 3,5 |
| 013204 | 2,0 |
| 013228 | 1,5 |
| 013260 | 4,5 |
| 013268 | 12,5 |
| 013282 | 1,5 |
| 013296 | 25,0 |
| 013309 | 2,5 |
| 013349 | 2,0 |
| 013354 | 2,0 |
| 013360 | 2,0 |
| 013371 | 3,0 |
| 013398 | 1,5 |
| 013399 | 1,5 |
| 013413 | 1,0 |
| 013495 | 1,5 |
| 013517 | 1,0 |
| 013534 | 1,5 |
| 013537 | 1,0 |
| 013589 | 1,0 |
| 013599 | 1,5 |
| 013618 | 1,0 |
| 013640 | 1,0 |
| 013647 | 1,5 |
| 013706 | 1,0 |
| 013722 | 1,5 |
| 013748 | 4,5 |
| 013764 | 4,0 |
| 013797 | 4,5 |
| 013801 | 1,0 |
| 013805 | 1,0 |
| 013836 | 9,0 |
| 013837 | 20,0 |
| 013848 | 2,0 |
| 013854 | 9,0 |
| 013889 | 7,0 |
| 013928 | 2,0 |
| 013958 | 2,0 |
| 013963 | 600,0 |
| 013966 | 1,0 |
| 013967 | 1,0 |
| 014008 | 3,0 |
| 014014 | 2,0 |
| 014020 | 5,0 |
| 014031 | 8,0 |
| 014038 | 4,0 |
| 014040 | 2,0 |
| 014050 | 1,0 |
| 014080 | 1,5 |
| 014130 | 3,0 |
| 014140 | 2,0 |
| 014151 | 8,0 |
| 014159 | 3,5 |
| 014169 | 40,0 |
| 014179 | 1,5 |
| 014224 | 1,5 |
| 014230 | 1,0 |
| 014241 | 1,0 |
| 014243 | 1,5 |
| 014284 | 1,5 |
| 014288 | 2,0 |
| 014320 | 1,0 |
| 014322 | 3,5 |
| 014326 | 5,0 |
| 014329 | 1,0 |
| 014345 | 1,5 |
| 014346 | 1,0 |
| 014355 | 1,0 |
| 014358 | 1,5 |
| 014395 | 1,5 |
| 014431 | 2,0 |
| 014458 | 2,0 |
| 014485 | 1,0 |
| 014488 | 2,0 |
| 014493 | 2,0 |
| 014502 | 1,5 |
| 014503 | 1,5 |
| 014522 | 4,0 |
| 014574 | 1,0 |
| 014627 | 2,0 |
| 014630 | 3,0 |
| 014654 | 1,5 |
| 014677 | 1,5 |
| 014679 | 1,0 |
| 014694 | 1,0 |
| 014710 | 3,0 |
| 014721 | 1,5 |
| 014813 | 1,5 |
| 014835 | 2,5 |
| 014837 | 2,0 |
| 014841 | 1,0 |
| 014844 | 1,5 |
| 014854 | 3,0 |
| 014862 | 2,0 |
| 014899 | 1,5 |
| 014902 | 1,0 |
| 014946 | 3,0 |
| 014988 | 1,0 |
| 015073 | 1,0 |
| 015075 | 4,0 |
| 015096 | 1,0 |
| 015113 | 7,0 |
| 015120 | 1,0 |
| 015126 | 7,0 |
| 015134 | 1,5 |
| 015160 | 3,5 |
| 015199 | 1,5 |
| 015204 | 1,0 |
| 015205 | 1,0 |
| 015216 | 1,0 |
| 015254 | 1,0 |
| 015274 | 1,0 |
| 015296 | 2,0 |
| 015309 | 1,0 |
| 015311 | 2,0 |
| 015336 | 1,0 |
| 015344 | 4,0 |
| 015351 | 1,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 015355 | 3,0 |
| 015380 | 4,0 |
| 015387 | 1,0 |
| 015393 | 1,0 |
| 015629 | 1,0 |
| 015633 | 6,0 |
| 015647 | 3,0 |
| 015665 | 4,5 |
| 015672 | 1,0 |
| 015676 | 12,5 |
| 015689 | 2,0 |
| 015706 | 3,5 |
| 015710 | 2,0 |
| 015723 | 1,5 |
| 015740 | 2,0 |
| 015772 | 2,0 |
| 015785 | 1,5 |
| 015788 | 4,5 |
| 015798 | 1,5 |
| 015817 | 1,5 |
| 015824 | 2,5 |
| 015867 | 1,0 |
| 015872 | 1,5 |
| 015875 | 1,5 |
| 015902 | 2,0 |
| 015915 | 2,0 |
| 016032 | 1,5 |
| 016071 | 1,0 |
| 016075 | 6,0 |
| 016092 | 4,5 |
| 017108 | 2,0 |
| 017110 | 30,0 |
| 017120 | 2,0 |
| 017194 | 9,0 |
| 017234 | 4,5 |
| 017268 | 2,0 |
| 017279 | 1,5 |
| 017288 | 3,0 |
| 017355 | 25,0 |
| 017359 | 2,0 |
| 017387 | 2,0 |
| 017397 | 1,0 |
| 017432 | 4,0 |
| 017449 | 1,5 |
| 017452 | 1,0 |
| 017453 | 2,5 |
| 017477 | 1,5 |
| 017556 | 1,0 |
| 017571 | 1,5 |
| 017595 | 5,0 |
| 017632 | 50,0 |
| 017638 | 1,5 |
| 017671 | 1,0 |
| 017730 | 5,0 |
| 017751 | 3,5 |
| 017763 | 1,5 |
| 017764 | 1,5 |
| 017810 | 8,0 |
| 017818 | 1,5 |
| 017852 | 1,5 |
| 017873 | 2,0 |
| 017875 | 1,5 |
| 017909 | 2,0 |
| 017945 | 1,5 |
| 017946 | 1,0 |
| 017996 | 1,5 |
| 018093 | 1,5 |
| 018119 | 1,0 |
| 018153 | 2,0 |
| 018166 | 1,0 |
| 018173 | 1,0 |
| 018181 | 1,0 |
| 018228 | 3,5 |
| 018229 | 2,5 |
| 018232 | 2,0 |
| 018242 | 2,0 |
| 018285 | 2,0 |
| 018292 | 1,5 |
| 018298 | 25,0 |
| 018315 | 10,0 |
| 018326 | 2,0 |
| 018347 | 2,0 |
| 018348 | 1,5 |
| 018390 | 1,0 |
| 018441 | 3,0 |
| 018448 | 3,5 |
| 018449 | 1,5 |
| 018501 | 2,0 |
| 018535 | 2,0 |
| 018543 | 4,0 |
| 018571 | 1,0 |
| 018575 | 7,0 |
| 018583 | 1,0 |
| 018717 | 1,0 |
| 018784 | 1,0 |
| 018790 | 2,0 |
| 018793 | 1,0 |
| 018795 | 2,0 |
| 018803 | 1,0 |
| 018858 | 2,0 |
| 018866 | 5,0 |
| 018870 | 1,5 |
| 018878 | 1,5 |
| 018881 | 2,0 |
| 018882 | 6,0 |
| 018949 | 1,0 |
| 018950 | 1,5 |
| 018955 | 1,0 |
| 019028 | 3,0 |
| 019029 | 1,5 |
| 019042 | 1,0 |
| 019053 | 2,0 |
| 019109 | 2,5 |
| 019113 | 1,5 |
| 019114 | 2,0 |
| 019142 | 1,5 |
| 019159 | 2,0 |
| 019178 | 2,5 |
| 019187 | 1,5 |
| 019194 | 1,0 |
| 019198 | 3,5 |
| 019202 | 1,0 |
| 019203 | 2,0 |
| 019211 | 1,5 |
| 019212 | 1,0 |
| 019216 | 10,0 |
| 019275 | 1,0 |
| 019276 | 2,5 |
| 019293 | 2,5 |
| 019297 | 3,5 |
| 019299 | 1,5 |
| 019317 | 1,5 |
| 019324 | 1,0 |
| 019339 | 3,0 |
| 019341 | 2,5 |
| 019374 | 1,5 |
| 019375 | 2,0 |
| 019390 | 2,0 |
| 019397 | 1,0 |
| 019499 | 1,5 |
| 019502 | 3,5 |
| 019562 | 2,0 |
| 019575 | 1,5 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 019577 | 1,0 |
| 019584 | 2,0 |
| 019603 | 2,0 |
| 019625 | 4,0 |
| 019646 | 4,5 |
| 019693 | 1,5 |
| 019705 | 1,0 |
| 019712 | 2,0 |
| 019730 | 1,0 |
| 019739 | 2,5 |
| 019740 | 2,5 |
| 019787 | 1,5 |
| 019833 | 1,5 |
| 019842 | 8,0 |
| 019913 | 1,5 |
| 019926 | 4,0 |
| 019958 | 2,5 |
| 019966 | 1,5 |
| 019979 | 1,0 |
| 020009 | 3,0 |
| 020028 | 1,0 |
| 020032 | 1,0 |
| 020080 | 1,0 |
| 020105 | 1,0 |
| 020122 | 1,5 |
| 020137 | 3,5 |
| 020176 | 5,0 |
| 020182 | 1,5 |
| 020193 | 1,5 |
| 020194 | 2,0 |
| 020202 | 3,0 |
| 020312 | 1,0 |
| 020313 | 1,5 |
| 020317 | 1,5 |
| 020325 | 1250,0 |
| 020329 | 2,5 |
| 020333 | 3,0 |
| 020452 | 3,0 |
| 020470 | 1,5 |
| 020493 | 4,5 |
| 020520 | 1,0 |
| 020549 | 4,0 |
| 020566 | 2,0 |
| 020577 | 1,0 |
| 020582 | 1,0 |
| 020588 | 1,0 |
| 020590 | 12,5 |
| 020807 | 2,0 |
| 020823 | 1,5 |
| 020836 | 3,0 |
| 020844 | 1,0 |
| 020851 | 1,0 |
| 020866 | 4,5 |
| 020891 | 2,0 |
| 020918 | 1,0 |
| 020919 | 1,5 |
| 020939 | 1,0 |
| 020944 | 1,0 |
| 020951 | 1,0 |
| 020958 | 3,0 |
| 020964 | 2,0 |
| 020996 | 7,0 |
| 021019 | 1,5 |
| 021030 | 1,5 |
| 021037 | 10,0 |
| 021062 | 1,5 |
| 021099 | 1,0 |
| 021107 | 1,5 |
| 021137 | 1,5 |
| 021174 | 6,0 |
| 021190 | 2,5 |
| 021198 | 2,0 |
| 021209 | 4,5 |
| 021228 | 5,0 |
| 021241 | 1,5 |
| 021259 | 1,0 |
| 021272 | 1,0 |
| 021273 | 3,0 |
| 021276 | 1,0 |
| 021281 | 1,5 |
| 021290 | 2,0 |
| 022318 | 1,0 |
| 022321 | 2,0 |
| 022324 | 2,0 |
| 022355 | 2,0 |
| 022390 | 2,0 |
| 022396 | 1,0 |
| 022414 | 1,5 |
| 022415 | 2,0 |
| 022425 | 2,5 |
| 022437 | 2,0 |
| 022438 | 2,0 |
| 022506 | 9,0 |
| 022509 | 1,0 |
| 022512 | 2,0 |
| 022529 | 1,0 |
| 022543 | 6,0 |
| 022550 | 1,0 |
| 022562 | 30,0 |
| 022570 | 1,5 |
| 022593 | 1,5 |
| 022630 | 2,0 |
| 022651 | 1,0 |
| 022674 | 1,5 |
| 022680 | 1,5 |
| 022729 | 35,0 |
| 022733 | 1,0 |
| 022751 | 4,5 |
| 022766 | 1,5 |
| 022767 | 1,0 |
| 022774 | 4,5 |
| 022776 | 1,5 |
| 022786 | 4,5 |
| 022803 | 1,5 |
| 022830 | 2,0 |
| 022833 | 6,0 |
| 022853 | 2,0 |
| 022890 | 1,5 |
| 022900 | 1,0 |
| 022912 | 1,0 |
| 022946 | 10,0 |
| 022971 | 1,0 |
| 022991 | 2,5 |
| 023035 | 1,5 |
| 023069 | 1,5 |
| 023098 | 4,5 |
| 023147 | 6,0 |
| 023166 | 1,5 |
| 023197 | 1,0 |
| 023221 | 2,0 |
| 023231 | 1,0 |
| 023240 | 1,0 |
| 023317 | 2,0 |
| 023332 | 1,5 |
| 023351 | 1,0 |
| 023364 | 35,0 |
| 023365 | 5,0 |
| 023371 | 2,0 |
| 023394 | 1,5 |
| 023396 | 2,0 |
| 023424 | 1,5 |
| 023446 | 1,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 023483 | 2,0 |
| 023489 | 10,0 |
| 023504 | 1,0 |
| 023528 | 10,0 |
| 023529 | 1,0 |
| 023549 | 10,0 |
| 023550 | 2,0 |
| 023593 | 1,0 |
| 023595 | 6,0 |
| 023596 | 1,5 |
| 023647 | 1,5 |
| 023670 | 2,0 |
| 023679 | 2,0 |
| 023689 | 1,5 |
| 023710 | 1,5 |
| 023756 | 2,0 |
| 023807 | 1,0 |
| 023872 | 2,0 |
| 023881 | 2,0 |
| 023889 | 1,0 |
| 023893 | 2,0 |
| 023899 | 2,0 |
| 023913 | 2,0 |
| 023916 | 1,0 |
| 023927 | 2,0 |
| 023973 | 1,5 |
| 024010 | 7,0 |
| 024023 | 1,0 |
| 024039 | 2,0 |
| 024043 | 2,0 |
| 024049 | 1,5 |
| 024074 | 1,0 |
| 024093 | 1,0 |
| 024100 | 1,5 |
| 024124 | 2,0 |
| 024153 | 1,0 |
| 024160 | 2,0 |
| 024194 | 1,5 |
| 024198 | 1,0 |
| 024237 | 1,0 |
| 024266 | 2,0 |
| 024292 | 1,0 |
| 024352 | 7,0 |
| 024358 | 3,0 |
| 024361 | 6,0 |
| 024376 | 5,0 |
| 024404 | 1,0 |
| 024406 | 30,0 |
| 024409 | 1,5 |
| 024416 | 1,0 |
| 024438 | 1,5 |
| 024446 | 2,0 |
| 024505 | 1,5 |
| 024508 | 1,5 |
| 024526 | 1,0 |
| 024553 | 2,0 |
| 024582 | 1,5 |
| 024711 | 1,0 |
| 024718 | 4,0 |
| 024761 | 20,0 |
| 024767 | 1,5 |
| 024798 | 4,0 |
| 024808 | 1,5 |
| 024836 | 1,5 |
| 024843 | 1,5 |
| 024889 | 1,0 |
| 024916 | 1,0 |
| 024924 | 1,0 |
